საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშა" და „მეცნიერება და ტეხნიკა". განცხადებანი: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

დღიური

— საფრანგეთთან მოლაპარაკება 25 თებერვალს დაიწყება

— პოლონეთის სამხედრო მინისტრი [illegible] დადგომას აპირებს.

— ქემალ-ფაშამ ხელი მოაწერა ოსმალეთ საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას.

— 15 მარტს შეიკრიბება საერთაშორისო კონფერენცია 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.

— ხარბინში ჩან-ძო-ლინმა დახურა გომინდანის პარტიის ორგანო.

პარასკევი, 19 თებერვალი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 40 (1495)

ა. წ. 28 თებერვალს შესდგება საქართველოს კომპარტიის ც. კ. გაფართოებული პლენუმი

საქართველოს კომპარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნებთან ერთად

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი ქართველიშვილი

კომინტერნის მორიგი ამოცანები

17 თებერვალს მოსკოვში გაიხსნა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი. მას შემდეგ, რაც კომინტერნის კონგრესი იკრიბება ორ წელიწადში მხოლოდ ერთხელ, კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმს რამოდენიმედ კონგრესის მნიშვნელობა მიეცა; იგი, ასე ვსთქვათ, შემოკლებულ კონგრესს წარმოადგენს.

კომინტერნის უკანასკნელი პლენუმი შესდგა გ. წ. მარტში. ამ ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მსოფლიო მდგომარეობაში. მარტის პლენუმმა აღნიშნა კაპიტალიზმის დროებითი და ნაწილობრივი სტაბილიზაცია. ეს სტაბილიზაცია იმას ოდნავადაც არ ნიშნავდა, რომ კაპიტალისტურმა მეურნეობამ შესძლო მსოფლიო ომით მიყენებულ ჭრილობების სავსებით მოშუშება და ნორმალურ განვითარების პერიოდში შესვლა, არამედ მხოლოდ იმას, რომ მან მოახერხა წინა წლებთან შედარებით რამოდენიმედ განმტკიცება, უშუალო დაშლისათვის თავის დაღწევა და ერთგვარი წონასწორობის მოპოვება.

დღეს ყველაზე აშკარად სჩანს კაპიტალიზმის სტაბილიზაციის დროებითი, მერყევი და ნაწილობრივი ხასიათი. სტაბილიზაციის ელემენტებთან ერთად მსოფლიო მეურნეობა უღრმეს კრიზისს განიცდის. ამ კითხვაზე, თუ რომელი პროცესი სჭარბობს—ბურჟუაზიული მეურნეობის განმტკიცების თუ დაშლის პროცესი, მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება—მისი რღვევა გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით და ფართე მასშტაბით მიმდინარეობს, ვინემ აღორძინების და სტაბილიზაციის პროცესი. ამის მაჩვენებელია მრეწველობის კრიზისი და უმუშევრობის ზრდა ინგლისში, სამეურნეო ნგრევა და რამდენიმე მილიონი უმუშევარი გერმანიაში, ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში, ეკონომიური და ფინანსიური კატასტროფა პოლონეთში და მრავალი სხვა.

კაპიტალიზმის სტაბილიზაცია თავის წიაღში ატარებს ბურჟუაზიულ მეურნეობის დაშლის საფრთხეს. მას აუცილებლად უნდა გამოეწვია ინტერესთა წინააღმდეგობის გაღრმავება ცალკე ქვეყნებს შორის. ამას კიდეც ვხედავთ. ამერიკა ეუფლება ევროპას, გართულებულია ურთიერთობა ინგლის-საფრანგეთ შორის და სხ. მოსჩანს ახალი მსოფლიო ომის ლანდი და კაპიტალისტური სახელმწიფოები გამალებით ემზადებიან ამისათვის, მიუხედავად განიარაღებაზე ლაყბობისა.

ამავე დროს მსოფლიო ბურჟუაზია ცდილობს თავის მდგომარეობის განმტკიცებას „თავის" მშრომელთა და აღმოსავლეთის ხალხების ხარჯზე. დიდძალი გადასახადები, სამუშაო ხელფასის დაკლება, კოლონიების უსაზღვრო ექსპლოატაცია,—აი რას ემყარება კაპიტალიზმის სტაბილიზაციის პროცესი. ეს კი იწვევს ერთი მხრით ევროპის მუშათა კლასის გარევოლიუციონერებას, მეორე მხრივ—კოლონიებსა და ნახევრად კოლონიებში ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობის გაშლას.

განსაკუთრებულ მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის განმტკიცება, მისი მეურნეობის აღორძინება, მიუხედავად ეხლანდელი დროებითი სიძნელეებისა და დაბრკოლებებისა. ეს უდიდეს მსოფლიო რევოლიუციონურ ფაქტორის როლს თამაშობს.

ასეთია ის საერთო პირობები, რომლებშიაც შეიკრიბა კომინტერნის აღმასკომის პლენუმი. ასეთი მდგომარეობა განსაზღვრავს კომპარტიების დღევანდელ ამოცანებს, რომლებიც პლენუმმა უნდა ჩამოაყალიბოს.

ჩვენს პარტიებს საერთოდ შეგნებული აქვთ ეხლანდელი მომენტის თავისებურობა და ამის მიხედვით აწარმოებენ მუშაობას. ამ მუშაობის შედეგები თვალსაჩინოა. კომუნისტური პარტიების გავლენა მშრომელ მასსებში გაძლიერდა. კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე ხდება მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნა. მთლიანობის ეს მოძრაობა კომუნისტების ხელმძღვანელობის ქვეშ მიმდინარეობს. სოციალ-დემოკრატია ალაგ-ალაგ იძულებულია ანგარიში გაუწიოს პროლეტარიატის ლტოლვას მთლიანობის აღდგენისაკენ, რა თქმა უნდა, ტაქტიკური მოტივებით, რომ არ დარჩეს გარიყული. კომუნისტები რაზმავენ მუშებს შეტევაზე გადმოსულ ბურჟუაზიის წინააღმდეგ და მისი იმპერიალისტური „მოღვაწეობის" ასალაგმავად. იკვრება ერთიანი ფრონტი არა მარტო ევროპის მუშებს შორის, არამედ მათსა და აღმოსავლეთის მშრომელთა შორის. ამავე დროს ძლიერდება ევროპის მუშათა კლასის სიმპატიები საბჭოთა კავშირისადმი, რაც გამოხატულებას ჰპოულობს მათ მიერ ჩვენთან დელეგატების გამოგზავნაში.

თვით კომპარტიებში ბოლო ეღება ავადმყოფურ მოვლენებს, როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე გადახრებს. მათში ტარდება ბოლშევიზაცია როგორც ორგანიზაციულად, ისე იდეურად. ლენინიზმი თანდათან უფრო ღრმად იდგამს ფესვებს ჩვენს მოძმე პარტიებში.

კომპარტიების შინაგანი განმტკიცება—ერთერთი ძირითადი პირობაა მათი გამარჯვების. მათ ამოცანას შეადგენს ყოველგვარი გადახრის სრული ლიკვიდაცია და ლენინიზმის იდეურ და ორგანიზაციულ საფუძვლებზე აბსოლიუტური მთლიანობის განხორციელება. ბრძოლა ერთიანი ფრონტის მისაღწევად, დაპყრობა მუშათა უმრავლესობის და რეფორმისტული განწყობილების დაძლევა, სოციალ-დემოკრატიის განაპირება—ამ მიმართულებით უნდა გააძლიერონ მათ მუშაობა. კომპარტიებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ გლეხობას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მიღწევები უკვე გვაქვს, მაგ. ჩეხო-სლოვაკიაში, სადაც კომპარტიამ შესძლო სწორი პოლიტიკის წარმოებით მშრომელ გლეხობის დიდი ნაწილის შემოკრება თავის გარშემო. დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე საფრანგეთის გლეხთა ორგანიზაციის შემოერთება გლეხინტერთან. მაგრამ ევროპის ქვეყნებში მეტად ბევრი რამაა კიდევ ამ დარგში გასაკეთებელი. კომპარტიები ლენინურად უნდა მიუდგენ გლეხთა საკითხს და შესძლონ გლეხობის ჩაბმა რევოლიუციონურ ბრძოლაში, მუშათა კლასთან ერთად. კერძოდ უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტურ მოძრაობის განვითარებას აღმოსავლეთში, რაც სრულებით არ არის ნიადაგს მოკლებული. ეს დაგვანახვა ჩინეთის მაგალითმა, სადაც კომპარტია საგრძნობი გავლენით სარგებლობს. უნდა შეიკრას ნამდვილი კავშირი ევროპის მუშათა კლასის ბრძოლასა და აღმოსავლეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობას შორის. „გაუმარჯოს დასავლეთის და აღმოსავლეთის მშრომელთა კავშირს"—ასე მიმართა პლენუმზე ინგლისელმა დელეგატმა აღმოსავლეთის მშრომელთა წარმომადგენლებს. და ეს კავშირი ცალიერი სიტყვა არ არის. ის სავსებით შესაძლებელია და საწინდარია მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვების.

დღევანდელი რთული მდგომარეობა, კაპიტალისტური მეურნეობის კრიზისი, აქედან წარმოშობილი მუშათა კლასის გაჭირვება და უმუშევართა არმიის ზრდა ხელსაყრელ პირობებს ქმნიან რევოლიუციონურ მოძრაობისთვის და კომუნისტურ პარტიების მუშაობისათვის, მიუხედავად იმ სასტიკი რეპრესიების, რომლებსაც ჩვენი პარტიები განიცდიან.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი დასახავს კონკრეტულ ამოცანებს, ეხლანდელ ვითარების აღრიცხვის ნიადაგზე და გამოიმუშავებს ლოზუნგებს, რომლებიც ჩვენს პარტიებს გაუადვილებენ ამ ამოცანების გადაჭრას.

ლენინიზმის იარაღით ხელში კომინტერნი გააგრძელებს მსოფლიო მუშათა კლასის ძალების მობილიზაციის ძლევამოსილი რევოლიუციონური ბრძოლებისათვის.

საბჭოთა მეურნეობის სადღეისო საკითხები

შემოდგომის წვიმიან დღეებმა საგრძნობი ზიანი მიაყენეს წარსული წლის პურის მოსავალს. როგორც ეს ეხლა საკავშირო საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით ირკვევა, ნავარაუდევი მოსავალი შემცირდა 5 პროცენტით, რაც ფუთებზე გადაყვანით წარმოადგენს 200 მილიონ ფუთ პურს.

ყველაზე უფრო საგულისხმო აქ ისაა, რომ ეს დანაკლისი შეეხო არა იმდენათ გლეხის მეურნეობის ძირითად გამოსაკვებ მარაგს, რამდენათაც ბაზარზე გამოსატან პურს. ამრიგად მთავარი საექსპორტო საქონელი, პური, მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც თავისი გავლენა იქონია ჩვენს საგარეო ვაჭრობაზე.

საჭირო გახდა მთელი საექსპორტო-საიმპორტო გეგმის გადასინჯვა და მასში მნიშვნელოვან შესწორებების შეტანა, რომელნიც გულისხმობენ შემოსაზიდ გეგმის იმისდათანაბრად შეკვეცას, რამდენადაც შემცირდა საექსპორტო გეგმა.

ეს ზომა გამოწვეულია საბჭოთა მანეთის სიმტკიცეს დაცვისათვის, რომლის ბედიც ბევრათაა დამოკიდებული ჩვენს საგარეო ვაჭრობის ბალანსის აქტივობა თუ პასივობაზე.

ასეთია ერთი იმ სიძნელეთაგანი, რომელიც წარმოიშვა პურის რეალიზაციის შეფერხებით და რომელიც თავის გამოძახილს ჰპოულობს ქვეყნის მეურნეობის თითქმის ყველა დარგში.

გარდა ამისა ფართე აღორძინების გზაზე მდგომ მრეწველობას აქვს საკუთარი შინაგანი ტკივილები, რომელიც ცნობილია ეგრეთ წოდებულ ზრდის ტკივილებით. მრეწველობის ფართე გაქანებამ, ტვირთზიდვის გაფართოებამ და ამის თანაბრად ტრანსპორტის მუშაობის გადიდებამ, შექმნა სათბობი მასალის [illegible] მაგარი, ისე თხელი სათბობი მასალის ამოღება ვერ მისდევს ფეხ და ფეხ ჩვენი მრეწველობის საერთო ზრდას და სათბობი მასალის საკითხი ერთ-ერთ მწვავე ამოცანათ სდგას ჩვენი მეურნეობის წინაშე.

ინფლიაციის, ფულის ნიშნების გამრავლების თავიდან ასაცილებლათ, საფინანსო ორგანოები იძულებულნი არიან შეამცირონ საკრედიტო ბრუნვა, რაზედაც მჭიდროთაა დამოკიდებული მრეწველობის განვითარების ბედი. ამ შემცირებასთან დაკავშირებით მთელ რიგ წარმოებებს ძალაუნებურათ შეუხვდებათ იმ ფართე აღორძინების გეგმების შეკვეცა, რომელიც თავიდანვე ჰქონდათ დასახული.

ამავე დროს სოფლის მეურნეობის აღორძინებამ და შრომის ხელფასის მომატებამ ბუნებრივათ წარმოშვა მოსახლეობის სყიდვითი უნარის ზრდა. ბაზარი დამშეულია და დაჟინებით მოითხოვს მრეწველობისაგან საქონელს.

მეორე მხრივ სოფლის მეურნეობის შემდეგი განვითარება ბევრათაა დამოკიდებული ამ მეურნეობის მექანიზაციაზე. ტრაქტორი დღეს საბჭოთა კავშირში გლეხის მეურნეობის საჭირბოროტო ამოცანას წარმოადგენს. ჩვენს საიმპორტო ოპერაციებში კი სოფლის მეურნეობის იარაღებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამიტომ, მიუხედავათ იმისა, რომ სოფლის მეურნეობა თავის განვითარებით წინ უსწრებს მრეწველობაზე ჩვენ ვერ დაუშვებთ სოფლის მეურნეობის შეჩერებას და მაღალი ყურადღების მრეწველობის მიპყრობას სოფლის მექანიზაცია ჩვეულებრივ გზით უნდა მიმდინარეობდეს.

ამ უსწორ-მასწორობის დაძლევა უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მრეწველობის განვითარების მეტი „დაჩქარებით." ამ შემთხვევაშიაც საიმპორტო ოპერაციას უაღრესი მნიშვნელობა ეძლევა. ჩვენი მრეწველობა ბევრათაა დამოკიდებული უცხოეთის ბაზრისაგან არა მარტო ტეხნიკურ აღჭურვილობის მხრივ, არამედ ნედლეულობითაც კი. ასე, მაგალითად, საბჭოთა კავშირის საფეიქრო მრეწველობა გარდა თურქესტანისა და ამიერ-კავკასიის ბამბისა, იკვებება აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატების ბამბითაც.

ამნაირათ, საბჭოთა მეურნეობის წინაშე აღორძინებითი პროცესის მიწურულში აღმართულია საგრძნობი დაბრკოლებანი, რომელნიც, რასაკვირველია, არ წარმოადგენენ დაუძლეველ საშიშროებას, მაგრამ რომლებზედაც უთუოდ საჭიროა მშრომელი მასის ყურადღების შეჩერება.

რა გზით უნდა მიმდინარეობდეს ბრძოლა ამ დაბრკოლებათა წინააღმდეგ? პირველყოვლისა საჭიროა აქტიური საექსპორტო-საიმპორტო ბალანსის შექმნა. ამის შესაძლებლობა არსებობს. მართალია, ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას გავზიდოთ პური გარეშე ბაზარზე ძველი ანგარიშის მიხედვით, მაგრამ ამავე დროს არის შესაძლებლობა საექსპორტო ოპერაციების გაფართოებისა, თუნდაც იმავე სოფლის—მეურნეობის [illegible]

საკავშირო საგეგმო კომისიის ცნობების თანახმად, გასულ წელს სოფლის მეურნეობის მეორეხარისხოვან დარგებში ჩვენ საქმე გვაქვს პროდუქციის 150 მილიონ მანეთით ზრდასთან. გაძლიერება საექსპორტო ოპერაციების ამ პროდუქციის ხარჯზე და მთელი ენერგიის დაჭიმვა სხვა საექსპორტო საქონლის გასადიდებლათ (ტყე, ბეწვეული, ნავთი და სხვა).

მეორე მხრივ ერთხელ კიდევ დგება ჩვენს წინაშე მუდამ ძველი და მუდამ ახალი საკითხი შრომის ნაყოფიერების ზრდის შესახებ, რომელსაც უკანასკნელ ხანებში ერთგვარი დაცემა ეტყობა.

ამასთან ერთად ჩვენი სამეურნეო ორგანოების წინაშე ისმება საკითხი განვითარების მადის შეკვეცის შესახებ. მრეწველობის შემდეგი წინმსვლელობა უნდა შეფარდებულ იქნას ჩვენს საერთო ეკონომიურ და ფინანსიურ შესაძლებლობასთან.

ამრიგათ, ბრძოლა აქტიურ საექსპორტო-საიმპორტო ბალანსის შესაქმნელად, შრომის ნაყოფიერების ზრდა, მტკიცე საბჭოთა მანეთზე დაფუძნებული და რეალურ შესაძლებლობასთან შეთანხმებული აღორძინებითი მუშაობა,—აი საბჭოთა მეურნეობის წინმსვლელობის უახლოესი გზა, რომელიც მიგვიყვანს ჩვენ გამარჯვებამდე.

ა. ჰ.

საბჭოთა პრესა

კოოპერატიული განათლება

კოოპერაციის უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში თავის თავად ცხადია. იგი სოციალისტური მშენებლობის მთავარი გზაა სოფლად. მაგრამ ამავე დროს ისიც უდავოა, რომ ჩვენი კოოპერაციის მუშაობა ჯერ კიდევ ძალზე მოისუსტებს. ამის ერთ-ერთი მიზეზია მომზადებულ კოოპერატიულ მუშაკების სიმცირე და საერთოდ კოოპერაციულ განათლების სისუსტე მოსახლეობაში.

„კოოპერატიულ მშენებლობის გაშლის პროცესში,—სწერს „პრავდა",—ჩვენ თვით ხალხთა მასსიდან გამოვიყვანეთ სამუშაოდ ათეულ ათასობით ახალი აქტიური მოღვაწე. მაგრამ ამ განსაკუთრებულ პოლიტიკურ მნიშვნელობის უდიდეს მიღწევას თან ახლავს თავისი უარყოფითი მხარე—მრავალ შემთხვევაში კოოპერაციას განაგებენ მოუმზადებელი პირები. მოუმზადებელნი არა მარტო ტეხნიკურად, მაგ., ვაჭრობის და ანგარიშწარმოების უნარის მხრივ, არამედ საზოგადოებრივი თვალსაზრისითაც—კოოპერაციის გარშემო აქტივის შექმნის, მოსახლეობის ნივთიერ დაინტერესების აწევის და, ბოლოს, საზოგადოებრივი საშუალებათადმი უბრალო ხელმომჭირნე დამოკიდებულების უნარის მხრივ თაც. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მტაცებლობის და მფლანგველობის ტალღას კოოპერაციაში 50 პროც.-ით მაინც საფუძვლად უდევს მოსახლეობის ეს მოუმზადებლობა ტეხნიკურ და საზოგადოებრივ მუშაობისათვის".

მასიური კოოპერატორის კულტურული დონის ამაღლების გარეშე, მომზადებული კოოპერატიული მუშაკების საკმაო კადრის შექმნის გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი კოოპერაციის მუშაობის და ორგანიზაციის თვისების გაუმჯობესებაზე. უნდა გავაძლიეროთ სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა კოოპერაციის გარშემო მოსახლეობაში. პრესამ ჯეროვანი ყურადღება უნდა დაუთმოს ხალხის კოოპერატიულ განათლების საკითხებს. კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ სპეციალური კურსები კოოპერატიულ მუშაკების მოსამზადებლათ. განათლების უწყებამ კოოპერაციის სწავლებას სკოლებში უნდა მიაკუთნოს საკმაო ადგილი. გაძლიერებულ უნდა იქნას საინსტრუქციო მუშაობა და სხ. ასეთია გზა კოოპერაციის მუშაობის გაჯანსაღების და მოსახლეობის კოოპერატიულ შეკავშირების.

კომინტერნის აღმასკომის მე-6 გაფართოებული პლენუმი

ამხ. ზინოვიევის სიტყვა: წარსული წლის განმავლობაში კომინტერნს დიდი მიღწევები აქვს—ყველა ქვეყნებში კომპარტიის გავლენა იზრდება. მემარცხენე და მემარჯვენე გადახრები აღმოფხვრილია.—საერთაშორისო ფაშიზმი აძლიერებს რეპრესიებს.—ერთი წლის განმავლობაში დაპატიმრებულია 40.000 რევოლიუციონერი, შეტაკებების დროს დასჭრეს 13.000 კაცი, მხეცურად აწამეს 4.300 კაცი.—კაპიტალიზმის სტაბილიზაციას დროებითი ხასიათი ჰქონდა. კომპარტიების ბოლშევიზაციის ლოზუნგმა სავსებით გაამართლა თავისი თავი.

კომინტერნი და მისი გაფართოებული პლენუმი ბოლომდი დარჩება ლენინიზმის ერთგული

ამხ. ზინოვიევის სიტყვა

მოსკოვი. 17 თებ. საღამოს გაიხსნა კომინტერნის აღმასკომის მეექვსე გაფართოებული პლენუმი. კრების გახსნისას ზინოვიევი წინადადებას იძლევა ფეხზე ადგომით პატივი სცენ ამხ. ფრუნზეს ხსოვნას.

„წარსული წლის განმავლობაში—სთქვა ზინოვიევმა—მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები იყო, რა თქმა უნდა, შეცდომებიც. ასეთ შეცდომას წარმოადგენს გერმანიის კომპარტიის ტაქტიკა უკანასკნელ საპრეზიდენტო არჩევნების დროს: ეს ტაქტიკა, საზიანო იყო არა მარტო გერმანიის კომპარტიისათვის, არამედ კომინტერნისათვისაც.

კომინტერნის უმთავრეს წარმატებას წარმოადგენს ორი ახალგაზრდა კომპარტიის—ინგლისის და ჩინეთის კომპარტიის მოქმედება. ამ პარტიებმა, მიუხედავათ თავისი მცირერიცხოვანობისა, ჩაატარეს მასსიური მუშაობა. წარსულ წელს ეს პარტიები რიცხობრივად გაიზარდენ 3—7 ჯერ. ჩინეთის კომპარტიის მოქმედებამ დაგვანახვა, რომ კომინტერნის კომუნისტური იდეების გზა მიდის არა მარტო დასავლეთ ევროპასა, არამედ აღმოსავლეთზედაც.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიამ კომინტერნის აღმასკომის მეხუთე და მეექვსე პლენუმებს შუა გადალახა მემარჯვენე გადახრის მწვავე კრიზისი [illegible] ტერნის ერთ-ერთ უერთგულეს სექციას.

საფრანგეთის კომპარტიამ გამოიჩინა უდიდესი აქტივობა და წარჩინებულად იბრძოდა მაროკოს და სირიის ომის წინააღმდეგ.

იტალიის კომპარტიამ წარსულ წელს შესძლო ულტრა მემარცხენე გადახრის ლიკვიდაცია და გახდა უძლიერესი მუშათა პარტია იტალიაში მიუხედავათ ფაშისტების მხრივ დევნისა. უახლოეს ამოცანას შეადგენს მშრომელთა ფართო მასსების დაპყრობა. განსაკუთრებით სამძიმო აღმოჩნდა წარსული წელი ბულგარეთის კომპარტიისათვის, რომელმაც დაჰკარგა საუკეთესო თავისი მებრძოლები. მაგრამ ეხლა ბულგარეთის კომპარტია დადგა თავის აღდგენისა და ძალთა მობილიზაციის გზაზე.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ პოლონეთის კომპარტიამაც საბოლოოდ გადალახა საშინაო კრიზისი. ამჟამად პოლონეთში უმუშევრობის არაჩვეულებრივი ზრდა ხდება და უმუშევრები აქტიურად გამოდიან. პოლონეთის კომპარტიაც აგრეთვე შეუდგა თავისი ისტორიული როლის შესრულებას.

კომუნისტიური იდეები თანდათან მეტს სიმპატიებს იპყრობენ მშრომელების მასაში. წარსულ წელს საბჭოთა კავშირისა და კომინტერნისადმი სიმპატიებით გაიმსჭვალენ მთელი მსოფლიოს მუშების ახალ-ახალი მასსები.

კომინტერნის წარმატებებთან ერთად უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე გლეხინტერნის პირველი წარმატებანი. მთელი დედამიწის გლეხებს შორის სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა. კომპარტიები უდიდეს ყურადღებას აქცევენ მუშაობას გლეხებს შორის.

საკმარისია აღვნიშნოთ მარჯვენე გადახრის წარმატებით გადალახვა ჩეხო-სლოვაკიის პარტიაში, სადაც ბუბნიკის ჯგუფი არარაობათ იქცა. თვით პარტია შიგნივ საბოლოოდ განმტკიცდა და გადაიქცა უძლიერეს მუშათა პარტიად ჩეხო-სლოვაკიაში.

ზინოვიევი გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ კომინტერნის აღმასკომის მეექვსე გაფართოებული პლენუმი გამონახავს სწორ გზას საფრანგეთის კომპარტიაში შემჩნეულ მარჯვენივ გადახრის მოსასპობად.

ზინოვიევი მოიგონებს, რომ სწორედ წარსულ პერიოდში განსაკუთრებით ბევრი იყო თეთრი ტერორის მსხვერპლი კაპიტალისტურ ქვეყნებში. „რომედას"-ის ცნობით უკანასკნელ წლის განმავლობაში დაპატიმრებულ რევოლიუციონერების რიცხვი უდრიდა 40.000 კაცს, მუშათა კლასის სხვადასხვა გამოსვლების დროს დაჭრილთა რიცხვი—13.000 კაცს აღწევს, ხოლო მოკლულთა და მხეცურად წამებულთა რიცხვი—4.300 კაცს.

„კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი—ამბობს ზინოვიევი,—მხურვალე კომუნისტურ სალამს უძღვნის კაპიტალიზმის ციხეებში მომწყვდეულ ამხანაგებს.

თუ წარსულმა გაფართოებულმა პლენუმმა აღნიშნა კაპიტალიზმის შედარებითი სტაბილიზაცია, დღევანდელ პლენუმს საფუძველი აქვს აღნიშნოს, ამ „სტაბილიზაციის" [illegible] ხასიათი.

წინა პლენუმის მიერ შემუშავებული კომპარტიების ბოლშევიზაციის ლოზუნგი სავსებით გამართლდა; მან ხელი შეუწყო კომპარტიის გავლენის განმტკიცებას და ზრდას და იგი თითქმის განხორციელებულია.

პლენუმმა უდიდესი ყურადღებით უნდა განიხილოს და დაამუშაოს კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ მიღებული თეზისები პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ზინოვიევი ხაზს უსვამს ამ თეზისებში მოყვანილ მითითებებს იმ გარემოებაზე რომ წარსულ წლებში კომპარტიები ყოველმხრივ განმტკიცდენ და თითქმის ყველგან სძლიეს კომუნიზმის საყმაწვილო სნეულებება; ამიტომ ისინი უნდა გახდენ უფრო დამოუკიდებელნი, მათ უნდა შექმნან და გააფართოონ ნამდვილი ბოლშევიკური შინაპარტიული დემოკრატია დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზე.

თავისთავად ცხადია გავლენა საკავშირო კომპარტიის, რომელიც არის კომინტერნის უძლიერესი და ყველაზე მდიდარი ისტორიული გამოცდილების მქონე სექცია, დიდხანს გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნება. მოძმე პარტიების არსებობის 6—7 წლის განმავლობაში მათ თვითონ მოიპოვეს ძვირფასი ისტორიული გამოცდილება და მათ უნდა მიეცეთ როგორც მეტი დამოუკიდებლობა და თვითმოქმედება, ისე მეტი მონაწილეობა იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებიც შეეხებიან მთელს ინტერნაციონალს.

ზინოვიევი აცხადებს. რომ პლენუმი და კომპარტია თავისი მუშაობით დაამტკიცებენ უსაფუძვლობას და სიყალბეს ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ პრესის მიერ გავრცელებულ ლეგენდების „კომინტერნის" მარჯვენით გადახრის შესახებ. კომინტერნი, აცხადებს ზინოვიევი, არ გადაიხრება არც მარჯვნივ, არც ულტრა-მემარცხენე მიმართულებისაკენ. ის არის და დარჩება იმ კომინტერნად, რომელიც შექმნა ლენინმა. გაფართოებული პლენუმი წავა კომინტერნის მეოთხე კონგრესის მიერ ნაჩვენები გზით, რომელიც სავსებით გამართლებულია. კომინტერნი და მისი გაფართოებული პლენუმი ლენინიზმის ერთგული დარჩება ბოლომდე (ტაში).

პრეზიდიუმის არჩევა

მოსკოვი, 18 თებერვ. შემდეგ პლენუმი ერთხმად ირჩევს პრეზიდიუმს და სამდივნოს. პრეზიდიუმში არჩეული არიან: **ზინოვიევი, სტალინი, ბუხარინი, ტელმანი, სემარი, გეშკე, შმერალი, ჯენარი, ფერგუსონი, კრეგე, სომბრი, ლოროპი, ჩილბუმი, კატაიამა, კლარა ცეტკინი, როი, მანუილსკი, ფრესიოვიჩი, დაიამი, ფერდი, ბოგუცკი, დიმიტროვი, სუფან და ხემა ოენი.**

სამდივნოში შედიან: კუუსინენი, ემბერ-დრო, კიუნე, პიატნიცკი, ჯეკობი, კორნბლიუმი, ნეირატი, ბროუნი და პეპპერი.

პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი დღის წესრიგი უცვლელად იქნა მიღებული.

სამანდატო კომისიის მოხსენება

ემბერ დრო სამანდატო კომისიის სახელით იუწყება, რომ პლენუმზე წარმოდგენილი არიან (გამოტოვებულია). კომპარტიები 93 დელეგატის სახით. კომინტერნის აღმასკომის 43 წევრიდან ესწრება 23, 27 კანდიდატიდან—14 კაცი. გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს 49 დელეგატს, სათათბირო—44-ს.

შემდეგ დამტკიცებული იქნა კომისიის შემადგენლობა დღის წესრიგში დასმულ საკითხების დასამუშავებლად. არჩეული იქნა 9 კომისია.

მისალმებანი

პირველად პლენუმს ესალმება ჩინეთის კომპარტიის 10.000 წევრის სახელით სუფანი, რომელსაც დელეგატები უმართავენ ოვაციებს. ყველანი დგებიან და მღერიან „ინტერნაციონალს".

შემდეგ გამოვიდა გომინდანის პარტიის ცეკას წევრი, კანტონის არმიის წარმომადგენელი ხუ-ხან-მინი, რომელსაც [illegible] ციებით ხვდებიან.

ხუ-ხან მინი ესალმება პლენუმს თავისი პარტიის სახელით.

„დღევანდელ გომინდანს—ამბობს ხუ-ხან მინი—რომელიც თანდათან მტკიცდება ჩინეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის არაჩვეულებრივი აღორძინების ფონზე, ვერ წარმოუდგენია თავისი დიადი განმანთავისუფლებელ მიზნების განხორციელება სხვაგვარად, თუ არა მჭიდრო კონტაქტში იმ მსოფლიო რევოლიუციურ ორგანიზაციასთან, რომელმაც ლენინის ხელმძღვანელობით შეიგნო, შეაფასა და საქმით წააქეზა ჩაგრულ ხალხთა დიდი განმანთავისუფლებელი ბრძოლა".

მქუხარე ტაშის ხმაურობაში ხუ-ხან-მანი ათავებს თავის სიტყვას და მხურვალე სალამს უძღვნის ჩინეთის ხალხის რევოლიუციონურ ავანგარდს, მის მეგობარს და წინამძღოლს—კომინტერნს.

შემდეგ პლენუმს მიესალმა [illegible]

პრეზიდიუმის წევრი ბრაუნი ინგლისის კომპარტიის სახელით ესალმება აღმოსავლეთის მშრომელთა წარმომადგენლებს და ათავებს თავის მისალმებას შემდეგი სიტყვებით: „გაუმარჯოს დასავლეთის და აღმოსავლეთის მშრომელთა კავშირს! გაუმარჯოს ლენინიზმს" (მქუხარე ტაში)

სხდომა იხურება.

შემდეგი სხდომა დანიშნულია შაბათს დილით, დღის წესრიგში: ზინოვიევის მოხსენება კომინტერნის მუშაობის შესახებ.

საორგანიზაციო თათბირი

მოსკოვი, 18 თებერვ. კომინტერნის საორგანიზაციო თათბირის სხდომა გაგრძელდა 10-დან 17 თებერვლამდე. საკავშირო კომპარტიის დელეგაციისა და კომინტერნის აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების მუშაკების გარდა თათბირს დაესწრნენ საფრანგეთისა, ინგლისისა, ჩეხო-სლოვაკიისა, იტალიისა, ამერიკისა, ნორვეგიისა და სხვა კომპარტიების დელეგაციები. დელეგაციების შემადგენლობაში არიან გერმანიისა, საფრანგეთისა, ჩეხო-სლოვაკიის ცალკე უჯრედების მდივნები და აგრეთვე ზემოდ აღნიშნულ პარტიების ცალკე რაიკომების და მუშკომების მდივნები. განსახილველი საგანი იყო: უჯრედების მუშაობა, პარტაპარატი და ფრაქციები. საორგანიზაციო განყოფილებამ ყველა ამ საკითხებზე დაამზადა მასალები, რეზოლიუციები და ინსტრუქციები.

საორგანიზაციო თათბირმა ჯამი გაუკეთა მთელი წლის მუშაობას და მიღებულ გამოცდილებას.

პრინციპიული ხაზი ჩამოყალიბებულ იქნა კომინტერნის წინანდელი გადაწყვეტილებისა და შარშანდელ პირველი საორგანიზაციო თათბირის მიერ. მეორე საორგანიზაციო თათბირი პირველისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ აქ მომხსენებლებათ გამოდიოდენ დაბალი საფეხურების, უჯრედების და რაიკომების მუშაკები და მონაწილეობას იღებდენ აგრეთვე საკავშირო კომპარტიის დელეგაციები, რომელთაც თავისი მდიდარი საორგანიზაციო გამოცდილება გაუზიარეს დასავლეთ ევროპის ამხანაგებს.

17 თებერვალს კომისიების მიერ შემუშავებულ რეზოლიუციების ერთხმად მიღების შემდეგ საორგანიზაციო თათბირი დაიხურა. დახურვის წინ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა კომინტერნის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ პიატნიცკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმატება საორგანიზაციო დარგში—ყველასთვის აშკარაა. საორგანიზაციო ტაქტიკა დაკავშირებულ უნდა იქნეს პარტიის საერთო პოლიტიკასთან. პარტიის რეორგანიზაციამ და უჯრედების შექმნამ ახალი ელემენტები მისცა პარტიას. პარტიის წევრთა რიცხვი ყველგან გაიზარდა. იგივე შეიძლება ითქვას პარტიული პრესის ტირაჟის შესახებ. საქარხნო გაზეთების საშუალებით ჩვენ გავაფართოეთ ჩვენი გავლენა ფართო მასებზე, რომელიც აქამდის ჩვენი გავლენის გარეშე რჩებოდა. უჯრედების საშუალებით ჩვენ კონტაქტი დავამყარეთ ფართო მასებთან. პროფკავშირებში დავრაზმეთ მუშათა ახალი ფენები. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ უფრო დაუახლოვდეთ ფართო სოციალ-დემოკრატიულ მასებს.

ურთიერთობა ოსმალეთთან

ანგორის ოფიციოზი ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ

ანგორა, 17 თებ. ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაციის კანონს ხელი მოაწერა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ქემალ-ფაშამ.

„ხაკი მიეტ მილლიე" ეხება რა ხელშეკრულების მნიშვნელობას, სწერს:

„ორივე სახელმწიფოს ბედ-იღბალი გადაჯაჭვულია".

გაზეთი აღნიშნავს ძირითად ცვლილებას რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობაში ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. ეს აიხსნება საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური როლით ევროპაში და ოსმალეთის როლით აღმოსავლეთში; ორივე იმპერიალიზმს ემუქრება. იმპერიალიზმი თავის მხრივ, ხედავს ამ საფრთხეს და ემზადება ახალ გამოსვლისათვის.

გაზეთი იხსენიებს ორივე ქვეყნის ურთ-ერთი დახმარებას თავისუფლებისათვის ბრძოლაში და სწერს: „საურთიერთო დახმარება და საერთო საფრთხე დღით-დღე ხელს უწყობს გულწრფელი მეგობრების განმტკიცებას, მაგრამ საფრთხე ჯერ კიდევ არ არის თავიდან აცილებული. ლოკარნო და მოსული მიმართულია ორივე ქვეყნის წინააღმდეგ, რომელნიც აღმოსავლეთის პოლიტიკის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენენ".

აჯანყება სირიაში

ინიციატივა მეამბოხეთა ხელშია

ანგორა, 17 თებ. საერთო მდგომარეობას სირიაში წინანდებურად ახასიათებს ის გარემოება, რომ ფრანგებს არ შეუძლიათ გადამწყვეტი იერიშები მიიტანონ მეამბოხეების წინააღმდეგ, რომელთა ხელშიც ბრძოლის ინიციატივა.

მეამბოხეები ხშირ-ხშირად თავს ესხმიან ფრანგებს ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა პუნქტებში რათა ხელი შეუშალონ ფრანგების სამხედრო ნაწილების თავის მოყრას.

მოძრაობა ჰალებ-რაიაკის და დამასკო-დორაას რკინის გზის ხაზზე შეწყვეტილი იყო ერთი კვირის განმავლობაში. სანამ ფრანგებმა შესძლეს დანგრეულ გზის აღდგენა.

მეამბოხეები ერთსა და იმავე დროს თავს დაესხენ ფრანგებს ბოკააში (ჩრდილოეთით), ხაზმაში (სამხრეთით) და დამასკოში.

დამასკოს საველე სასამართლომ განაახლა თავისი მოქმედება. თითქმის ყოველ დღე სისრულეში მოჰყავთ სასიკვდილო განაჩენები. სასიკვდილო განაჩენის გამოტანისათვის საკმარის მოტივს წარმოადგენს ბრალდება „აჯანყების წაქეზებაში". სხვათა შორის ამ დღეებში დახვრეტილი იქნა მეამბოხეთა ცნობილ მეთაურის ჰასან-ელ-ხრატის შვილი.

მანჯურიის ავტონომიის გამოცხადება

ჩან-ძო-ლინი ახალი ავანტიურისათვის ემზადება

ინგლისელებმა კანტონს ბლოკადა გამოუცხადეს

თათბირი სახალხო არმიებთან „გადამწყვეტი“ ბრძოლის დაწყების შესახებ

სია-სია-ონანი მოწამლეს

პეკინი, 17 თებ. 14 თებერვალს საღამოს ხანკოუში გარდაიცვალა ხუბეის პროვინციის სამხედრო გუბერნატორი სია-სია-ონანი. ეჭვობენ, რომ **ის მოწამლეს მისმა პოლიტიკურმა მტრებმა.** ძალა-უფლება ხუ-ბეის პროვინციაში სავსებით უ-პეი-ფუს ხელში გადავიდა.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, სია-სია-ონანის სიკვდილმა ძალიან განამტკიცა უ-პეი-ფუს მდგომარეობა და გზა გაუკაფა მას მდინარე იანცზის სანაპირო რაიონში გასაბატონებლად.

ჩან-ცზო-ლინის გეგმები

პეკინი, 17 თებ. პრესის ცნობით, ჩან ცზო-ლინმა მიიწვია მუკდენში ლი-ჩინ-ლინი, რომელთანაც თათბირი ექნება უ-პეი-ფუს დახმარების საკითხის გარშემო.

ჩან-ცზო-ლინმა შანდუნის სამხედრო გუბერნატორს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ურჩევს თავს დაესხას ზურგიდან მეორე სახალხო არმიას, რათა შეასუსტოს ხონანის ჯარების წინააღმდეგობა, რომელნიც უ-პეი-ფუს ებრძვიან.

კანტონის ბლოკადა

პეკინი, 17 თებერვალი. ჩინეთის სააგენტოები იტყობინებიან ჰონკონგიდან, რომ რადგან ჩაიშალა მოლაპარაკება გაფიცვის და ბოიკოტის შეწყვეტის შესახებ, **ჰონკონგის ხელისუფლებამ გადასწყვიტა მიიღოს ზომები კანტონის ბლოკადის განხორციელებლად ზღვიდან.** ბლოკადაში მონაწილეობის მისაღებად მალტიდან ჩამოვიდა ინგლისის კრეისერი „იარმუტ“. კანტონში მიმოვალი გემები გაჩხრეკილი იქნებიან იმ მიზნით, რომ სულ ყველამ შეიძინოს ნებართვა ჰონკონგის ხელისუფლებისაგან.

„პეკინ ენდ ტიან-ზციან ტაიმს“ ეხება ჰონკონგის და კანტონის დამოკიდებულებას და სასტიკად აკრიტიკებს იაპონიის, ამერიკის, საფრანგეთის და ჰოლანდიის ფირმებს, რომლებიც ვაჭრობას აწარმოებენ უშუალოდ კანტონთან.

კანტონი და სვატოუ, სწერს გაზეთი, მრავალი თვის განმავლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბოიკოტში ინგლისის ყოველგვარი საქონლის მიმართ.

ჩან ძო-ლინის დამქაშების

[illegible], 17 თებ. 16 თებერვალს გაიმართა ჩან-ძო-ლინის მიერ მოწვეული გირინის, ხეილუნძიანის და მუკდენის პროვინციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც თავისი თავი გამოაცხადა საზოგადოებრივ ორგანიზაციების თათბირათ; მან უნდა განიხილოს მანჯურიის ავტონომიური პროვინციების სამინაო მმართველობის საკითხები.

თათბირმა კომისიას დაავალა მანჯურიის კონსტიტუციის შემუშავება. მანჯურიის სამი პროვინციის სათავეში უნდა იდგეს ფედერატიული მთავრობა.

თათბირმა მთელს ჩინეთში დაგზავნა დეპეშები, რომელშიაც აცხადებს, რომ ჩან-ძო ლინი სათავეში უნდა ჩაუდგეს ავტონომიურ მანჯურიას: **ეს მთავრობა არ უნდა სცნობდეს განკარგულებებს და ხელშეკრულებებს, რომლებიც დადებული აქვს პეკინის მთავრობას 1925 წლის 22 ნოემბრის შემდეგ.**

ავტონომიური მმართველობის აუცილებლობას თათბირი შემდეგნაირად ასაბუთებს:

„წითელთა გავლენა გაძლიერდა, ცენტრალური მთავრობა უთავბოლოდ მოქმედებს. იცემა მიზანშეუწონელი ბრძანებები. მთელს სახელმწიფოში გამეფებულია არეულობა“.

თათბირის აზრით, მანჯურიის ავტონომიური მმართვა-გამგეობა უნდა გაგრძელდეს, სანამ არჩეული არ იქნება რესპუბლიკის კაიონიერი პრეზიდენტი და არ შესდგება ძლიერი მთავრობა პეკინში.

მავნე „წითელი“ გაზეთი

ხარბინი, 17 თებ. ხარბინის პოლიციამ დახურა გაზეთი „დუნ-ბეი-ჯი-ბაო“ (გომინდანის მიმართულების), რომელიც გამოდიოდა ხარბინში ოთხი თვის განმავლობაში.

პოლიცია თავის განკარგულებას ასაბუთებს იმით, რომ „დუნ-ბეი-ჯი-ბაო“ იყო „მავნე წითელი გაზეთი“.

მუკდენი ახალი ავანტიურისათვის ემზადება

ხარბინი, 7 თებერ. დაირენის გაზეთი „მაინ-ჯი“ სწერს:

„მუკდენმა გადასწყვიტა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მიმართ დამოუკიდებლად იმოქმედოს, პეკინის გარეშე. დასახულია შემდეგი ღონისძიებები: რუსეთის და პეკინის დიპლომატიური ურთიერთობა მხედველობაში არ იქნება მიღებული. მუკდენი არ იცნობს რუსეთსა და პეკინს შორის დადებულ ხელშეკრულებებს; თუ რუსეთი არ მოისურვებს [illegible] დამოუკიდებლათ იმოქმედებს; თუ არ იქნება დაწყებული მოლაპარაკება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ, მუკდენი ზომებს მიიღებს თავისი შეხედულებით“.

ასეთივე ცნობები გამოაქვეყნა 13 თებერვალს იაპონიის გაზეთმა „მაინიციმ“, რომელსაც საერთოდ სწორი ცნობები მისდის მუკდენის შესახებ.

ამერიკული გაზეთი ჩინეთის ეროვნულ მოძრაობის შესახებ

პეკინი, 17 თებ. ამერიკული გაზეთი „ჩაინა პრესს-ი“, რომელიც მანხაიში გამოდის, მოწინავე წერილს უძღვნის ამას წინად ტიანძინში დაარსებულ „დაცვის ლიგას“, რომელშიაც შედიან უცხოელები და ჩინეთის რეაქციონური ჯგუფები. გაზეთი სწერს:

„როგორც ეკონომიური მოძღვრება—კომუნიზმი ვერასოდეს ვერ მოიმაგრებს ნიადაგს ჩინეთში. კანტონში დამყარებული რეჟიმი წარმოადგენს მხოლოდ ზოგიერთ ისეთ მეთოდების შეთვისებას, რომელიც პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება. კანტონელები სიძულვილით არიან გამსჭვალული თავიანთ მოწინააღმდეგე—ჰონკონგის ნავთსადგურისადმი, კანტონელებმა ისარგებლეს მოსკოვის დახმარებით, რადგან ხედავენ მასში ჰონკონგთან ბრძოლის საშუალებას. მთელმა დანარჩენმა ჩინეთმა მიიღო კომუნისტური იდეები არა როგორც ეკონომიური მოძღვრება, არამედ როგორც პოლიტიკური პროგრამა ჩინეთის განსათავისუფლებლად შინაურ და გარეშე მჩაგვრელთაგან. ჩინეთის ხალხში უკმაყოფილება ბოლშევიკებით ძალიან გაღვივდა. ეს საშუალებას აძლევს მათ შეასრულონ თავისი ამოცანა ნაკლები ძალების და საშუალებათა დახარჯვით.

დასავლეთის ხალხები ფიქრობენ, რომ ჩინეთი არ მომწიფებულა ჩინეთის ინტელიგენციის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებათათვის. ჩვენ წინააღმდეგობას უწევთ ამ მოთხოვნილებებს, რადგან ჩვენ იგი არ გვესმის და გვაშინებს. მიუხედავათ არახელსაყრელ საგარეო პირობებისა, ჩინეთში განვითარდა ნაციონალიზმი, რომელიც გადაიქცა ახალ ძალათ და რომელმაც აამოძრავა ჩინეთის ხალხის ყველა კლასები. ჩინეთის ხალხთა მასები [illegible] ილტვიან ეხლა თავისუფლებისაკენ. ამ მოძრაობის ჩაქრობა შეუძლებელია. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მდგომარეობის ეს ძირითადი ფაქტორები“.

ყალბი ფულების მკეთებელთა საქმე

ბეტლენის სიმამრის მხილება.

ვენა, 17 თებ. ბეტლენის სიმამრმა ტელეკიმ, რომელიც დაკითხულ იქნა, როგორც მოწმე, აღიარა, რომ 1922 წელს მან იცოდა, რომ ვინდიშგრეცი სჭრიდა ყალბ რუმინულ ლეის და გააცნო ვინდიშგრეცი ყალბი ფულის მჭრელთა ტეხნიკურ ხელმძღვანელს, სახელმწიფო ქარტოგრაფიული ინსტიტუტის უფროსს გერსეს.

მოლაპარაკება საფრანგეთთან

25 თებერვალს დაიწყება

პარიზი, 17 თებერვალი. საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება დაიწყება 25 თებერვალს.

მკვდრების „პროტესტი“

პარიზი, 17 თებერვალი. „ვიქტუარის“ ცნობით რუს ემიგრანტთა ეროვნულმა საბჭომ ბრიანს მიმართა პროტესტით საფრანგეთ საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების წინააღმდეგ.

კონფერენცია 8 საათის სამუშაო დღის შესახებ

ლონდონი, 17 თებ. არტურ მეტლანდმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ საერთაშორისო კონფერენცია 8 საათის სამუშაო დღის საკითხის განსახილველად სხვადასხვა ქვეყნების შრომის მინისტრთა მონაწილეობით 15 მარტს გაიხსნება. იაპონია კონფერენციაზე არ არის მიწვეული.

შვეიცარიის ფედერალური საბჭო საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ

ბერლინი, 17 თებ. 17 თებერვალს შვეიცარიის საკავშირო საბჭო, რომლის ტრიბუნები და დიპლომატიური ლოჟები ხალხით იყო გაჭედილი, იხილავდა ბურჟუაზიული პარტიების და სოციალ-დემოკრატების შეკითხვებს საბჭოთა კავშირის და შვეიცარიის ურთიერთობის შესახებ.

შეკითხვები

დასავლეთ შვეიცარიის თავისუფალ მოაზროვნეთა პარტიის (მთავრობის პარტიის) სახელით შეკითხვა შეიტანა ვალეტინომ, რომელმაც თავის სიტყვაში განსაკუთრებით აღნიშნა დასავლეთ შვეიცარიის ბურჟუაზიის მტრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ.

სოციალ-დემოკრატების სახელით შეკითხვა შეიტანა ჰიუბერმა. ჰიუბერის სიტყვას მეტად ზომიერი ხასიათი ჰქონდა. ჰიუბერმა განაცხადა, რომ ფედერალურ საბჭოს უფლება ჰქონდა არ უარეყო ჩიჩერინის მიერ გაგზავნილი შეურაცხმყოფელი ნოტები, მაგრამ მას თანავე აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ასეთი ნოტები სავსებით გასაგებია.

14 თებერვლით დათარიღული ცნობა, გარეშე საქმეთა სახალხო კომისრისა, ჰიუბერის აზრით, ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ ჩიჩერინი გაურბის შვეიცარიასთან შეთანხმებას, რათა ამ გზით მას არ მოესპოს არგუმენტი განიარაღების კონფერენციაზე მონაწილეობის წინააღმდეგ. დასასრულ ჰიუბერმა განაცხადა, რომ თუ კი მსოფლიო ომის მონაწილეებმა შეძლეს ზავის ჩამოგდება საბჭოთა კავშირთან, მით უფრო შესაძლებელია შეთანხმება შვეიცარიასა და საბჭოთა კავშირის შორის.

პრემიერ მოტას განცხადება.

შემდეგ გამოსულმა პრემიერმა მოტამ განაცხადა, რომ შვეიცარიის მთავრობამ მიიღო საფრანგეთის წინადადება შუამავლობის შესახებ, რადგან თვითონ მას საშუალება არ ჰქონდა პირველი ნაბიჯი გადაედგა საბჭოთა კავშირთან შეთანხმებისათვის. მაგრამ მოლაპარაკება ბერნსა და მოსკოვს შუა პარიზის საშუალებით წააწყდა მატერიალურ დაბრკოლებებს, რომელთაც არა ერთხელ შეუზღუდავთ ორივე მხარის კეთილი განზრახვა. [illegible] მიერ კონრადის და პოლუნინის საქმეზე, მოლაპარაკების დროს არ ყოფილა ნახსენები მიტომ, რომ სასამართლო დამოუკიდებელია. არ ყოფილა აგრეთვე აღძრული საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის საკითხი. გაკვრით მოტამ განაცხადა, რომ რამდენიც არ უნდა სურდეს საბჭოთა მთავრობას ცნობა შვეიცარიის მიერ, ამ სურვილს თავზე ვერ მოახვევს შვეიცარიას და ვერც განახორციელებს შვეიცარიის ხალხის სუვერენული ნებისყოფის წინააღმდეგ. ეს ყოვლად შეუძლებელია პოლიტიკურად გარდა ამისა, საბჭოთა წესწყობილების დიპლომატიურ ცნობას წინ უნდა უძღოდეს ყველა პოლიტიკურ და მატერიალურ საკითხების დამაკმაყოფილებლად მოწესრიგება საბჭოთა კავშირსა და შვეიცარიას შორის. თუმცა სხვა ქვეყნებმა საჭიროდ სცნეს ჯერ იურიდიულად ეცნოთ საბჭოთა მთავრობა, რომ შემდეგ საშუალება ჰქონოდათ მოლაპარაკება ეწარმოებიათ ამავე საკითხების შესახებ, მაგრამ ფედერალური საბჭოს თვალსაზრისი სხვაა. საბჭოთა მთავრობის იურიდიულად ცნობა გამოიწვევდა საბჭოთა საელჩოს დაუყონებლივ დაარსებას შვეიცარიაში.

ეს გარემოება კი, მოტას აზრით, შვეიცარიის თავისუფალი რეჟიმის გამო, ისეთ გაუგებრობებს შექმნიდა, როგორიც 1918 წელს იყო საყოველთაო გაფიცვის დროს.

საფრანგეთის მთავრობამ, მოტას სიტყვით, წარმოადგინა ისეთი ფორმულა, რომელიც ძალიან უახლოვდება საკავშირო საბჭოს ფორმულას (მოტა აქვეყნებს საფრანგეთის ფორმულას). ფედერალურმა საბჭომ საჭიროდ არ სცნო თავისი აზრის გამოთქმა ამ ფორმულის შესახებ, სანამ მას არ მიიღებს და საბჭოთა მთავრობა. ამასთან ერთად ფედერალურმა საბჭომ განაცხადა, რომ ის მზად არის შეასრულოს შერიგების და კეთილი სურვილის საგანგებო აქტი, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ უარჰყო საფრანგეთის წინადადება და ამით საბოლოოთ ჩაშალა მოლაპარაკება.

ფედერალური საბჭო, მოტას სიტყვით, მოქმედებდა ლოიალურად და ფრთხილად. მას მოუხდა შვეიცარიის საერთაშორისო მდგომარეობის და მისი ინტერესების დაცვა განსაკუთრებით რთულ და საშიშ პირობებში, რადგან საქმე ჰქონდა ისეთ მოწინააღმდეგესთან, რომლის თვალთმაქცობა ცნობილია.

კამათი

მოტას სიტყვის დასრულების შემდეგ გამოვიდა ვალეტონი, რომელმაც განაცხადა, რომ ის კმაყოფილია პრემიერის განმარტებით და, კერძოთ, მოლაპარაკების ჩაშლით.

რაც შეეხება ჰიუბერს, მან განაცხადა, რომ მოტას სიტყვამ ის არ დააკმაყოფილა სავსებით, რადგან [illegible] კავშირთან ურთიერთობის განახლების შესახებ.

მოტას საბოლოო სიტყვა

მოტამ საბოლოო სიტყვაში განაცხადა, რომ **ფედერალური საბჭო მზადაა ერთგვარ პირობებში განაახლოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.**

წინადადება კამათის დაწყების შესახებ ხმების უმრავლესობით უარყოფილი იქნა.

ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტში

პრაგა. 17 თებერვალი. პარლამენტის სხდომაზე სესიის გახსნის დროს ობსტრუქცია დაიწყო. შვეგლას და ბენეშს კომუნისტებმა მიაძახეს:

„როგორ არის საბჭოთა კავშირის ცნობის საქმე?“.

გერმანელებმა ხმამაღლა პროტესტი განაცხადეს მთავრობის ცირკულიარის წინააღმდეგ ნაციონალურ [illegible] შესახებ.

ბენეშის სიტყვა დაიფარა შეუწყვეტელი ხმაურობით. თავისი სიტყვის დასასრულს ბენეშმა კომუნისტებს შემდეგი რეპლიკა ესროლა:

„ამ გზით ჩვენ ვერ გვაიძულებთ საბჭოთა კავშირი ვიცნოთ“.

ბენეშის სიტყვის შემდეგ დეპუტატ გაკენმა გამოაქვეყნა კომუნისტების დეკლარაცია საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხი

ინგლისის პოზიცია

ლონდონი, 17 თებ. ინგლისის ბურჟუაზიული პრესა არჩევს ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხს და საერთოდ ეწინააღმდეგება ამ გაფართოებას. პრესას მხედველობაში არა აქვს გერმანიისათვის ადგილის მიცემა ლიგის საბჭოში. გაზეთების აზრით, ეს საკითხი უნდა განიხილოს და გადასჭრას საბჭომ და ლიგის პლენარულმა კრებამ. აღნიშნავენ, რომ თუმცა ინგლისის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს ამ საკითხს, მაგრამ საეჭვოა, რომ მან გაამჟღავნოს თავისი შეხედულებები მანამდე, სანამ დასრულდებოდეს თათბირი ახალშენებთან. ყოველ შემთხვევაში, ინგლისის მთავრობას აღებული აქვს ისეთი კურსი, რომლის მიხედვით ინგლისელ დელეგატებს ლიგის სხდომაზე ენიჭებათ საგრძნობი თავისუფლება ამ საკითხის განსახილველად.

თემთა პალატაში ჩემბერლენს შეკითხვა მისცეს, დაეკითხენ თუ არა ამ საკითხის შესახებ ახალშენებს. ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ერთა ლიგის სტატუტის თანახმად, მუდმივი ადგილი ერთა ლიგის საბჭოში აქვს საერთოდ მთელი ინგლისის იმპერიას. ამის გამო იმ პირს, ვისაც ეს ადგილი უჭირავს, ყოველ საჭირო მომენტში შეუძლია ილაპარაკოს ახალშენების სახელითაც, მაგრამ ცალკე შემთხვევებში ეს დამოკიდებულია გარემოებებზე და მოლაპარაკების ხასიათზე ინგლისის მთავრობასა და დომინიონების მთავრობებს შორის. ამავე დროს დომინიონებს აქვთ ცალკე წარმომადგენლობა ერთა ლიგის კრებაზე და იქ მათი წარმომადგენლები მოქმედობენ თავთავისი მთავრობების ინსტრუქციების თანახმად. ამ ჟამად ინგლისის მთავრობა უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას დომინიონებთან იმ საკითხის გარშემო, რომელიც შეეხება გერმანიის და სხვა სახელმწიფოების ჩარიცხვას საბჭოში მუდმივ წევრების სახით.

10 მარტი

ბერლინი, 18 თებერვ. ერთა ლიგის დელეგატების საბოლოო კენჭისყრა გერმანიის ლიგაში მიღების შესახებ მოხდება 10 მარტს, თუმცა ლიგის კრება ფორმალურად 8 მარტს გაიხსნება.

ბრიანი პოლონეთისათვის ცდილობს

პარიზი, 18 თებერვ. გერმანიის ელჩის საფრანგეთში ფონ-გეშის ცნობით, ბრიანმა განაცხადა, რომ მას აუცილებლად მიაჩნია პოლონეთის შესვლა ერთა ლიგის საბჭოში დიდი სახელმწიფოების თანასწორ უფლებებით და მისი აზრით ეს აუცილებლობა გამომდინარეობს ლოკარნოს ხელშეკრულების სისწორით შესრულებიდან. ვინაიდან პოლონეთი უშუალოდ დაინტერესებულია მნიშვნელოვან ევროპიულ საკითხებში, უმჯობესი იქნება, თუ ის თავის ინტერესებს თვით დაიცავს. გარდა ამისა ბრიანი ფიქრობს, რომ საბჭოში წარმომადგენლობა უნდა იქნეს აგრეთვე სამხრეთ ამერიკას.

ჰიმანსის მაგიერ ვანდერველდე.

პარიზი, 17 თებ. ბელგიის მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად ვანდერველდე უნდა დაესწროს ერთა ლიგის საბჭოს სესიას.

ამის გამო ჰიმანსმა მოხსნა ერთა ლიგის საბჭოს და პლენუმის წევრის რწმუნება.

იაპონია წინააღმდეგია.

ბერლინი, 18 თებ. ლონდონიდან მიღებული ცნობებით, იაპონიამ განაცხადა, რომ ის ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაეთანხმება ერთა ლიგის შემადგენლობის გადიდებაზე მუდმივი ადგილების გადიდების გზით.

გაფართოების წინააღმდეგ.

ლონდონი, 18 თებ. უკანასკნელ დღეებში „ტაიმსმა“ გამოაქვეყნა ლორდ ლირაიმარას, რომელიც ითვლება ავტორიტეტათ საერთაშორისო უფლების საკითხში, ფიშერის, ბრიტანეთის ყოფილი დელეგატის ჟენევაში, და ლორდ გრეის წერილები ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხის შესახებ. ამ წერილებში მოყვანილია საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობის გაფართოება არ არის მიზანშეწონილი ლიგის ინტერესების მიხედვით.

პოლონეთის ამბები

ჟელიგოვსკი მიდის

ვარშავა, 18 თებ. პოლიტიკურ წრეებში ჟელიგოვსკის გადადგომა სამხედრო მინისტრის თანამდებობიდან აუცილებლად მიაჩნიათ, მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობამ უკან წაიღო კანონპროექტი უმაღლეს სამხედრო ხელისუფლების შესახებ. ჟელიგოვსკის ადგილზე კანდიდატათ ასახელებენ გენერალ რაზვადოვსკის.

ჟელიგოვსკიმ მოიწვია თათბირი პილსუდსკის მონაწილეობით უმაღლეს სამხედრო ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხის განსახილველათ. პილსუდსკიმ შეიტანა მთელი რიგი შესწორებების მთავრობის პროექტში. ამ შესწორებების დამუშავება მან მიანდო გენერალ კუცებას.

პილსუდსკი აკრიტიკებს

ვარშავა, 17 თებერ. „კურიერ პორანი“-მ მოათავსა საუბარი პილსუდსკისთან, რომელმაც გააკრიტიკა მთავრობის პოლიტიკა და აღნიშნა, რომ არმიის საკითხებს ის უკავშირებს სხვადასხვა პარტიების პოლიტიკურ კომბინაციებს.

პილსუდსკიმ განაცხადა: „კოალიციონური მთავრობა აჭიანურებს უმაღლეს სამხედრო ხელისუფლების წესდების პროექტის გაუქმებას და ამით ის გზას უხსნის ისეთ ადამიანებს, როგორიც გენერალ სიკორსკის და შეპტიცკის, რომლებიც მხარს უჭერენ პოლიტიკურ კომბინაციებს“.

საბერძნეთი

ბორდო, 18 თებერ. ლონდონიდან მიღებული ცნობებით, ათინაში დაპატიმრებულ იქნა ყოფილი პრემიერი პაპანა-სტაზიუ, გენერალი კონდილისი და 10 სხვა ოფიცერი.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

ამერიკა

ბეწვეულობის მომუშავეთა გაფიცვა ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 17 თებ. ნიუ-იორკში დაიწყო ბეწვეულობის მომუშავეთა გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს 12,000 მუშა. გაფიცულები მოითხოვენ 40 საათის კვირის შემოღებას, უმუშევრობისაგან დაზღვევას, კონტროლის გაძლიერებას კავშირის წარმომადგენელთა მხრივ და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

გაერთიანებულ კომიტეტს, რომელიც ნიუ-იორკში წარმოადგენს ბეწვეულობის მომუშავეთა კავშირის ხელმძღვანელ ინსტანციას, [illegible] რობენ მემარცხენე ფრთის წევრები, ისინივე ხელმძღვანელობენ გაფიცვასაც.

ინგლისი

„ბირმის ნავთის საზოგადოების“ მუშათა გაფიცვა.

ლონდონი, 17 თებ. რეიტერის სააგენტოს ცნობით, გრძელდება „ბირმის ნავთის საზოგადოების“ ადგილობრივ ინდოელ მუშების გაფიცვა, რომელიც 1 თებერვალს დაიწყო. გაფიცულებმა წარადგინეს მთელი რიგი მოთხოვნილებებისა, მათ შორის სამუშაო ხელფასის გასტუმრება არა დღიურად, არამედ ყოველთვიურად. ჯერ-ჯერობით გაფიცვა მშვიდობიანად მიმდინარეობს.

აღმოსავლეთი

ეგვიპტე

მებამბეთა გადასახადების სიმძი[illegible]

ლონდონი, 17 თებ. ეგვიპტეში დაიწყო კამპანია ბამბაზე გადასახადის შემცირებისათვის. ამის გამო ეგვიპტეს მიწათ-მოქმედთა კავშირმა გადასცა მთავრობას მემორანდუმი, რომელშიაც აღნიშნულია მრავალი გადასახადი მებამბე გლეხებზე (ფელახებზე). გლეხებს ახდევინებენ ბამბის გადასახადს მთელი მოყვანილი ბამბის 4—5 პროც.-ის რაოდენობით. გარდა ამისა გლეხები იხდიან მრავალ პროვინციულ კომუნალურ გადასახადს. გასატან ბამბაზე დაწესებულია განსაკუთრებული საბაჟო გადასახადი, ასე რომ ფელახს აღარაფერი რჩება ამ გადასახადების შეტანის შემდეგ. მემორანდუმი მოითხოვს ამ გადასახადების გაუქმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელია ეგვიპტეს გლეხობის კატასტროფიული გაერთიანება.

არჩევნები

ლონდონი, 18 თებერ. კაიროდან მიღებული ცნობით, ეგვიპტის პრემიერმა ზივარ ფაშამ ზაგლულის მომხრე სენატორების დელეგაციას აცნობა, რომ კაბინეტი არჩევნებს გაატარებს იმ საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომელიც წამოაყენა ზაგლულ-ფაშამ 1924 წელში. ამ კანონით ეგვიპტეში შემოღებულია საყოველთაო და პირდაპირი ხმის მიცემა.

სხვადასხვა

— **პატიება არ დაუმსახურებია.** შვეციის სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ უარყო თხოვნა პატიების შესახებ, შეტანილი ანნა ნიკლსონის მიერ, რომელიც დასჯილი იყო კალმარის კომუნალური მუშების გაფიცვასთან კავშირის გამო.

— **ასი მემარჯვენე ვექილი.** პარიზის ასმა მემარჯვენე ვექილმა ნაფიც მოსამართლეთა საბჭოში შეიტანეს განცხადება, რომელშიაც მოითხოვენ სადულის გამორიცხვას ვექილთა წოდებიდან.

— **რადიჩი უკან იხევს.** ბელგრადიდან მიღებული ცნობით, რადიკალ დეპუტატების კლუბში წაკითხულ იქნა ჯერ გამოუქვეყნებელი ტექსტი რადიკალურ პარტიის და რადიჩის ხელშეკრულებისა. ამ ხელშეკრულებით რადიჩის პარტია უარს ამბობს თავის უწინდელ პროგრამაზე ხორვატთა რესპუბლიკის შექმნის შესახებ, სცნობს მონარქიას და ცენტრალისტურ კონსტიტუციას და აღიარებს სერბთა და ხორვატთა ნაციონალურ მთლიანობას.

— **ციკლონი მადაგასკარზე.** საფრანგეთის მინისტრთა საბჭოში ლეონ პერიემ განაცხადა, რომ 30 იანვარს მადაგასკარში ადგილი ჰქონდა ციკლონს. ციკლონით გამოწვეული ზარალი დაახლოვებით 10 მილ. ფრანკს უდრის.

— **ჩემბერლენი მუსოლინთან თათბირის შესახებ.** თემთა პალატაში ჩემბერლენს შეკითხვა მისცეს, ხომ არ წამოჭრილა მუსოლინთან მისი შეხვედრის დროს რაიმე ისეთი საკითხები, რომელიც შეეხება ინგლისის ვალდებულებებს ახლო აღმოსავლეთში. ჩემბერლენმა უპასუხა: ჩემის აზრით არავითარი საზოგადოებრივი ინტერესი არ აქვს იმის აქ გამოტანას, თუ რა საკითხები გავარჩიეთ ან არა გავარჩიეთ საუბრის დროს, როცა იტალიის პრემიერმა პატივი დამდო ესადილა ჩემთან რაპალოში. მაგრამ მე შემიძლია ვსთქვა, რომ არავითარი ვალდებულება არც ერთი მხრის მიერ არ ყოფილა არც მიღებული და არც აღძრული.

— **ინგლისის ახალი კრეისერი.** პორტსმუტში ზღვაში ჩაშვებულ იქნა ახალი კრეისერი „სუფოლკ“.

— **საბერძნეთი იხდის.** ათინიდან მიღებული ცნობით, საბერძნეთმა გადაუხადა ბულგარეთს 15 მილ. ფრანკი იმ 30 მილიონ ფრანკიდან, რომელიც მას უნდა გადაეხადა საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვარზე მომხდარ ინციდენტის გამო.

— **მაროკოში.** საფრანგეთის ძალების მთავარსარდლის მთავარი ბინა მაროკოში მოთავსებული იქნება რაბატაში, სადაც უკვე ჩავიდა საფრანგეთის გენერალური შტაბი.

— **მოითხოვენ პარლამენტის დათხოვნა.** ჰააგიდან მიღებული ცნობის თანახმად, პარლამენტის სოციალისტური ფრაქცია მოითხოვს პარლამენტის დათხოვნას სამინისტრო კრიზისის გაჭიანურების გამო.

— **ფინანსების გაჯანსაღება.** ბრიუსელიდან მიღებული ცნობით, პარლამენტმა მიიღო ფინანსების გაჯანსაღების პროექტი.

— **მუსოლინი კარგად არის.** რომიდან იტყობინებიან, რომ ხმები მუსოლინის ავადმყოფობის შესახებ უსაფუძვლოა. ის მშვენივრად გრძნობს თავს და მილანში ის წასული იყო არა ოპერაციის გასაკეთებლათ.

— **ოქსფორდის სტუდენტები და კომუნიზმი.** ოქსფორდის სტუდენტებმა კენჭი უყარეს უნივერსიტეტის კანცლერის მოა[illegible] ბრძანებას, რომლის თანახმად სტუდენტები, რომლებიც შევლენ კომუნისტურ პარტიაში, გამო[illegible] იქნებიან უნივერსიტეტიდან. [illegible] ბრძანებას ხმა მისცა 403 კაცმა, წინააღმდეგ წავიდა—367.

ტყეების ხანძარი ავსტრალიაში. მელბურნიდან მიღებულ ცნობების თანახმად ტყეების ხანძრის დროს დაიწვა 27 ცხენი და განადგურდა მრავალი სახაზინო აგარაკი. დამწვარ ტყეების აღსადგენად საჭირო იქნება 80 50 წელიწადი. დაიღუპა აგრეთვე დიდძალი საქონელი.

ავსტრალიის პრემიერმა განაცხადა, რომ ეხლანდელი ტყის ხანძარი წარმოადგენს უდიდეს უბედურებას, რომლის მაგვარი ამ ქვეყანას არაფერი ახსოვს.

საქართველოს 1925—26 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

II*)

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის განხილვამ დაგვანახვა, თუ რამდენად ჩამორჩენილია ჩვენი სოფლის ეკონომიკა და რამდენად ღარიბია მისი საშემოსავლო წყაროები. ამ წლის ადგილობრივ ბიუჯეტის 12.115.087 მ. რაოდენობის შემოსავლიდან — წმინდა ადგილობრივ მნიშვნელობის შემოსავალს მხოლოდ 4.283.891 მან. ანუ 35,4 პროც. ხვდება. და თუ ადგილების შემოსავალში აგრეთვე 2.544.196 მან. რაოდენობის სახელმწიფო გადასახადებს და შემოსავლებს ჩავრიცხავთ, მაშინ ადგილების შემოსავალთა თანხა შეადგენს—6.828.087 მან., ანუ 56,4%;—დანარჩენი 5.287.000 მ.,—ანუ 43,6%—წარმოადგენს დეფიციტს, რომელიც წრეულს სახელმწიფო თავის საშუალებებიდან ჰფარავს.

რადგანაც ადგილების შემოსავალი ამდენად შეზღუდულია, რასაკვირველია, ადგილობრივი ხარჯებიც უნდა იქნას სათანადოთ შეზღუდული და ადგილების საშემოსავლო შესაძლებლობებთან სასტიკათ შეფარდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილთა შორის ისეთი შეუსაბამობა იქნება, რომელიც შეუძლებლად გახდის საზოგადოთ რაიმე ბიუჯეტის შედგენას. სწორეთ ასეთ შეუსაბამობას ვხედავთ ჩვენ ამა წლის ადგილობრივ ბიუჯეტში.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამა წლის ბიუჯეტი, როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილშიაც—შედგენილი იყო 16.996.087 მან. რაოდენობით და 10.168.000 მან. დეფიციტით. თუ ამ დეფიციტიდან გამოვრიცხავთ დამატებითი ხარჯთ - აღრიცხვის (1.402.265 მ.). ყველა ხარჯებს, გარდა ქიათურის და ტყიბულის საავადმყოფოების და წინად სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე მყოფ, ხოლო წრეულს ადგილობრივ ბიუჯეტზე გადასულ 6 სასოფლო-სამეურნეო სკოლის ხარჯებს—229.214 მან.—დეფიციტს მაინც მივიღებთ—8.994.949 მან. რაოდენობით. ასეთ დიდ დეფიციტის დაფარვა სახელმწიფოს არ შეეძლო და არც შეუძლია; მან დაფარა მხოლოდ 5.287.000 მან., განსხვავება კი—3.707.949 მან.—დაუფარავი რჩება.

ცხადია, რომ თუ სახელმწიფო ვერ გამოძებნის რაიმე დამატებითი სახსარს, რათა ეს განსხვავება ნაწილობრივად მაინც დაფაროს, მაშინ ბიუჯეტის უდეფიციტოთ გამოსაყვანად მხოლოდ ერთი რამ ღონისძიება დაგრჩება—ძირითადი ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის შემცირება 3.707.949 მანეთის რაოდენობით, რაც უდრის ა/წ. ბიუჯეტის ხარჯების 23,8%-[illegible].

ბიუჯეტის ასეთი ძლიერი შემცირება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადგილებმა ბიუჯეტის კვარტალ-ნახევარი უკვე ჩაატარეს იმ იმედით და ანგარიშით, რომ საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახკომსაბჭოს მიერ მიღებული და დამტკიცებული ბიუჯეტი ცხოვრებაში სავსებით იქნება გატარებული,—ჩვენგან უაღრეს სიფრთხილეს და ენერგიას მოითხოვს, რათა ეს შემცირება რაც შეიძლება უმტკივნეულოდ და ადგილებზე არსებულ დაწესებულებათა ქსელის დაურღვევლად გავატაროთ, წინასწარ განვიხილოთ ყველა ხარჯები, რომელიც გათვალისწინებულია ბიუჯეტით, მოსახლეობის ფართო მასების საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ამასთანავე ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილების ასეთი შეუსაბამობა ჩვენ გვიყენებს საკითხს: ხომ არა აქვს აქ ადგილი ბიუჯეტის საგასავლო მუხლების ხელოვნურ გადიდებას, ხომ არ არის ეს ხარჯები განზრახ იმ ანგარიშით გაზვიადებული, რომ ამით ადგილებმა გამოგლიჯონ ცენტრს რაც შეიძლება მეტი თანხა, რომელიც მათთვის არც თუ ისე საჭიროა.

ამ კითხვაზე პასუხის მოსაცემად შევეცდები განვიხილო ბიუჯეტის ხარჯების ყველა ძირითადი თანხები თვითეულ მუხლის და კარის მიხედვით, მათი რაოდენობა და დანიშნულება, რა მოთხოვნილება და რამდენად კმაყოფილდება ამ თანხებით, იზრდება თუ არა ისინი შარშანდელთან შედარებით, აგრეთვე მათი ფარდებითი წონა-ხვედრი, როგორც ჩვენ ბიუჯეტში, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებთან შედარებით. ამავე დროს ვეცდები, საგასავლო მუხლების ანალიზით და მათ ურთიერთ შორის დამოკიდებულების განხილვით, გამოვარკვიო, თუ რომელი ხარჯების შემცირება შეიძლება უფრო უმტკივნეულოდ წრეულს, ხოლო მომავალ საბიუჯეტო წლისთვის რომელი მათგანი უნდა იქნეს სხვა ხარჯების შემცირების საშუალებით გაძლიერებულ და პირველ რიგში წამოყენებული.

უნდა წინასწარ აღვნიშნო, რომ, ვინაიდან ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის გადასინჯვა და შემცირება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, მე აქ იმ ციფრებს მოვიყვან, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტისათვის საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახკომსაბჭოს მიერ დანიშნული და დამტკიცებული იყო 15.593.822 მან. რაოდენობით. მხოლოდ თუ აღმოჩნდა, რომ დეფიციტის დაფარვა ნაწილობრივათაც შეუძლებელი იქნება და ამის გამო საჭირო გახდება მისი საგასავლო ნაწილის შემცირება 3.707.949 მან. რაოდენობით, ე. ი. 23,8%, მაშინ ჩემ მიერ გამოტანილი დასკვნა იმ ციფრების საშუალებით, რომელიც ამ ჟამად მოგვეპოვება, უნდა იქნას ხელახლად გამოანგარიშებული და სათანადოთ შესწორებული.

სურათის უფრო მარტივად და ცხადათ წარმოსადგენად, ბიუჯეტის ყველა ხარჯები გავყოთ შემდეგ ოთხ ძირითად ჯგუფის მიხედვით: 1) ადმინისტრატიული და სასამართლოს ხარჯები, 2) კულტურ-სოციალური ხარჯები, სადაც შეეა სახალხო განათლება, სახალხო ჯანმრთელობა, სოციალური უზრუნველყოფა და შრომის დაცვა, 3) საწარმოო-სამეურნეო ხარჯები (კომუნალური მეურნეობა, გზების შენახვა, ახალი მშენებლობა, სასოფლო მეურნეობა და სხვა) და 4) სხვა ხარჯები (დავალიანების დაფარვა, სამხედრო უწყების ხარჯები და სხვა).

ამა წლის ბიუჯეტის მთელი საგასავლო ნაწილიდან პირველ ჯგუფის ხარჯებზე, ე. ი. ადმინისტრატიულ, სასამართლოს, მილიციის და გამასწორებელ სახლებზე დანიშნულია 4. 381.231 მ., ე. ი. მთელი ხარჯების 28,3%.

ეს ციფრი რომ ამა ჯგუფის შარშანდელ ხარჯებს შევადაროთ, რომელიც უდრის 3.504.276 მან. (დანიშნულ თანხას 1.190.425+სათემო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებული ხარჯები—568.000+მაზრებში მილიციის და იუსტიციის სახელმწიფო ხარჯით შენახვა—405.000 მან.), დავინახავთ, რომ იგი შარშანდელს აღემატება 876.955 მან., ანუ 25%-ით.

კიდევაც რომ მივიღოთ მხედველობაში საქართველოს ადმინისტრატიულ აპარატის და ხელისუფლების ორგანოების აგებულობის თავისებურება, რომელიც ჩვენში აუცილებლად ხდის ამ ჯგუფის ხარჯებზე უფრო მნიშვნელოვან თანხის გაღებას, ვიდრე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში,—მაინც უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდი, რომ ამ ჯგუფის ხარჯების შემცირება არამც თუ შესაძლო, არამედ აუცილებელიც არის, ვინაიდან ამ ხარჯების გაწევა უფრო ნაკლებ ნაყოფიერია. ეს შეიძლება მიღწეულ იქნას ქვედა ადმინისტრატიულ ქსელის გადასინჯვით, ზოგიერთ ჩვენი თემების შეერთებით და ამით მათი რაოდენობის შემცირებით, თემაღმასკომების შტატების შემოკლებით, თემაღმასკომების შემადგენლობის საშუალოდ სამ წევრამდე დაყვანით და აგრეთვე მილიციის შემცირებით.

ადმინისტრატიულ და სასამართლოს ხარჯების ჯგუფი გამოიხატება შემდეგნაირად:

	1924—25 წელში	1925—26 წელში
რ. ს. ფ. ს. რ. — —	19,8%	19,1
მოსახლეობის თვითეულ სულზე	1 მ. 30 კ.	1 მ. 54 კ.
უ. ს. ს. რ. — —	16,7%	16,4
მოსახლეობის თვითეულ სულზე	1 მ. 09 კ.	1 მ. 31 კ.
ბ. ს. ს. რ. — — —	15,7%	22,8%
მოსახლეობის თვითეულ სულზე	0 72 კ.	1 მ. 29 კ.
საქართველოში — —	25,3%	28,3%
მოსახლეობის თვითეულ სულზე	1 მ. 67 კ.	2 მ. 10 კ.

ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებენ, რომ 1) ადმინისტრატიულ და სასამართლო აპარატების შენახვა საქართველოს მოსახლეობას მეტი სიმძიმით აწვება, ვიდრე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს და საქართველოში შეადგენს ყველა ხარჯების მეოთხედზე მეტ ნაწილს (25,3% და 28,3%, ხოლო სულზე 1 მ. 67 კ. და 2 მ. 10 კ.). იმ დროს, როდესაც სხვა რესპუბლიკებში იგი უდრის 1/6 და 1/5 და 2) წრეულს ჩვენში ამ ხარჯთა ხვედრი წონა გაიზარდა 28,3% შარშანდელ 25,3% წინააღმდეგ, დანარჩენ რესპუბლიკებში-კი პირიქით შემცირდა (რ. ს. ფ. ს. რ.-ში 19,1% წინააღმდეგ 19,8%-სა და უ. ს. ფ. ს. რ.-ში 16,4% წინააღმდეგ 16,7%-სა) და მხოლოდ ბელორუსიაში ვხედავთ ამ ხარჯთა გაძლიერებას.

თუ გავიხსენებთ, რომ წმინდა ადგილობრივ დანიშნულების ხარჯები საერთოდ შეადგენენ მხოლოდ 4.283.891 მან., ხოლო ადმინისტრატიულ და სასამართლოს აპარატების შენახვა გვიჯდება 4.381.231 მან.—დავინახავთ, რომ ადგილები იძულებული ხდებიან გამოძებნონ კიდევ ის ასი ათასი მანეთი, რომელიც მათ აპარატების შესანახად აკლდებათ.

რომ არავის ეგონოს, ვითომ აპარატის სიძვირე გამოწვეული იყოს ადგილობრივ მომუშავეთა ხელფასის მაღალ განაკვეთებით,—მე მოვიყვან აქ სამაზრო და თემის აღმასკომების მომუშავეთა განაკვეთებს, რომელიც ბიუჯეტით არის ნავარაუდევი:

სამაღმასკ. თავმჯ. იღებს	123—183
თემის თავმჯდომ. იღებს	—49 მ.
მდივანი	38 მ.
ფინმომუშავე	33 მ.
უმცრ. მილიციონერი	27 მ. 90 კ.
უმფრ. მილიციონერი	31 მ. 50 კ.
დარაჯი	16 მ. 90 კ.
მოსამართლე	— —
გამომძიებელი	— —

ეს განაკვეთები ზოგიერთ უმნიშვნელო ცვლილებებით მიღებულია საერთოთ ყველა ჩვენ მაზრებისთვის. სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით ეს განაკვეთები თუ ნაკლები არა—არც უფრო მაღალია. მიზეზი, რასაკვირველია, არა მომუშავეთა ტარიფიკაციაშია, არამედ ქვეყნის იმ სოციალურ პოლიტიკურ და ბუნებრივ ტოპოგრაფიულ პირობებში, რომლებთან შეფარდებით გვიხდება ადგილებზე ხელისუფლების ორგანოების აგება.

საქართველოში, რომლის ტერიტორია უდრის 63.322 კვ. ვერსტს,—არის 16 მაზრა, 577 თემი, 668 სასოფლო საბჭო, ორი რესპუბლიკა, ერთი ავტონომიური ოლქი, ერთი „თავისუფალი“ ქალაქი ფოთი (უმაზროთ) ხოლო აფხაზეთს და აჭარას თავის მხრით აქვთ ხუთ-ხუთი მაზრა. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების ასეთი სიმრავლე, როგორც ვხედავთ საქართველოს მცირე ტერიტორიაზე, ვერ შევხვდებით ვერც ერთ დანარჩენ საკავშირო რესპუბლიკაში და საერთოდ არც ერთ ქვეყანაში.

და ამიტომ არც არის გასაკვირველი, რომ ჩვენში ადმინისტრატიული და სასამართლო ხარჯები შეადგენენ ადგილობრივ ბიუჯეტის საერთო ბალანსის უფრო დიდ პროცენტს, ვიდრე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში. მაგრამ 28,3% მაინც მეტად საგრძნობია, რადგანაც იგი მძიმე ტვირთად აწვება ბიუჯეტს და ამიტომ მოითხოვს მის შემცირებას.

შემცირება წრეულს, ზემომოყვანილ ზომების საშუალებით, პირველ რიგში, ამ ხარჯებს უნდა ხვდეს.

მომავალი საბიუჯეტო წლებისთვისკი ჩვენ ამოცანას უნდა შეადგენდეს ხარჯების ამ ჯგუფის მესამე ადგილზე გადატანა (ამ ჟამად მას უჭირავს მეორე ადგილი).

(გაგრძელება იქნება)

გ. მგალობლიშვილი.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 36.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ვლადიმირის ტრესტის პარტიული საწარმოვო კონფერენცია

ვლადიმირი, 18 თებ. ვლადიმირის ტრესტის პარტიულ საწარმოო კონფერენციაზე აღიშნულ იქნა ვლადიმირის გუბერნიის ბამბის მრეწველობის უაღრესად ინტენსიური ზრდა.

ერთი წლის განმავლობაში ამუშავდა 4 ფაბრიკა. ფაბრიკების უმრავლესობა სავსებით დატვირთულია. მოხდა მსხვილი ფაბრიკის „კომუნისტური ავანგარდი"-ს ელექტროფიკაცია შატურის სადგურთან შეერთების შემწეობით.

ასანთის ფაბრიკა შორეულ აღმოსავლეთში

ბლაგოვეშჩენსკი, 18 თებ. ამუშავდა შორეულ აღმოსავლეთის საუკეთესო სახელმწიფო ასანთის ფაბრიკა, რომელიც რამოდენიმე წლის განმავლობაში უმოქმედოთ იყო. ფაბრიკა გადაკეთებულია და მოწყობილია ახალი სისტემის მანქანებით.

გლეხობისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ბევრიანი მიწოდება

მოსკოვი, 18 თებ. გაზაფხულის სათესი კამპანიის დაწყების გამო, ვაჭრობის სახ. კომისარიატი იღებს ზომებს გლეხობისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მისაწოდებლად გეგმასთან შეფარდებით. სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოზიდვის გეგმა წლის პირველი მეოთხედისათვის შესრულებულია მთლიანად.

„ამტორგის" მიერ შესყიდული ტრაქტორების პარტია რიცხვით 10.000 ცალი, მიღებულ იქნება ამ ცოტა ხანში. ტრაქტორები პირველ რიგში გაიგზავნება იმ რაიონებში, სადაც საგაზაფხულო სათესი კამპანია ადრე იწყება—ჩრდილოეთ კავკასიასა და შუა აზიაში.

სახალხო მასწავლებლის შუმილევსკაიას დაჯილდოვება

მოსკოვი, 18 თებ. განათლების სახ. კომისარიატის შუამდგომლობით საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა სახალხო მასწავლებელი შუმილევსკაია 40 წლის ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის დაჯილდოვებულ იქნას წითელი დროშის ორდენით.

კოოპერატიული ვაჭრობა

მოსკოვი, 18 თებ. „ცენტროსოიუზის" საორგანიზაციო განყოფილებამ მიზანშეწონილად სცნო ზოგიერთ მსხვილ ცენტრალურ მუშათა კოოპერატივებში მოხდეს წმინდა წონით გაყიდვის ცდა, ე. ი. პრო[illegible] წონით, რომელშიაც არ შედის შესახვევი ქაღალდის და სხვა წონა.

საბჭოთა კავშირის, გერმანიის და ლიტვის სარკინიგზო კონფერენცია

მოსკოვი, 18 თებ. 20 თებერვალს მოსკოვში გაიმართება საბჭოთა კავშირის, გერმანიის და ლიტვის სარკინიგზო კონფერენცია ლატვიისა და ესტონეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით. კონფერენცია განიხილავს საკითხებს, რომლებიც შეეხებიან საბჭოთა კავშირისა, გერმანიისა და ლიტვის შორის არსებულ პირდაპირი მიმოსვლის გაუმჯობესებას და განვითარებას.

ნავთის წარმოების პროგრამა 1925-26 წლისთვის

მოსკოვი, 18 თებ. შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ საბურღი პროგრამის შემოკლების გამო ნავთის ამოღება შემცირდება 7,3 მილ. ფუთით.

ამ პროგრამის მიხედვით, მიმდინარე წელს „აზნავთმა" უნდა ამოიღოს 328 მილ. ფ. ნედლი ნავთი და 10 მილ. ფ. გაზი. ნავთის წარმოებაში კაპიტალური მუშაობა შემცირებულია 13,9 მილ. მანეთით. ამგვარათ „აზნავთის" კაპიტალური სამუშაო წარმოდგენილია 55 ნახ. მილ. მან. „გროზნავთის"—44,6 მილ. მან. და „ემბანავთი" 5 მილ. მან.

რადგან „გროზნავთის" ფინანსიური მდგომარეობა მტკიცეა, ამიტომ მა' თვის ნავარაუდევი სამეურნეო ანგარიშის სესხი 3 მილ. მან. რაოდენობით, შეიძლება შემცირებულ იქნეს კაპიტალურ სამუშაოების შემოკლების გამო.

ხის დამმუშავებელთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 18 თებ. გაიხსნა ხის დამმუშავებელთა სრულიად საკავშირო მეშვიდე ყრილობა.

ყრილობამ მოისმინა უცხოეთიდან ჩამოსულ ამხანაგების მისასალმებელი სიტყვები. საკავშირო კომპარტიის ცეკას და საბჭოთა კავშირის ცაკის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა კალინინმა, რომელსაც ოვაციებით შეხვდენ.

„საკავშირო კომპარტიის მე-14 პარტყრილობამ,—სთქვა კალინინმა—ძირითადი დირექტივები მისცა პროფკავშირებს მათი მომავალი მუშაობისათვის. სოციალიზმს აშენებენ მასები. პროფკავშირები, როგორც მასიური ორგანიზაციები, პასუხისმგებელი არიან იმისთვის, რომ მშენებლობა სწორ კალაპოტში იყოს ჩაყენებული. საჭიროა, რომ თვითეული მუშა მომზადებული იყოს სოციალისტური მშენებლობისათვის, ვინაიდან სოციალიზმი შენდება არა სიტყვით, არამედ ყოველდღიური მუშაობით.

პარტიაში შედის მუშათა კლასის აქტივი, პროფკავშირებში კი შედიან თითქმის ყველა მუშები, საზოგადოებრივად ნაკლებად განვითარებული მუშებიც კი. პროფკავშირების ამოცანას შეადგენს—ამ მასების საზოგადოებრივად აღზრდა. თვითეულ მუშაში უნდა განვითარდეს ფართო საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი. პროფკავშირის რიგებში მუშა უნდა ეზიარდოს კულტურულად, პოლიტიკურად და საზოგადოებრივად.

სოციალიზმის საფუძველს შეადგენს—შრომის ნაყოფიერების უაღრესად გადიდება. ეს ამოცანა უნდა შეიგნოს თვითეულმა მუშამ. პროფკავშირებმა უნდა შეასწავლონ მასებს სოციალიზმის შენება. საჭიროა, რათა ჩვენი ნაწარმოები იყოს იაფი და მხატვრულად შესრულებული.

თვითეულმა ხის დამმუშავებელმა უნდა იამაყოს თავისი მუშაობით და დაამზადოს ნაწარმოები ისე, რომ ამ წარმატებით მეტოქეობა გასწიოს მსოფლიო ბაზარზე.

ჩვენს ამოცანას შეადგენს, ამბობს დასასრულ კალინინი, არა მარტო კაპიტალისტური წარმოების დაწევა, არამედ მისი გასწრებაც და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამას მიაღწევთ".

ყრილობამ გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშები საკავშირო კომპარტიის ცეკას, კომინტერნს, საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და პროფინტერნს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

კვალიფიციურ ფეიქართა კურსები

ბაქო, 18 თებ. შრომის სახ. კომისარიატმა გახსნა კურსები კვალიფიციურ ფეიქრების მოსამზადებლათ.

სასოფ. მეურნეობის ელექტროფიკაცია.

ბაქო, 18 თებ. ამხ. ბუნიატ-ზადეს თავმჯდომარეობით შესდგა კომისია სასოფ. მეურნეობის ელექტროფიკაციისა და მექანიზაციისთვის.

კომუნ. მეურ. მუშაკთა ყრილობა.

ბაქო, 18 თებ. გაიხსნა კომ. მეურნეობის მუშაკთა მეექვსე ყრილობა. საანგარიშო წელს კავშირი გაიზარდა 12,6 პროცენტით. ამჟამად ითვლება 5.178 წევრი, რომელთაგან 1.561 თურქია. ხელფასი გაიზარდა საშუალოდ: ქალაქში—19 პროც., სოფელში—22 პროც., კერძო წარმოებებში—20 პროცენტით.

საარჩევნო კამპანია

ბაქო, 17 თებ. გაიმართა ბაქოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის სხდომა. კალა მაშტაგის და ხიზის რაიონებში დამთავრდა ამომრჩეველთა სიების შედგენა. ყველგან მოწყობილია ადგილობრივი საარჩევნო კომისიები. ბინაგადის რაიონში საარჩევნო კომისიის 45 წევრიდან 17 უპარტიოა. კალა მაშტაგის რაიონში არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს 15.226 ამომრჩეველი; საარჩევნო უფლებას მოკლებულია 1.360 კაცი; ხიზის რაიონში 16.000 ამომრჩეველზე საარჩევნო უფლებას მოკლებულია 354 კაცი.

ნახიჩევანის [illegible]

საავადმყოფო.

ნახიჩევანი, 18 თებ. ნახიჩევანში მთავრდება საავადმყოფო, რომლის ასაშენებლადაც სოც. დაზღვევამ გადასდო 40,000 მანეთი.

დასასვენებელი სახლი.

ნახიჩევანი, 18 თებ. რადგან ნახიჩევანის წარმოებებში მომუშავე მუშები ძალიან მძიმე პირობებში იმყოფებიან, შრომის სახ. კომისარიატმა აღძრა საკითხი ნახიჩევანში დასასვენებელ სახლების ასაგებათ, სადაც უნდა მოეწყოს საკმაო რიცხვი საწოლებისა.

ეკონომიური ცხოვრება

ხორცის ბაზარზე

მიმდინარე თვის პირველ ნახევრის განმავლობაში თბილისში მორეკილია გასაყიდად და დასაკლავად: 327 სული ხარი, 154 ძროხა, 107 კამეჩი, 967 ცხვარი და 438 ღორი. ამ ხნის განმავლობაში მოხდა 130 საბირჟო გარიგება 69 531 მანეთის ღირებულებისა. საბირჟო გარიგებებით გაყიდულია 489 სული მსხვილფეხა საქონელი—62.210 მან. 75 კ. და წვრილფეხა საქონელი: 539 ცხვარი—6.250 მანეთის და 2 ღორი—100 მ. 75 კაპეიკისა.

გარდა ამ საქონლისა ჩრდილო კავკასიიდან ჩამოიყვანეს 4 ვაგონი საქონელი, რომლის ფასი აღწევდა საშუალო სიმსუქნის მქონე საქონელზე 6 მან. 20 კ.—6 მ. 80 კაპეიკამდე ფუთზე—ცოცხალი წონა.

სახორცე საშუალოზე მაღალი სიმსუქნის საქონლის ფასი აღწევდა 5 მან. 50 კაპ. ცოცხალი წონის ფუთზე. საშუალო სიმსუქნისა კი 4 მან. და 50 კაპეიკს.

ცოცხალი მსუქანი ცხვარი წყვილი, მორეკილი, ფასობდა 52 მანეთად, ადგილობრივი—45 მანეთად. [illegible]ზე გაიზარდა, ვინაიდან [illegible] ნაკლები იყო, მაგ. [illegible]ორები ფასობდენ 40 [illegible] ღორის ხორცი დუ[illegible]ში ღირდა 12 მანეთი 30 კაპ. ფუთი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქონლის გარეკა ბაზარზე დამაკმაყოფილებელია. მიწოდება მოთხოვნილების თითქმის ყოველთვის აკმაყოფილებს. როგორც საბითუმო, ისე ცალობითი მოთხოვნილება ხორცზე სუსტია. აღნიშნულ 3 [illegible] ბაზარზე გა[illegible] : 5.294 [illegible] 7 [illegible] 1569 ფ. 2 [illegible] 1470 [illegible] 24

სამთომადნო მრეწველობის გამოკვლევა

საკავშირო სამთომადნო მუშების კავშირის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ამიერ-კავკასიის სამთომადნო კავშირის ინსტრუქტორთა ჯგუფი, რომელმაც გამოიკვლია როგორც კავშირის ადგილობრივი განყოფილებების მუშაობა, ისე ამიერ-კავკასიის სამთომადნო მრეწველობის (ჭიათურის კონცესია, ალავერდის სპილენძის ქარხნები და ბაქოს ნავთის წყაროები) მდგომარეობა.

გამოკვლევამ დაამტკიცა შემდეგი: ჭიათურის შავი-ქვის მაღაროებში მუშაობა სწარმოებს მხოლოდ კონცესიონერის კონტრ-აგენტების ძალებით; ამ კონტრ-აგენტებს პარალელური ხელშეკრულება აქვთ დადებული კონცესიონერთან, რომლის ძალით ისინი ვალდებული არიან ჩააბარონ მას მადნის განსაზღვრული რაოდენობა. ასეთ კონტრ-აგენტთა რიცხვი უდრის 20 ს. ამჟამად სწარმოებს მუშაობა მადნის ამოღების მექანიზაციის და რკინის გზის შტოის გადაკეთების პროექტის შესადგენად რომელზედაც მუშაობენ ამერიკიდან ჩამოსული სპეციალისტ-ინჟინრები.

მაღაროებში ამ ჟამად მუშაობს 3.300 კაცი. ჭიათურაში მეტად მწვავეთ სდგას საბინაო საკითხი. კონცესიონერის მიერ მიღებულია ზომები მუშებისათვის ახალი ბინების ასაგებათ და საექიმო დახმარების საქმის გასაუმჯობესებლად. განზრახულია ჭიათურის მახლობლად გაშენებული იქნეს სპეციალური მუშათა ქალაქი, სადაც თავმოყრილი იქნება მუშების სადგომები და კონცესიონერის დაწესებულებები.

ბინების საკითხი მეტად მწვავეთ სდგას აგრეთვე ალავერდში: აქ სპილენძის ქარხნებში ამ ჟამად მუშაობს ათასამდე კაცი. წარმოება ვერ არის განვითარებული. ამ ჟამად მუშაობა სწარმოებს მადნის მარაგის გამოსარკვევად.

ბინების მხრივ გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა ბაქოში, სადაც უკანასკნელი დროის განმავლობაში მუშებისთვის აგებულია მრავალი ახალი სახლები. ამ ჟამად მუშაობა სწარმოებს ახალი საავადმყოფოების ასაგებათ.

რაც შეეხება წარმოების მდგომარეობას, მის გასაუმჯობესებლად ბაქოში დიდი მუშაობაა შესრულებული სარეწაოებში დადგმულია ახალი გაუმჯობესებელი მანქანები და ტეხნიკური მოწყობილობა. ჭების დიდი უმრავლესობა გადაყვანილია მექანიკურ ექსპლოატაციაზე. დიდი მუშაობა სწარმოებს აგრეთვე ნავთის გადაქაჩვის საქმის გასაუმჯობესებლად.

ჩვენი ნავთსადგურები

ერთი წლის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურის ტვირთების ბრუნვა გაიზარდა ათჯერ და ამ ჟამად ომის წინა დროინდელ საშუალო ხომას აღემატება. განსაკუთრებით გაიზარდა ექსპორტი უცხოეთში, სახელდობრ, ნავთის პროდუქტების ექსპორტი. ფოთის ნავთსადგური[illegible] უახლოვდება ომამ[illegible] ნორმას.

[illegible]ულია [illegible] მუშაობა ბათომის [illegible] სადგურის გაღრმავებლად. [illegible] ღრმე ნაპირთან უნდა აღ[illegible] 32 ფუტს იმ მიზნით, რომ ნავთის მსხვილ გემებს შეეძლოთ ნაპირზე მოდგომა.

სააქციონერო საზოგადოება „ქართულ მარგანეცთან" საკონცესიო ხელშეკრულების დადების გამო, უკანასკნელი ვალდებულია ფოთის ნავთსადგურიდან მახლობელ წლებში გაიტანოს 120 მილიონი ფუთი მარგანეცი, რისთვისაც უნდა ააგოს სპეციალური დასატვირთავი მოწყობილობა, რომლის საშუალებით 5 ათ. ტონიანი გემის დატვირთვა შეიძლება 12 საათის განმავლობაში.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი

ლიტოგრაფიული ქვა

საქ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილებამ დაასრულა ლიტოგრაფიული ქვის მადნების გამოკვლევა ლეჩხუმის, დუშეთის, თიანეთის, თელავის და თბილისის მაზრებში. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ლიტოგრაფიული ქვის მადნების ექსპლოატაცია ჩვენში მიზანშეწონილი და ხელსაყრელი საქმეა.

განსაკუთრებით კარგი ღირსების აღმოჩნდა ალგეთის ლიტოგრაფიული ქვის მადნები. რომელნიც თბილისიდან 52 ვერსის მანძილზე (ალბულაღის ახლო) მდებარეობენ. ალგეთის ლიტოგრაფიული ქვის ფენები უფრო ნაკლებ გაბზარული აღმოჩნდა, ვიდრე დანარჩენი მაზრების, რასაც ლიტოგრაფიული მრეწველობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ამ ღირსების გარდა ალგეთის ქვის სიპრიალე მეტად [illegible] და არ საჭიროებს [illegible] ფენებათ დანაწილებას. ლაბორატორიებში გასინჯული იქნა ალგეთის ლიტოგრაფიული ქვის პატარა ნაჭერი, რომელზედაც გაკეთდა ლიტოგრაფიული ცდები მეტად ფაქიზი სამუშაოები. ნიადაგის უფრო ზედაპირიდან აღებული ქვის გასინჯვით აღმოჩნდა, რომ იგი შედარებით მალე ცვდება. რამდენად მეტი სიღრმიდან იყო ქვა ამოღებული, იმდენად გამძლე გამოდგა.

სულ მცირე რომ ვიანგარიშოთ, ალგეთის ქვის მადნების მარაგი უდრის 30 მილიარდ ფუთს. ჩვეულებრივ ლიტოგრაფიულ წარმოებისთვის გამოსადეგი ხდება მთელი მადნების მხოლოდ 10 პროცენტი.

ამგვარად ალგეთის მადნების შეუძლიათ სულ ლიტოგრაფიულ წარმოებას მისცეს დაახლოვებით ორი მილიარდი წარმოებისთვის შერჩეული და გამოსადეგი ქვა, რომელსაც დიდი გასავალი ექნება საბჭოთა კავშირის ბაზარზე. საბჭოთა კავშირის ბაზარი წლიურად საჭიროებს 800 ქვას.

მადნები უნდა მუშავდებოდეს აუცილებრივ ამოღების ადგილზე, რადგან დამუშავების დროს, ლიტოგრაფიული ქვა ჰკარგავდა თავის წონის ორ მესამედს, გათლის დროსაც ბევრი ქვა უვარგისდება.

ელექტროფიკაცია

როგორ მიმდინარეობს ელექტრო-სადგურების ასაგები მუშაობა

უკანასკნელი წლების განმავლობაში მუშაობამ საქართველოს ელექტროფიკაციისათვის მეტად ფართო ხასიათი მიიღო. ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის გარდა დაწყებულია მუშაობა კიდევ რამოდენიმე მძლავრი სადგურის ასაგებათ, რომელთა შორის, აღსანიშნავია—აჭარის-წყლის, აბაშის, აფხაზეთის, ქუთაისის და ალაზნის სადგურები.

ყველა ამ სადგურებს შორის თავისი სიდიდით და სიმძლავრით პირველი ადგილი უჭირავს, რასაკვირველია, ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურს, რომლის სრული სიმძლავრე იქნება 26.000 კილოუატი. მუშაობა ამ სადგურის ასაგებათ ჩქარის ტემპით მიმდინარეობს და სადგურის გახსნა მოსალოდნელია მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

საერთო სიმძლავრის მხრივ არსებულ სადგურებს შორის ყველაზე უფრო მსხვილი უნდა იქნეს ქუთაისის ჰიდრო-ელექტრო სადგური, რომლის აგება განზრახულია მდ. რიონზე. ამ სადგურის ენერგია გამოყენებული იქნება ქალ. ქუთაისის და ახლო მახლო სოფლების გასანათებლად და ტყიბულის ქვა ნახშირის მაღაროების და [illegible] რკინის გზის ელექტროფიკაციისათვის. სადგურის სიმძლავრე იქნება 32.000 კილოუატი. ამ ჟამად სწარმოებს მხოლოდ წინასწარი მუშაობა. სადგურის აგება მოსალოდნელია უახლოეს სამი-ოთხი წლის განმავლობაში.

დანარჩენი საშუალო სიძლიერის სადგურებიდან ყველაზე უფრო მძლავრი უნდა იქნეს ალაზნის სადგური, რომლის აგება განზრახულია სოფ. ბაკურციხეში, ალაზნის არხის ჩანჩქერზე; შემდეგ მიდის აჭარის-წყალის სადგური—3.700 კილოუატი, აბაშის სადგური—2.200 კილ. და აფხაზეთის სადგური—1.200 კილოუატი; ეს სადგური შენდება მდ. გუმისტაზე და მისი დამთავრება მოსალოდნელია მომავალ წელში.

აღნიშნული სადგურების გარდა, ჰიდრო-ელექტრო სადგური შენდება აგრეთვე სამხრეთ-ოსეთში—ცხინვალის სადგური მდ. ლიახვზე, რომლის სიმძლავრე პირველ ხანებში იქნება 100 კილოუატი. ამ სადგურის ენერგია გამოყენებული იქნება ცხინვალის გასანათებლად და ადგილობრივი მრეწველობის ელექტროფიკაციისათვის.

მცირე სადგურებიდან უკვე აგებული და აამუშავებულია ელექტრო-სადგურები ახალციხეში, სოხუმში, ბორჯომში, აბასთუმანში და ახალქალაქში; ამ ჟამად მუშაობა სწარმოებს ხონის სადგურის ასაგებათ.

ეკონომიურ საბჭოში

სახალხო მეურნეობის აღორძინებისათვის

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი 1925 წ. დეკემბრის კონიუნქტურული მიმოხილვა. მასთან საჭიროდ იქნა ცნობილი გატარდეს ცხოვრებაში შემდეგი ღონისძიებანი:

ა) დაევალოს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, დაინტერესებულ უწყებებთან ერთად, შეისწავლოს სასოფლო-სამეურნეო საგნების დამზადების საკითხი და ამ დადგენილების მიღების დღიდან სამი კვირის განმავლობაში წარმოუდგინოს ეკონომიურ საბჭოს სათანადო მოხსენება.

ბ) რადგან ქუთაისის მაუდის ქარხნის წლიური გეგმის შესრულება ნორმალურად ვერ მიმდინარეობს, დაევალოს საქართველოს საგეგმო კომისიას შეისწავლოს ეს საკითხი დაინტერესებულ უწყებებთან ერთად და წარმოუდგინოს ეკონომიურ საბჭოს თავისი მოსაზრება სამი კვირის განმავლობაში.

სახალხო კავშირის ამ.-კავკასიის ოლქის სამმართველოს შუამდგომლობა

ეკონომიურ საბჭოს 1925 წ. დეკემბრის 16-ის დადგენილების თანახმად გამოყოფილი იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ქონდა სახალხო კავშირის ა.-კ. ოლქის სამმართველოსთან პატარა სტამბის მოწყობის საკითხის შესწავლა. ეკონომიურ საბჭომ ათ თებერვლის სხდომაზე მოისმინა და მიიღო კომისიის დასკვნა. კომისიის დასკვნის თანახმად წინადადება მიეცა ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტს ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოს შეკვეთების შესასრულებლად გამოჰყოს სპეციალური შტატი და სათანადო საბეჭდი მანქანები, რის შესახებ მათ შორის უნდა დაიდოს სათანადო ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში, თუ პოლიგრაფტრესტი ხელშეკრულებას ვერ შეასრულებს, ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოსათვის ცალკე სტამბის გახსნის ნებართვის გაცემის საკითხი კვლავ იქნება განხილული.

მაუდის ახალი ფაბრიკის აგების საკითხი

ეკონომიურმა საბჭომ მოისმინა ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ბ. კალანდაძის მოხსენება მაუდის ახალი ფაბრიკის აგების შესახებ. ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმს დაუყოვნებლივ გამოარკვიოს, რა მარკის მანქანებია საჭირო გადასამუშავებელი მატყლის მოთხოვნილების მიხედვით. მასთან უნდა გამონახოს ფაბრიკის ასაშენებელი რაიონი და თავისი მოსაზრება წარუდგინოს საქართველოს საგეგმო კომისიას. ამ უკანასკნელმა უნდა დაამუშაოს ეს საკითხი ეკონომიურ და კომერციულ თვალსაზრისით. მუშაობის შედეგი წარედგინება ეკონომიურ საბჭოს.

ს. მ. უ. ს. აბრეშუმის ფაბრიკების მოწყობა

წინადადება მიეცა ს. მ. უ. ს. საბჭოს—თელავის, ხონის და ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკების აშენება-მოწყობა დაამთავროს მოკლე ხანში. ამ მიზნით ეკონომიურ საბჭომ შესაძლებლად სცნო მოწვეულ იქნეს ერთი ინჟინერი და ორი მონტიორი საზღვარგარეთიდან ს. მ. უ. ს. მიერ წარმოდგენილ პირობებში. მასთან დაევალა ს. მ. უ. საბჭოს შეიმუშაოს ერთი თვის ვადაში საკითხი ფაბრიკების ექსპლოატაციის წესისა, მუშახელის რაოდენობისა და კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების შესახებ სათანადო პროფკავშირთან ერთად.

კოოპერაცია

წარმოკავშირის ქარხნები

შვეიცარიულ ყველის დამზადება

ამ ჟამად წარმოკავშირს აქვს შვეიცარიულ ყველის დამამზადებელი სამი ქარხანა. ქარხნები მოწყობილია: სოფ. წალკაში (თბილისის მაზრა), ბაშვირტის რაიონში (ბორჩალოს მაზრა) და ახალქალაქში.

წარმოკავშირის აზრით, შვეიცარიულ ყველის დამზადების საქმე შეიძლება ფართოთ მოეწყოს საქართველოში, ვინაიდან ჩვენში მრავალია ისეთი რაიონები, სადაც შეიძლება კარგად მოეწყოს შვეიცარიულ ყველის დამამზადებელი ყველის ქარხნები და ფართო ნიადაგზე იქნეს დაყენებული ეს საქმე.

საქართველოში დამზადებული შვეიცარიული ყველი თითქმის არაფრით ჩამოუვარდება ნამდვილ შვეიცარიულ ყველს, მხოლოდ ჩვენი დამზადებული ყველის მეტოქედ თვით შვეიცარიის შემდეგ, შეიძლება ჩაითვალოს ციმბირში დამზადებული შვეიცარიული ყველი, რომელიც აგრეთვე განთქმულია თავის იშვიათი გემოთი და სურნელობით.

წარმოკავშირს გადაწყვეტილი აქვს უმაღლეს ორგანოების დახმარებით კარგად დააყენოს ეს საქმე და იმ რაიონებში, სადაც მეურნეობას ფართო ნიადაგი აქვს, მოაწყოს შესაფერი ქარხნები წარმოკავშირის აზრით საქართველოში შეიძლება ისე მოეწყოს საქმე, რომ ყოველწლიურად დამზადდეს 60 ათასი ფუთი შვეიცარიული ყველი.

რაც შეეხება გასულ წელს, უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში წარმოკავშირმა დაამზადა და გაასაღა 4.500 ფუთი ყველი.

საქართველოს გარდა, შვეიცარიულ ყველის მთავარი მომხმარებელი არიან რუსეთის დიდი ქალაქები: მოსკოვი, ლენინგრადი და აგრეთვე უკრაინა, სადაც საქართველოში დამზადებულ შვეიცარიულ ყველს მეტი გასავალი აქვს, ვიდრე ციმბირისას.

საბჭოთა არჩევნები

როგორ მიმდინარეობს არჩევნები

თბილისის მაზრა

(თელეთის თემი)

მთელი თემი დანაწილებული იქნა 4 საარჩევნო უბნად, ყველა უბნებში 14 და 15 თებერვალს მოწვეული იყო საარჩევნო ყრილობები.

თემი აერთიანებს ორი სოფლის საბჭოს ჩინანდგარისა და ხატისთელეთისას.

საარჩევნო ყრილობები ჩატარებული იქნა დიდი სიცხოველით. საშუალოდ ყრილობებზე მონაწილეობდა ამრჩეველთა 75%. მათ შორის 35 პროც. ქალები იყო.

ყრილობებზე მოსმენილი იქნა მოხსენებები სასოფლო საბჭოების მუშაობის შესახებ, გამართულ კამათში გლეხები ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას და მომხსენებლებს აძლევდენ საქმიან შეკითხვებს.

თემის საბჭოში არჩეული იქნენ 28 წევრი და 14 კანდიდატი, მათ შორის 8 ქალი. არჩეულთა შორის არის 4 კომუნისტი, 2 კ. პ. კანდიდატი და 1 კომკავშირელი, დანარჩენი უპარტიოა.

ბორჩალოს მაზრა

ყიზილაჯინის თემის საბჭოში არჩეული იქნა 46 წევრი, მათ შორის 5 ქალი, 1 კომ., 1 კომკავშირელი, დანარჩენი უპარტიო.

ქვეშის თემის საბჭოში არჩეულ იქნა 17 წევრი, მათ შორის 3 კომ., 2 კომკავ., დანარჩენი უპარტიო. არჩეულთა შორის 1 ქალია.

იმირასიხის თემის საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამრჩეველთა 60 პროც. საბჭოში არჩეული იქნა 18 წევრი, მათ შორის 6 კომ., 1 კომკავ., არცერთი ქალი.

ძველი ქვეშის სათემო საბჭოში აირჩიეს 17 წევრი, მათ შორის 2 კომ., 1 კ. პ. კანდიდატი, 3 კომკ., დანარჩენი უპარტიო. არჩევნებში მონაწილეობდა ამრჩეველთა 55 პროც.

ზუგდიდის მაზრა

ლესიჭინის თემში სათემო საბჭოს არჩევნები წარმატებით იქნა ჩატარებული. საბჭოში აირჩიეს 23 წევრი, მათ შორის 4 კომ., 2 კომკავშირელი, 17 უპარტიო. არჩეულთა შორის არის 4 ქალი.

გორის მაზრა

მეჯვრისხევის თემში დასრულდა თემსაბჭოს არჩევა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამრჩეველთა 62 პროც., საბჭოში არჩეული იქნენ 83 წევრი, მათ შორის 6 ქალი, 16 კომ., 2 კომკავ., დანარჩენი უპარტიო.

მადლობა ძველ საბჭოს

(დ. ნაგომარი, გურია)

წინასწარი სამზადისი ახალ არჩევნებისათვის ჯერ კიდევ ნოემბრიდან დაიწყო. უნდა გამოგვერკვია რამდენი იყო თემში ხმის უფლების მქონე და ვის არ მიეცემოდა არჩევის უფლება. სამზადისი უკვე დამთავრებულია. ხმის უფლების მქონე თემში არის 718 მოქალაქე. შავი სია უკვე მზად არის. არ ეძლევა ხმა 15 კაცს. მოხსენება საბჭოს მუშაობის შესახებ დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი და საბჭოს თავმჯდომარეს ნაყოფიერ მუშაობისათვის მადლობა გამოუცხადეს.

მომავალ საბჭოს მუშაობის გეგმა მზად არის. ამომრჩეველები მოითხოვენ: 1. საექიმო პუნქტის შენობის დამთავრებას; 2. გზების დამთავრებას, რომლის მუშაობა უკვე სწარმოებდა; 3. ნაგომარში არხის გაყვანას, ჰაობების გაშრობის მიზნით; 4. სასფლაოების შეღობვას; 5. სკოლის ეზოს მოწყობას სხვადასხვა მცენარეებით; 6. კომუნალური ბაღის შექმნას; 7. ტყის დაცვას; 8. კლუბის შეკეთებას და 9. სახალხო სასამართლოსათვის შენობის აგებას.

წინასწარ სამზადისში და საზოგადოებრივ საქმის მოგვარებაში პარტია და კომკავშირი აქტიურად მონაწილეობენ. ქალებიც პირობებთან შეფარდებით ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას. მასწავლებლობა და სოფლის კულტურული ძალები დიდ დახმარებას უწევს საბჭოს და საარჩევნო კომისიას კამპანიის წარმატებით ჩატარებაში.

შ. კვინტრაძე.

არჩევნები არაჩვეულებრივ სიცხოველით მიმდინარეობს

(სამტრედიის რაიონი)

წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა უკვე ჩატარდა. ქალები და საშუალო გლეხები აქტიურად გამოდიოდენ კრებებზე და თამამად აღნიშნავდენ ჩვენი საბჭოს კარგსა და ცუდ მხარეებს.

7 თებერვლიდან უკვე დაიწყო საბჭოთა არჩევნები. პირველად ის ჩატარდა გომის თემში. ჩვენ ვფიქრობდით აქ ცივად შეხვდებოდენ არჩევნებს, რადგან წინასწარ პროვოკატორებმა მოსამზადებელი მუშაობა აწარმოეს: ბნელმა ძალებმა გასტეხეს ადგილობრივი ეკლესია და შემდეგ ხმა გაავრცელეს, ვითომც კომუნისტებმა მოაწყვეს ეს. ამით სურდათ სახელი გაეტეხათ ჩვენთვის და არჩევნებშიაც გამარჯვება მათ დარჩენოდათ. მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდენ.

ბოროტმოქმედებასაც საბოლოოდ ფარდა აეხადა.

არჩევნები მოხდა ყველა უბნებში, ისინი ჩაატარა სამაზრო ინსტრუქტორმა ამ. სტურუამ და სამტ. რაიკომის მდივანმა ბიკაშვილმა.

ხალხის 80 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, რაც ჯერ ამ თემს არ ახსოვს.

ახლა საბჭოთა არჩევნები მიმდინარეობს გამოჩენებულის თემში, აქაც არჩევნებს მრავლად ესწრება ხალხი.

სან-კანი.

მზად ვართ არჩევნებისათვის

(ს. საჯამიასერი, გურია)

არჩევნების წინასწარი მზადება საჯამიასერის თემში უკვე დაიწყო. ამჟამად სწარმოებს ფურცლების დაგზავნა საარჩევნო უბნებში. არჩევნებში ხმა წაერთვა მხოლოდ ოთხ კაცს.

თებერვლის პირველ რიცხვებში მოხდა თემის გაერთიანებული საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო დიდი უმრავლესობა.

კრების დღის წესრიგში იყო მოხსენება საბჭოს წარსული მუშაობის შესახებ და მომავალი სამუშაო გეგმის დამტკიცება.

ძველი საბჭოს მუშაობას კრება იწონებს, მაგრამ ამასთანავე მიუთითებს ნაკლზედაც, რასაც წარსული წლის მუშაობაში ალაგ-ალაგ ჰქონდა. განსაკუთრებით უსაყვედურებდენ გლეხები საბჭოს გზების შეუკეთებლობას.

კრება ახალი საბჭოს სამუშაო გეგმას იწონებს და ადასტურებს.

სერილი.

* * *

არჩევნების მოლოდინში

(ლეხაურის თემი, გურია)

29 იანვარს აქ შესდგა საბჭოს უკანასკნელი კრება, დღის წესრიგში იყო: საბჭოს გასული მუშაობის დახასიათება და მომავალი საბჭოსთვის განაწესის (ნაკაზის) მიცემა, ამ საკითხზე მოხსენება გააკეთეს საბჭოს ყველა სექციებმა და უკანასკნელად საბჭოს საკონტროლო სექციამაც. უკანასკნელმა აღნიშნა, რომ საკანცელარიო საქმის წარმოება მშვენივრადაა მოწყობილი, მაგრამ ბევრი გადაწყვეტილება არ არის სისრულეში მოყვანილი. შემდეგ საბჭომ გაუკეთა ჯამი მის წარსულ მუშაობ. და შეადგინა განაწესი მომავალი საბჭოსათვის—31 იანვრის სათემო ყრილობაზე წარსადგენათ.

კვირას, 31 იანვარს, შესდგა ეს ყრილობაც. საბჭოს წარსულ მუშაობაზე მოხსენებას აკეთებს ს. ურუშაძე. თავის სიტყვაში ის ფართოდ შეეხო წარსული მუშაობის დახასიათებას. ხანგრძლივი კამათის შემდეგ საბჭოს მუშაობა არსებულ პირობებში დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

საბჭომ ყრილობას წარუდგინა მომავალი მუშაობის გეგმა: 1) ბჟუჟზე და აჭის წყალზე რკინის ხიდის დაწყება საფუძვლის ჩაყრით 2) სათემო-სასოფლო გზების გაკეთება ტეხნიკური გეგმის თანახმად. ეს აღმშენებლობითი დარგში. მსგავსი ზომები აგრეთვე სხვადასხვა დარგში, როგორც კულტურული, სანიტარული და სხვა... ყრილობამ კამათისა და აზრთა გცვლა-გამოცვლის შემდეგ წარდგენილი ნაკაზი დაამტკიცა და დაუმატა: სურსათის შესახებ (რაც თემს აკლია) სათანადო ზომების მიღება. ყრილობამ აღუთქვა მომავალ საბჭოს აქტიური დახმარება ამ ზომების გატარებაში.

საბჭოთა არჩევნები მოახლოებულია, ასარჩევია ორმოცი წევრი. უნდა ავირჩიოთ ისეთი საბჭო, რომელიც მთელი თავისი ენერგიით შეეცდება მიღებული ნაკაზის ცხოვრებაში გატარებას, რაც წინ წასწევს თემის მოსახლეობას როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად.

ჩაქური.

ამხ-ბა „გლეხის ოჯახის" გამოკვლევა

წარმოკავშირის დავალებით წარმოკავშირის ინსტრუქტორებმა მოახდინეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხ-ბის „გლეხის ოჯახის" საქმეთა, ანგარიშებისა და ქონების რევიზია როგორც მთავარ საწყობში სად. გომში, ისე მის განყოფილებებში.

1917 წლამდე გომში არსებობდა გორის მაზრის მემამულეთა ხორბლით მოვაჭრე სინდიკატი, რომელიც 1917 წელს გადაკეთდა ინტეგრალურ ტიპის ამხ ბათ, სახელწოდებით „ხორბალი"; ამ ამხანაგობაში შედიოდენ გორის მაზრის მემამულეები. 1923 წელს ამხ-ბა „ხორბალი" გაუქმდა და მის მაგივრად დაარსდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობა „გლეხის ოჯახი".

გამგეობა და მთავარი საწყობები იმყოფება სად. გომში. ამხ—ბის სამოქმედო რაიონს წარმოადგენს გომის რაიონი, რომელშიაც შედის გომის, ალის, [illegible] და ავლევის თემები. ეს რაიონი წარმოადგენს ხორბლეულობის უმდიდრეს რაიონს და „გლეხის ოჯახი" ეწევა ხორბლეულობის დამზადება-გასაღებას. ამხ—ბა უმთავრესად ამზადებს პურს, ქერს, სიმინდს, ლობიოს და სხვა პროდუქტებს.

რევიზიამ დაამტკიცა, რომ საქმის წარმოება და ანგარიშწარმოება ამხ—ბაში დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული. ბალანსები სდგება ყოველთვიურად და საანგარიშო წიგნები ყველა მოყვანილია წესრიგში.

ამხ—ბის საკუთარ თანხას შეადგენს ძირითადი კაპიტალი 33.000 მანეთი, სათადარიგო—280 მან. 50 კაპ. და სპაიო—1441 მანეთი, სულ კი 3472 მან. 50 კაპ.

გასული საოპერაციო წლის განმავლობაში ამ ბამ დაამზადა: ხორბალი—56 872 ფუთი, ქერი—15.238 ფუთი, სიმინდი—41.789 ფუთი, ლობიო—7.484 ფ. და ბზე—15.325 ფუთი.

ამხ-ბა აწარმოებდა დამზადებას ნისესხი ფულით და ასაღებდა ხორბალს სხვა რაიონებში, უმეტესად, სათესლე მასალათ და აგრეთვე სამომხმარებლოთ. ხორბლეულობის შესყიდვა ხდებოდა მტკიცე ფასებში ნაღდ ფულზე ან საქონელზე. სოფლის ნაწარმოები მზადდება უმთავრესად წევრებისაგან. მხოლოდ იყო შემთხვევები, როდესაც კერძო პირთაგანაც მზადდებოდა ხორბალი. ფასები წევრთა და არა წევრთათვის ერთნაირია. დამზადებული პროდუქტები კარგათ ინახება. დამზადებული ნაწარმოები დაზღვეულია.

ამხ-ბა „გლეხის ოჯახს" გახსნილი აქვს სამი განყოფილება ხორბლეულის რაიონებში—სოფ. აბანოში, ცერონისში და ხვითში. ამ განყოფილებების საშუალებით ხდება ხორბლეულის დამზადება როგორც ფულით, ისე მიწოდებულ საქონელზე გადაცვლით.

აღნიშნული სამი განყოფილებიდან გამოკვლეული იქნა ორი—აბანოს ცერონისის განყოფილებები, რადგან მესამე—ხვითის განყოფილება ახალი გახსნილია.

აბანოს განყოფილებაში ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა, რაც შეეხება ცერონისის განყოფილებას, მას აღმოჩნდა დანაკლისი 1404 მანეთი, რის გამო რევიზიის დასკვნით მოხსნილი იქნა სამსახურიდან განყოფილების გამგე ჭინკოტაძე და ნოქარი ლომსაძე პასუხისგებაში მიცემით.

საერთოდ განყოფილებები ამართლებენ თავის თავს და მათი არსებობა მიზანშეწონილია, გარდა ხვითის განყოფილებასა.

სასოფლო მეურნეობა

სასოფლო-მეურნეობა ვენახების აღდგენა რაჭა-ლეჩხუმში

ფილოქსერა რაჭა-ლეჩხუმის ვენახებს მოედვა ამ ოცი წლის წინად და ვენახების დიდი ნაწილი თითქმის სავსებით გაანადგურა.

სტატისტიკური ცნობებით 1900 წელს რაჭა-ლეჩხუმში ვენახების სივრცე 6.800 დესეტინამდე აღწევდა. ვენახები წლიურად იძლეოდენ დაახლოვებით 1 მილიონ ვედრა ღვინოს.

ამ ჟამად რაჭა ლეჩხუმის ვენახების სივრცე 2 ათას დესიატინას არ აღემატება, ხოლო საშუალო წლიური მოსავალი უდრის 250.300 ათას ვედროს.

ფილოქსერის გარდა, ვენახები დააზარალეს გასული წლის ზამთრის სასტიკმა ყინვებმა. ვენახების მნიშვნელოვანი ნაწილი გახმა და წელს ნაყოფი არ გამოუღია. ალაგ-ალაგ ვაზებმა ყლორტები ამოყარეს, მაგრამ ისინი ნაყოფს ვერ გამოიღებენ უახლოეს ორ წელიწადში. ასე რომ ამ მოკლე ხანში მოსალოდნელია ღვინის ძალიან მცირე მოსავალი, განსაკუთრებით რიონის პირად მდებარე მამულებში.

ბრძოლას ფილოქსერის უკანასკნელ დრომდე რაჭა-ლეჩხუმის გლეხობა აწარმოებდა საკუთარი საშუალებით. ამ ჟამად კი ძველი ვენახები თითქმის არსად აღარ მოიპოვება. გლეხობას უმთავრესად ამერიკულ ლერწზე დამყნილი ვენახები აქვს გაშენებული. ახალი ვენახების გაშენება [illegible]ხერხა გლეხობის ცოტად თუ ბევრად [illegible] ნაწილმა, ღარიბ გლეხობას კი დღეს ვენახები აღარ აქვს.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს განზრახვა აქვს დაეხმაროს ღარიბ გლეხობის ვენახების გაშენებში და ფილოქსერასთან ბრძოლაში. ამ მიზნით იგი აწყობს ხვანჭკარის (რაჭის მაზრა) ყიფიანისეულ სატონდო მამულში ამერიკული ვაზის სანერგეს. მევენახეობის ინსპექტორმა უკვე ჩაიბარა ეს მამული, რომელიც ამჟამად უკვე დამუშავებულია სანერგეს ასაშენებლად. მიმდინარე წლის გაზაფხულისათვის ამ სანერგეს საშუალებით დამზადებული იქნება 100 ათასამდე დამყნილი ვაზი, რომელიც შეღავათიან ფასებში დაურიგდება ღარიბ გლეხებს.

მთავრობის ამ ღონისძიებამ რაჭველ გლეხობაში დიდი სიხარული გამოიწვია, რადგან გლეხების დიდ ნაწილს საშუალება ეძლევა განახორციელოს დიდი ხნის წადილი: გააშენოს ამერიკულ ლერწზე დამყნილი ვენახები.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი

მიმდინარე წლის საექსპორტო გეგმით ა. კ. უცხოეთში გაზიდულ უნდა იქნეს სულ 75 მილიონი მანეთის საქონელი. ამ ანგარიშში შედის ნავთისა და მარგანეცის ექსპორტიც.

სასოფლო-მეურნეობის საექსპორტო პროდუქტების ღირებულება ცალკე კი უდრის 17 მილიონ მანეთს. გასულ წელს ნავარაუდევი იყო 50 მილიონი მანეთის საქონლის გატანა. აქედან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები შეადგენდა 7.5 მილიონი მანეთის საქონელს. დანარჩენი იყო ნავთი და მარგანეცი.

საექსპორტო გეგმით წელს ნავარაუდევი იყო 1.5 მილიონი ფუთი სიმინდის გატანა, მაგრამ მდგომარეობა ისე შეიცვალა, რომ სიმინდის ამ რაოდენობით გატანა შეუძლებელი ხდება. სიმინდის მოუსავლობა ზოგიერთ რაიონებში იძულებულს ხდის ნედლი მასალის დამამზადებელ ორგანიზაციებს ერთი სამად შეამცირონ სიმინდის დამზადების გეგმა. მიმდინარე სამეურნეო წლის დასაწყისში—ოქტომბერში, საქართველოს ბაზარზე სიმიდი ფასობდა ფუთი 70—80 კაპ. ამჟამად ღირს 1 მან. 20 კაპ. ასეთი გაძვირების გამო სიმიდის გატანა ნაკლებ მომგებიანი ხდება.

რაც შეეხება თამბაქოს ექსპორტს იგი [illegible] იქნება [illegible], მიუხედავათ ჩვენი თამბაქოს ზრდისა და მისი საჭიროების გადიდებისა ნედლ თამბაქოზე, განსაკუთრებით აფხაზეთის თამბაქოზე, წელს მაინც შესაძლებელი გახდა 100 ათასი ფუთი აფხაზური თამბაქოს დამზადება უცხოეთში გასაზიდათ.

ამჟამად ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სპაიო ამხანაგობა აწარმოებს თამბაქოს დასამზადებელ მუშაობას გურიის სოფლებში და ლაგოდეხში. ამგვარად ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობა მიმდინარე წელს გაიტანს სულ 3,5 მილიონ ფუთ ნედლ თამბაქოს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აგრეთვე ნოხების გატანის საქმეს. შინა-მრეწველობის ამ ნაწარმოების გაზიდვას აწარმოებს მხოლოდ ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის სპაიო ამხანაგობა, რომელსაც სათანადო სიმაღლეზე აქვს დაყენებული ნოხების ექსპორტი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ეს საქონელი გაზიდული იქნა 600 ათასი მანეთის.

რაც შეეხება ხე-ტყეს, მისი გატანა წელს გადააჭარბებს გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას.

მზადება სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

პავილიონების აგება

ა.-კ. სასოფ. სამ. გამოფენის კომიტეტი ამჟამად აწარმოებს მუშაობას გამოფენის ტერიტორიის მოსაწყობათ და იქ პავილიონების ასაგებათ. კომიტეტი მოლაპარაკებას აწარმოებს საზ—ბა „სამშენთან" და საქართველოს სატყეო ტრესტთან გამოფენისათვის საჭირო შენობათა აგების შესახებ.

საქ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა უკვე დაუთმო საგამოფ. კომიტეტს დოლის მოედანი დიდუბეში.

გამოფენის ტერიტორიაზე ასაგებ შენობებისთვის მოსკოვში შეძენილია თხელი ფიცრები 4 ათასი კვადრ. საჟენი. ამავე მიზნით საგამოფენო კომიტეტმა შეიძინა სხვა სააღმშენებლო მასალაც.

გამოფენის ადგილზე ამჟამად სწარმოებს წყალსადენის გაყვანა, ცალკე საგამოფენო უბნების მოწყობა, მთავარი ქუჩების (გზების) მოწყობა და სხვა.

პარტიული ცხოვრება

ლოზუნგები საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავისათვის

1. მემამულეებისა და ბურჟუაზიის ჯინზე, მათი აგენტების—მენშევიკების ჯინზე, 5 წელიწადია, რაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობს და მტკიცდება საქართველოში.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს პირველ 5 წლისთავს!

2. 5 წელიწადია, რაც კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს მუშები და გლეხები მჭიდრო შეკავშირებულ სოციალიზმის მშენებლობას ეწევიან თავიანთ ქვეყანაში.

გაუმარჯოს მუშების და გლეხების კავშირს!

3. 5 წელიწადია საქართველოს მშრომელები მეგობრულად სცხოვრობენ ამიერ კავკასიის და დიდ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან ერთად.

გაუმარჯოს ყველა ერების მშრომელთა თავისუფალ კავშირს!

4. საქართველოს მრეწველობა შესამჩნევად განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლების 5 წლის განმავლობაში.

მუშავ, ასწიე შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესე პროდუქციის ხარისხი!

5. საქართველოს სასოფლო-მეურნეობა დიდი ნაბიჯებით მიდის წინ.

მორწყვა, ტრაქტორები, აგრონომიული დახმარება, სასოფლო-სამეურნეო კრედიტი,—ყველაფერი ეს საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა გლეხობას.

გლეხო, მტკიცეთ დაიცავი კავშირი ქალაქთან, გააუმჯობესე შენი მეურნეობა!

6. 5 წლის განმავლობაში კოოპერაციამ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია!

მუშებო და გლეხებო, გახსოვდეთ ილიჩის ანდერძი—კოოპერაცია არის გზა სოციალიზმისაკენ!

განამტკიცეთ კოოპერაცია!

7. საბჭოთა საქართველოს 5 წლისთავზე მუშები და გლეხები მხურვალე სალამს უგზავნიან დასავლეთის პროლეტარიატს და აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებს!

8. თვითეული სკოლა, თვითეული სალიკვიდაციო პუნქტი მძიმე ლოდს წარმოადგენს წყეულ წარსულის საფლავზე.

მუშებო და გლეხებო, მუშა-ქალებო და გლეხის ქალებო, მხარი დაუჭირეთ წერა-კითხვის ცოდნისა და კულტურის გავრცელებას.

9. საბჭოთა სელისუფლება ეყრდნობა მასებს—საქართველოს მუშებო და გლეხებო, თქვენი აქტიური და შეგნებული მონაწილეობით განამტკიცეთ საბჭოები!

10. ძლიერი, კარგად გაწვრთნილი წითელი არმია იმის საწინდარს წარმოადგენს, რომ მუშები დაზგასთან იმუშავებენ მშვიდობიანად, ხოლო გლეხები გუთანთან.

განამტკიცეთ წითელი არმია!

11. ტერიტორიალური ნაწილები აძლიერებენ საბჭოთა კავშირის ბრძოლის უნარს და კავშირს წითელ არმიასა და მშრომელთა შორის.

12. საბჭოთა კავშირის ბრძოლის უნარის განმტკიცება—ყველა მშრომელის საქმეა.

13. მუშავ და გლეხო, შეისწავლეთ სახედრო საქმე!

14. წითელი არმია—საბჭოთა კავშირის ყველა ერების მშრომელთა მასების შეიარაღებული კავშირია.

15. მენშევიკებისა და სხვა პარტიების სრული დაშლა და ლიკვიდაცია—საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მიღწევაა. ეს არის საბჭოთა საქართველოს განმტკიცების ნიშანი.

16. მიუხედავათ გარიყულ ჟორდანიას „მთავრობის“ ყოველგვარ ცდისა, მუშა-ემიგრანტებმა გაიგეს იმართლე საბჭოთა საქართველოს შესახებ.

თავის დაბრუნებით მუშურ-გლეხურ ქვეყანაში ისინი სასიკვდილო ლახვარს სცემენ კონტრ-რევოლიუციურ ემიგრაციას.

17. ემიგრაციის დაშლა—აი, რას მივაღწიეთ ჩვენ საბჭოთა საქართველოს მეხუთე წლისთავისათვის!

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტი.

ყრილობის დადგენილებების გაშუქება უპარტიო მასებში

მე-14 პარტყრილობის შედეგებზე მოხსენებები თითქმის ყველა პარტორგანიზაციებმა მოისმინეს. მათ უკვე სთქვეს თავისი სიტყვა ყრილობის მუშაობაზე [illegible] ვისი დამოკიდებულება ოპოზიციისადმი. ახლა სწარმოებს ყრილობის დადგენილებების განხილვა და შესწავლა ცალკე უჯრედებში. ეს, რასაკვირველია, საჭირო და აუცილებელია პარტიის ხაზის სწორათ გაგებისთვის და სწორი ხელმძღვანელობისთვის. საჭიროა, რომ პარტიის თითულმა წევრმა იცოდეს უმაღლესი ორგანოს დადგენილება ამა თუ იმ დარგში. ამ მხრით პარტორგანიზაციები სათანადო მუშაობას აწარმოებენ.

მაგრამ ჩვენ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მე-14 პარტყრილობას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი მომავლისათვის, რომ მით დაინტერესებული არიან არა მარტო პარტიის წევრები, არამედ უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილიც. ყოველი მუშა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ყრილობის მუშაობას, აინტერესებდა გაეგო ამა რას იტყვის ყრილობა ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ჩვენი რესპუბლიკების საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის საკითხები, სახალხო მეურნეობის განვითარების ხასიათი, პროფკავშირების მუშაობა და სხვ. მრავალი საკითხები, რომლებიც წამოიჭრა ყრილობის წინაშე და რომლებზედაც მან სათანადო პასუხი გასცა—ეს საკითხები [illegible] შუქდება უპარტიო მუშების კრებებზე სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნებში. იმ [illegible], რომ უპარტიო მუშებიც გაეცნონ პარტყრილობის დადგენილებებს, ზოგიერთი უჯრედები ღია კრებებს აწყობენ; მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ უჯრედების ღია კრებებს [illegible] ესწრება. ამიტომ საჭიროა, რომ ამ საკითხის გასაშუქებლათ, როგორც ვთქვით, ცალკე [illegible] და ქარხნებში მუშების [illegible] კრებებზე იკითხებოდეს [illegible].

[illegible] კავშირების კომფრაქციებმა [illegible] ზომები, რომ პროფკავშირთ წრეებში ფართოდ [illegible] მე-14 პარტყრილობის [illegible]. თბილისში მე-14 პარტყრილობის შედეგებზე უპარტიო მუშებში [illegible] მოხსენებები, ადგილებზე კი [illegible] არაფერი კეთდება. პარტკომებმა ამას ყურადღება უნდა [illegible]; მე-14 პარტყრილობის [illegible] უნდა [illegible] უპარტიო მუშებში.

ი.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

ყველა უჯრედები ასე უნდა მუშაობდნენ

(არსენალის უჯრედის ცხოვრებიდან).

პარტყრილობამ ხაზი გაუსვა ქარხანა-ფაბრიკების წარმოების საკითხებისადმი მეტი ყურადღების საჭიროებას. არსენალის უჯრედმა უკვე გადადგა ამ მხრივ ნაბიჯი და შედეგიც თვალსაჩინო გამოდგა.

არსენალის უჯრედის ბიუროს დადგენილების თანახმად, კომუჯრედისა და ა. ლ. კ. კ-ის უჯრედის გაერთიანებულ სხდომაზე დღის წესრიგში დასმული იყო არსენალის სათუნუქო საამქროს უფროსი ხელოსნის საანგარიშო მოხსენება საამქროს მდგომარეობისა და საჭიროებათა შესახებ. ხსენებულ კრებას უპარტიო მუშები ბლომად დაესწრენ, განსაკუთრებით სათუნუქო საამქროს მუშები. საამქროს უფროს ხელოსანმა ამხ. ზაპეცამ დაახასიათა საამქროს ახლანდელი მდგომარეობა, საიდანაც გამოირკვა, რომ საამქროს მუშაობა თანდათანობით უმჯობესდება. წინეთ და ნაწილობრივ ახლაც მუშაობას აფერხებდა ზოგიერთი დაზგების შეუკეთებლობა. ამ გარემოებას ქარხნის მმართველობა შეძლების ფარგლებში აქცევს ყურადღებას და ასწორებს.

მოხსენების შემდეგ კამათში გამოვიდენ მთელი რიგი როგორც პარტიული, ისე უპარტიო ამხ-სა, რომელნიც აღნიშნავდენ რა საამქროს დეფექტებს, მიუთითებდენ ამ თუ იმ ზომებზე მათ გამოსასწორებლად. აქ მეტად საყურადღებო ის არის, რომ მუშებს ძლიერ აინტერესებთ წარმოების საკითხები—მისი პერსპექტივები.

კომუჯრედის ბიუროს დასახული აქვს გეგმაში რიგ-რიგობით გააკეთებინოს მოხსენებები საამქროების უფროს ხელოსნებს ასეთივე თემებზე.

ასეთი საკითხების დასმა და გარჩევა უჯრედების სხდომებზე თვალსაჩინო დადებით შედეგებს იძლევა, სახელდობრ: ირკვევა წარმოების ნაკლულოვანებანი და მათ გამოსასწორებლად ინახება საშუალებანი. ხელს უწყობს უპარტიო მასსის მიზიდვას კრებებზე და საერთოდ აქტივობის ზრდას. ასეთივე გზით ირკვევა ესა თუ ის საამქროს უფროსი ხელოსანი, რამდენათ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე და მუშები, რომელნიც მის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებიან, რამდენათ კმაყოფილი არიან მისი მუშაობით. ამ რიგათ არსენალის უჯრედმა გადასდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

ამავე სხდომაზე მეორე საკითხად დასმული იყო ა. ლ. კ. კ. უჯრედის მდივნის მოხსენება უჯრედის წარსული მუშაობის შესახებ. მოხსენება გააკეთა ამხ. ირემაძემ, რომელმაც აღნიშნა მთელი რიგი მიღწევანი უჯრედის მუშაობაში, ნაკლი მდგომარეობდა იმაში, რომ ამხანაგი, რომელიც მიმაგრებული იყო უჯრედზე, კომუჯრედიდან ხშირად არ ესწრებოდენ სხდომებს, ბოლო ხანებში ეს ნაკლიც გამოსწორებულია და უჯრედი მუშაობს ნორმალურად.

ორივე მოხსენების ირგვლივ მიღებულ იქნა რეზოლიუციები, რომელშიც გამოთქმული იყო პრაქტიკული ღონისძიებანი ამა თუ იმ ნაკლის მოსასპობად. სახელდობრ: პირველ მოხსენების ირგვლივ კრებამ გამოსთქვა სურვილი ყურადღება მიექცეს, რათა შეკვეთების თავის დროზე შესრულების მიზნით ყველა არტელებში გამოყოფილ იქნან „ბრიგადირები“, რომელთა პასუხისმგებლობის ქვეშ უნდა სრულდებოდეს შეკვეთები. მიექცეს ყურადღება ხელოსანთა და უფროს ხელოსანთა შორის ნორმალური დამოკიდებულების საკითხს. მიექცეს ყურადღება საამქროს ანტი-სანიტარულ მდგომარეობას და სხვა.

მეორე მოხსენების ირგვლივ კრებამ გამოსთქვა სურვილი კომკავშირსა და პარტიის შორის ურთიერთ დამოკიდებულების დიდი მნიშვნელობის გამო, და პარტიის მხრივ კომკავშირზე ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით ხშირად ხდებოდეს გაერთიანებული კრებები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უჯრედებმა მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ აქ აღნიშნულ საკითხებს, სახელდობრ—მეტი ყურადღება წარმოების შინაურ საკითხებს.

„არსენალელი“.

სუფსის (გურია) თემკომის მუშაობა

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც დ. სუფსაში დაარსდა კ. პ. თემკომი, რომელიც აერთიანებდა და დღესაც აერთიანებს 90-დე წევრსა და კანდიდატებს.

უნდა ითქვას, რომ სანამ თემკომი დაარსდებოდა, მანამ ორგანიზაციული მუშაობა მიძინებული იყო. მაგრამ თემკომის დაარსების შემდეგ ორგანიზაციის მუშაობას გამოცოცხლება დაეტყო.

თემკომში შემოდის 8 კომუჯრედი, რომლის კრებები და პოლიტ-მეცადინეობა თავ-თავის დროზე ხდება. რაც უმთავრესია, ყოველ თუთხმეტ დღეში ეწყობა უჯრედების მდივნების თათბირები. საბჭოთა არჩევნებში უჯრედები აქტიურ მონაწილეობას იღებენ. იმართება უჯრედების ღია კრებებიც, რომლებზეც ირჩევა სოფლისთვის საჭირბოროტო საკითხები. ხსენებული თემკომი კომკავშირსა და ქალთა ორგანიზაციას ხელმძღვანელობას უწევს. მაგრამ საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციოს ა. ლ. კ. კ. თემკომის გამოცოცხლებას პარტ. თემკომმა.

ვ. ტაბანელ—მახარაძე

საჭიროა სარევ. კომისიების მოხსენებებიც

როგორც ვიცით, სანამ ახალი საბჭოს არჩევნები მოხდება, ძველი საბჭო ანგარიშს აბარებს თავის მუშაობის შესახებ ამომრჩევლებს. არის შემთხვევები, და არც ისე იშვიათი, როცა საბჭოს საანგარიშო მოხსენებები კეთდება მხოლოდ საბჭოს წარმომადგენელის მიერ და ეს მოხსენება არ არის დადასტურებული სარევიზიო კომისიისაგან.

აშკარაა, რაც უნდა საქმიანი და სინამდვილის გამომხატავი იყოს ასეთი მოხსენება, მას არ ექნება ისეთივე ღირებულება ამომრჩეველთა თვალში, როგორიც ექნებოდა ამ მოხსენებას, თუ კრება ამასთანავე მოისმენდა სარევიზიო კომისიის აზრს თემსაბჭოს მუშაობის შესახებ.

სარევიზიო კომისია თემის თვალი და ყურია. მის სიტყვას, როგორც მესამე პირის აზრს, [illegible] დიდი ფასი აქვს ამომრჩევლების თვალში. სამწუხაროთ, როგორც ვთქვით, ეს ყოველთვის ასე არ ხდება და საბჭოს მუშაობის შესახებ მხოლოდ ცალმხრივი მოხსენებით, რაც უნდა მიუდგომელი იყვეს ის, არ რჩება ამომრჩევლებს ნათელი წარმოდგენა საქმის ვითარების შესახებ.

სოფელ გვიმბრიანს და ჭითაუშქურის (სენ. მ.) გლეხთა კრებაზე, საბჭოს მუშაობა ამომრჩევლებმა არ მოიწონა, რადგან საანგარიშო მოხსენება ხალას სიტყვებს წარმოადგენდა და აღმასკომის ნამოქმედარის შესახებ მომხსენებელს არ წარმოუდგენია არავითარი საბუთები.

სარევიზიო კომისიის წარმომადგენელი ამ კრებაზე არ გამოცხადებულა. არც იმის თქმა შეიძლება დაბეჯითებით, რომ აღმასკომს მართლაც მიუძღვის რაიმე ბოროტ-მოქმედება. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. იჭვები არის და ამ იჭვების გასაფანტავად საჭირო იყო სარევიზიო კომისიის ავტორიტეტული სიტყვა.

ამან კი საგრძნობლად დააბრკოლა თემსაბჭოს მიერ წარმოებული წინასწარი საარჩევნო სამზადისი და რამდენიმე ხნით ზედმეტად გააჭიანურა ის.

ბევრგან უკვე ჩატარდა არჩევნები. არის თემები, სადაც ჯერ კიდევ არ დასრულებულა წინასწარი სამზადისი და საანგარიშო მოხსენებებიც არ არის გაკეთებული თემსაბჭოების მიერ.

საჭიროა ამიტომ, ვისარგებლოთ დარჩენილ დროით და საარჩევნო კამპანიის ეს მნიშვნელოვანი ნაკლი გამოვასწოროთ.

ნ. მ—ლი.

ახალგაზრდა კომუნისტური გვარდია

ახალგაზრდობა ჩვენსკენ ილტვის

(სოფ. მუხათი, ასურეთის თემი)

სოფ. მუხათის ახალგაზრდობას დიდი სურვილი ქონდა კომკავშირის რიგებში ჩაწერილიყვნენ და არ ჩამორჩენილიყვნენ თავის მეზობელ სოფლის ახალგაზრდებს. ასურეთის ა. ლ. კ. კ. თემკომმა დროზე მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას.

ორშაბათს, 1 თებერვალს, სოფ. მუხათი ახალგაზრდობამ მოიწვია გაერთიანებული კრება, თემკომიდან კრებას დაესწრო ამხ. ადამია, რომელმაც გააცნო გლეხობას კომკავშირის ამოცანები სოფლად მუშაობის შესახებ, მშრომელი ახალგაზრდობა დიდი სიხარულით შეხვდა ამხანაგის სიტყვებს.

შემდეგ დაარსდა უჯრედი. ჯერჯერობით ჩაეწერა 21 ახალგაზრდა. ახალგაზრდობამ სიტყვა მისცა თემკომიდან მოსულ ამხანაგს, რომ ისინი ყოველთვის იქნებიან სადარაჯოზე, და დაიცავენ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს. ამხ. ადამიას წინადადებით ახალ დაარსებულმა უჯრედმა თავის რიგებიდან გამოყო ორი ამხანაგი პროფკოლექტივში. ვუსურვებთ ახალ დაარსებულ უჯრედს თავის მიზნების განხორციელებას.

ახკორი ა. დ. მათხოჯელი.

დეპეშები

ქუთაისის მაუდის ფაბრიკა

ქუთაისი, 18 თებ. ქუთაისის მაუდის ფაბრიკამ წარსულ წელს ბაზარზე გამოიტანა 50.000 მეტრი მაუდი.

ფაბრიკის საწარმოო თათბირმა საჭიროდ სცნო მეორე საჩეჩი აპარატის დადგმა, რათა, ამგვარად, ფაბრიკის წარმოებამ მიაღწიოს 200.000 მეტრამდე წელიწადში. ეს ციფრი შეადგენს ფაბრიკის ნორმალურ დამზადების 66 პროცენტს. მხოლოდ 3 საჩეჩი აპარატის მუშაობის დროს ფაბრიკას შეუძლია სრული პროდუქციის მიღწევა.

გადაწყვეტილია გერმანიაში 3 მანქანის და ერთი თვითმქრელის შეძენა. ფაბრიკას არა აქვს სანებავი და საკარბონიზაციო მანქანები, რაც გავლენას ახდენს ნაწარმოების ხარისხზე.

მუშაობა სწარმოებს ორ შეცვლით წითელი დირექტორის ხელმძღვანელობის ქვეშ.

მმაჩის მუშაკთა კონფერენცია

ოზურგეთი, 18 თებ. დამთავრდა გურიის ყველა სათემო აღმასკომთა მმაჩების მდივანთა კონფერენცია. მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან. მმაჩის მუშაკებისათვის შედგენილია ინსტრუქციები და წესები მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის ახალი სისტემის გასატარებლათ.

ახალი სკოლა

ჭიათურა, 18 თებ. სახ. განათლების შორაპნის განყოფილებამ სოფ. საჩხერეში აგრონომიულ პუნქტთან გახსნა ახალი ოთხწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლა. სკოლა კარგად არის მოწყობილი სამოსწავლო სახელმძღვანელოებით და ყოველგვარ სასოფლო-სამეურნეო მანქანების მხრით.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოსვლა

ახალქალაქი, 18 თებერვ. იანვრის განმავლობაში მაზრაში შემოსულია 8.938 მანეთის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. კამპანიის დაწყებიდან შემოვიდა: ძირითადი გადასახადი 48.380 მან. 60 კაპ., წარსული წლის ნაშთი—3.430 მ. 77 კაპ., საურავი—952 მან. 14 კაპ., სულ—52.763 მან. 51 კაპ., რაც შეადგენს მაზრის მთელი გადასახადის 55 პროცენტს. გადასახადის აკრეფას აჭიანურებს საქონლის ჭირი და აგრეთვე გაცხოველებული საარჩევნო კამპანია, რომელშიაც ჩაბმული არიან ადგილობრივი მუშაკები. გადასახადის აკრეფის გაძლიერებისათვის თემის მუშაკებას დასახმარებლად გაგზავნილია რამოდენიმე ამხანაგი.

საბჭოთა საქართველო

წერილები

ხულიგნობას ბოლო უნდა მოეღოს

ხულიგნობა, ტარიელ-მკლავაძეობა, მარტო ქალაქის სენს როდი წარმოადგენს. მას, სამწუხაროთ, სოფელშიაც ფართედა აქვს გადგმული ფესვები და ხელს უშლის მშრომელი გლეხობის მშვიდობიან ცხოვრებას.

განსაკუთრებით ხშირია ეს მოვლენა სოფლის სამიკიტნოებში, ქორწილებში, დღეობებში და თემობაში. არის ისეთი ელემენტებიც, რომელთაც ხულიგნობა ხელობათ აქვთ გადაქცეული. ესენია, უმთავრესად, უსაქმოთ მოხეტიალე ყოფილი თავად-აზნაურობა, ჩარჩ-ვაჭრები, ზოგჯერ სამღვდელოებაც კი, ერთი სიტყვით ყველა ის, ვინც მიჩვეულია მუქთახორობას და უსაქმოთ ყიალს.

მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფაც, რომ ხულიგნობას ადგილი აქვს ხანდისხან მშრომელ გლეხობის შორისაც კი. ისინი, ასე ვთქვათ, დრო-გამოშვებით ეძლევიან ამ ხელობას. მთავარი დანაშაულობა აქ მიუძღვის კურთხეულ მამა-პაპურ ღვინოს.

ჩვენში ხომ კიდევ არ იციან ამ ძვირფას სასმელის კულტურულად გამოყენება. გლეხი ზოგჯერ მთელი თვეობით ითმენს ღვინოს. მის მაგივრათ წყალს ეტანება. მაგრამ წელიწადში გამოჰკრავს რამდენიმე ისეთი დღეებიც, როცა ღვინო სუფრაზე დილიდან საღამომდი სდის და გადასდის. ილვრება და იკარგება უსარგებლოთ წვით და დაგვით მოყვანილი ძვირფასი სასმელი.

შემდეგ ღვინის სიცხისგან ატაცებული მოქეიფენი ვინ იცის რა უბედურებას არ ეყრება. ყვირილი, ალიაქოთი, ჩხუბი, დავიდარაბა, ლანძღვა-გინება, ზოგჯერ კეტების და იარაღის ტრიალი-ტრიალი, ჭურჭლების და ავეჯეულობის მტვრევა, დედაკაცების შეურაცხყოფა და სხვა ასეთები—აი, რით თავდება უმეტეს შემთხვევაში ეს „დროსტარება“.

დღეს, როცა ასე თავგამოდებით ებრძვის მოწინავე გლეხობა ხავსმოდებულ ცრუმორწმუნეობას და მამა-პაპურ ადათ-ჩვეულებებს, ბრძოლა სოფლად არსებულ ხულიგნობის წინააღმდეგ მორიგ ამოცანათ უნდა იქნას მიჩნეული. ეს აუცილებელია არა მარტო სოფლის კულტურულათ გათვითცნობიერების და ამაღლებისათვის, არამედ ამას მოითხოვს გლეხის მეურნეობის ინტერესებიც.

უბრალოთ დროის კარგვა, ღვინისა და სურსათის მარაგის უთავბოლოთ ფლანგვა, საზოგადოებრივ წესიერების დარღვევა და ერთმანეთისათვის თავპირის მტვრევა-ყველაფერი ეს გლეხის მეურნეობასვე ვნებს და წინ ელობება აღმშენებლობითი მუშაობას სოფლად.

ამიტომ საზოგადოებრივ წესრიგის დაცვას, მშვიდობიან მუშაობის პირობების განმტკიცებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ეს პირველყოვლისა არის თემსაბჭოების და შემდეგ სოფლად მომუშავე საზოგადოებრივ და სხვადასხვა სახის კულტურულ ორგანიზაციათა მოვალეობა.

ბ. ბ—ლი.

საკუთარი ინიციატივით

(ბორჩალოს მ., ბოლნის-ხაჩინი)

არიან ისეთი რაიონები თუ სოფლები ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ კუთხეებში, სადაც საექიმო დახმარებაზე წარმოდგენაც არ აქვთ. ამიტომ ამ სოფლებში დიდი გასავალი აქვს ცრუმორწმუნეობას.

როგორც ვიცით, ხელისუფლება საექიმო დახმარებას უმეტესად უფასოდ აწვდის ხალხს. ასე რომ, ეს საქმე მთელი თავისი სიმძიმით სახელმწიფოს ბიუჯეტს აწევს. ამის გამო ბუნებრივია, რომ საექიმო პუნქტების ქსელის ფართოდ გაშლა უსახსრობის გამო ხშირად ფერხდება. მაგრამ აღსანიშნავია—ხალხმა შეიგნოს ექიმსა და საექიმო დახმარების მნიშვნელობა და ხშირად, თავის ინიციატივით უდგება სათავეში ამა თუ იმ სოფელში საექიმო პუნქტის დაარსებას.

ასეთ მაგალითს ადგილი ჰქონდა ბორჩალოს მაზრაში, სოფ. ბოლნის-ხაჩინში, სადაც საექიმო დახმარების საქმე მძიმე მდგომარეობაში იყო.

ამ სოფელში თვით მუსლიმან გლეხებმა გადასწყვიტეს გაეხსნათ საკუთარის ძალღონით საექიმო პუნქტი სოფელში, რისთვისაც მიმართეს ჯანმრთელობის განყოფილებას და სთხოვეს დახმარებოდა ამ საქმეში. ამ მიზნისათვის გლეხობამ შეჰკრიბა 1500 მანეთი და შეიტანა ჯანმრთელობის განყოფილებაში.

ამასთანავე გამოჰყვეს განსაკუთრებული შენობა პუნქტისთვის და ექიმისთვის, რომელსაც ჰპირდებიან უზრუნველყოფას გათბობით და განათებით.

უკანასკნელი სიტყვა ამ შემთხვევაში ჯანსახკომზეა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჯანმრთელობის განყოფილება სიხარულით შეხვდება ამ ფაქტს და გლეხობას დაეხმარება გამოცდილი ექიმის და საჭირო მედიკამენტების გაგზავნით.

ა. ლ.

შენობა არის, მეცადინეობა არ სწარმოებს

(ს. მუხათი, თბილ. მ.)

ასურეთის თემი კულტურულად ჩამორჩენილი იყო, მაგრამ ამ ორი სამი წლის განმავლობაში სულ სხვას ვხედავთ. იმ სოფელში, სადაც გლეხობას წარმოდგენა არ ჰქონდა თუ გაიხსნებოდა შრომის სკოლა, დღეს ეს საკითხი მოგვარებულია, მაგრამ ეს არ კმარა.

არის კიდევ დარჩენილნი სოფლები, სადაც მშრომელი გლეხობა მოითხოვს სკოლის გახსნას, ვინაიდან საამისო შენობა უკვე დიდი ხანია მზად არის. ასურეთის თემში ერთი ასეთი სოფელი არის მუხათი. გლეხობა მოითხოვს, რომ გაიხსნას სკოლები, რათა მათი ბავშვები არ დარჩენ სიბნელეში.

უფრო კარგი იქნება, რომ ამ საქმეს სასწრაფოდ ხელს მოკიდებდენ ასურეთის თემის შრომის სკოლების გამ. ამ. ვ. წილოსანი და თემაღმასკომი. სკოლის გარედ დარჩენილ ბავშვების რიცხვი უდრის ორმოცდაათს.

გლეხკორი—ა. დ. მათხოჯელი.

რათ დაადეთ ბოქლომი?

(დ. ფასანაური, დუშ. მ.)

ფასანაურის „ეპოს“ კარებიც აგერ სამი თვეა გამოკეტილია დიდი კლიტით. ამის [illegible] არ იცის არც ერთმა „ეპო“-ს წევრმა გლეხმა და იმედ[illegible] იძახის: „ეხლაც დავკარგეთ საწევრო ფული“-ო.

კარგი იყო ერთხელ მაინც მოეწვია კრება „ეპო“-ს გამგეობას და განემარტა ხალხისათვის, თუ რა მიზეზით მიიხურა [illegible]რატივი, რომელზედაც ფასანაურის თემის გლე[illegible]დ იმედს ამყარებდა და დღეს კი ისევ ვაჭრების კლანჭებში გაება.

უხილავი.

ახალ შვიდწლედს [illegible]

(ზანის თ., სენ. მ.)

ჩვენი თემის საბჭომ დაადგინა ზანაში არსებული შვიდწლედის შენობის ახალ გეგმაზე აშენება, რისთვისაც აირჩია სათანადო კომისიაც.—კომისიამ შეუძლებლად დაინახა ზანის თემის მოსახლეთა შორის, მათი სიღარიბის გამო, იმდენი თანხის მოგროვება, რამდენიც საქმეს დასჭირდებოდა. ამისთვის მან მიმართა წერილებით შემწეობის აღმოსაჩენად—ზანის თემის იმ მკვიდრთ, რომელნიც საბჭოთა კავშირის ქალაქებში იმყოფებიან სხვადასხვა სამსახურის გამო და რომლებისთვის ცოტა თუ დიდი სამსახური გაუწევია წერა-კითხვის შესწავლაში ზანის სკოლას.

ამ მოწოდებამ ნაყოფიც გამოიღო. ჯერჯერობით სხვადასხვა პირებისაგან მიიღ 127 მანეთი. ამხანაგები მომავალშიაც გვპ რდებიან დახმარებას.

მუშაობას საძირკველი უკვე ჩაყრილ აქვს.—მოწყობილია აგურის ქარხანა და სპ ციალისტების მიერ დამტკიცებულია, რ აქვე კრამიტიც გაკეთდება. გაზაფხულზ მუშაობა გაჩაღდება.—ახალგაზრდობისაგ დგება განსაკუთრებული საამშენებლ რაზმი.

ნესტორ ჭითავა.

წინ მივდივართ

(ს. ვანი, გურია).

ადგილობრივი მშრომელი ხალხი ყოველთვის მონდომებული იყო ქონებოდა მას აუცილებელი კულტურული დაწესებულებები: სკოლა, სამკითხველო და სხვა.

და ყველა ეს მოაწყვეს ჯერ კიდევ ნიკოლოზის მთავრობის დროს. გვქონდა მშვენივრათ გამართული სკოლა, კოოპერატივი და სამკითხველო. ყველასათვის ცხადია თუ რა ძნელი მოსაწყობი იქნებოდა იმ დროში ყოველივე ეს. რამდენი თხოვნები გვჭირდებოდა მთავრობასთან, ნება მოეცა ჩვენთვის, რომ ასეთები მოგვეწყო, მაგრამ ხალხმა მაინც შესძლო მიზნის მიღწევა.

მენშევიკების მთავრობის დროს ჩვენს კოოპერატივს და სამკითხველოს თანდათან სისუსტე დაეტყო, მიუხედავათ იმისა რომ სამჯერ კიდევ შევიტანეთ საპაიო ფული. კოოპერატივს კარებიც გამოიკეტა და სამკითხველოს შენობაც გაიყიდა. დაგვრჩა მხოლოდ სკოლა. გასაბჭოების დღიდან ზოგიერთები ეწეოდენ ათასგვარ პროვოკაციას არაებული მთავრობის წინააღმდეგ და გლეხებს ეუბნებოდენ, რომ არ მიიღოთ მონაწილეობა არავითარ საზოგადოებრივ მუშაობაშიო.

ამით სურდათ საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟის დაცემა. მაგრამ ხალხის უმრავლესობა მალე დარწმუნდა, რომ პროვოკაციის აყოლა არ მისცემდა ხელს მას. სოფელმა ზურგი შეაქცია ლობის უკან მოჩურჩულეებს და ისევ დაუბრუნდა საზოგადოებრივ მუშაობას.

მიმართეს ნიგოითის მთლიან კოოპერატივის გამგეობას, რომ ვანში გაეხსნა განყოფილება. შეიტანა რამოდენიმე კაცმა საპაიო ფული და გაიღო ჩვენი კოოპერატივის კარებიც. ჯერ კიდევ ხალხი ეჭვის თვალით უყურებდა ამ კოოპერატივს. შიშობდენ, რომ წინანდებურათ არ დაკარგოდათ აქ მოტანილი საპაიო ფულები, მაგრამ ჩვენს კოოპერატივს მალე გაჯანსაღება დაეტყო, რასაც ხელი შეუწყო ნიგოითის მთლ. კოოპ. გამგეობამაც. ამ კოოპერატივს სათავეში უდგას გამოცდილი და ენერგიული მომუშავე დიმიტრი ფირცხალაიშვილი.

დღეს გლეხები სიამოვნებით ეწერება კოოპერატივის წევრათ. ვანში მაგალითად სულ 160 კომლია და აქედან ასამდე უკვე წევრია კოოპერატივის.

გარდა ამისა გვაქვს აგრეთვე დაწყებული და ნახევრათ გაკეთებული საუცხოვო ქვის შენობა სამკითხველოსათვის. ამ შენობის გარშემო შეუჩერებელი მუშაობა სწარმოებს. შენობა ჯდება დაახლოვებით 1.500 მანეთამდი. ნიგოითის კოოპერატივიდან შენობის სასარგებლოთ მივიღეთ 55 მან. გლეხობა ამით კმაყოფილია და ის დარწმუნდა, რომ თუ კოოპერატივი მოიგებს, ისევ ხალხის სასარგებლოთ წავა ეს მოგება.

ხაფანგი.

მებორნეები უნდა აილაგმონ

(ს. თერჯოლა, შორ. მ.)

სოფ. სიქთარვის ბოლოზე ჩადის მდინარე ყვირილა. ჩხარის და თერჯოლის გლეხკომების მიერ კერძო პირებთან დადებული იყო ხელშეკრულება, რომ მას გაეკეთებია ბორანი ყვირილაზე.

გლეხკომებს უნდა მიეცათ მოიჯარადრეებისათვის ექვსასი მანეთი. ბორანი აღმოჩნდა უვარგისი, გლეხკომმა ის არ ჩაიბარა და დღეს კერძო პირები ტყავს აძრობენ მშრომელ გლეხობას.

გლეხს მიაქვს ორი თუ სამი ფუთი სიმინდი სვირის სადგურზე გასასყიდათ, გასვლაში უნდა გადაიხადოს იმდენი, რამდენიც მებორნეებს მოეპრიანებათ. გლეხი ბრუნდება ნახევრათ ჯიბა ცარიელი. ხშირად გვესმის გლეხებისგან საყვედურები. ალაგმეთ თვითნება მებორნეები, ნუ აძლევთ მათ უფლებას ხალხს ტყავი აძრონ.

გავლილი.

წერილებიდან

— დედას ასე არ უნდა მოეპყრათ. რკინისგზის გარაჟში მუშაობს ალექსი ზუბულური, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევს თავის მოხუც დედას. დედა მისი იმყოფება თავის მამის ძმის შვილებთან. შვილი კი მას თავისთან არ უშვებს. სამართლიანობა მოითხოვს, რომ მას თავის საზრდოს უნდა აძლევდეს შვილი. ის არც საზრდოს აძლევს მას და არც თავისთან უშვებს და უპატრონოდ სტოვებს მოხუც დედას. დედა დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი ყოველ მხრივ.

იმედია, ხელისუფლება ყურადღებას მიაქცევს ამ ამბავს და ყურს აუწევს ასეთ უმადურ შვილს.

ახკორი სვ. მელაძე.

— მიაქციეთ აქაც ყურადღება. მე-8 გამოგზავნილი წერილებიდან სამილიციო უბანში არსენალთან ყოფილ თამამშევის ელ-სადგურის გვერდზედ არის დუქნები. სახელად სამეწვრიმალოა ეს დუქნები, ნამდვილად კი აქ ღვინო და არყით ვაჭრობენ. აქვე თავს იყრიან სისტემატიურად ავარები და ლოთობენ და არა ერთხელ და ორჯელ ყოფილა მუშტი-კრივი და ცემა-ტყეპა. საჭიროა, მილიციავ, მიაქციო ყურადღება და აუკრძალო ამ მედუქნეებს ღვინით და არყით ვაჭრობა.

მუშკორი ია.

— ვისი ბრალია? წ. წ. 1 მარტ. იყო გამოცემული განკარგულება, რომ მივლინებაში წასულთ უნდა მიეცეს 1/24 მთელი მისი ნამუშევარისა, მაგრამ მუშა-ხელოსნები მთავარ სახელოსნოებისა, ღებულობდნენ მხოლოდ ძველი წესით (ე. ი. დღიურ ხელფასს მე-9 თანრიგით). ნუ თუ განკარგულებას იმიტომ სცემენ, რომ საწერ მაგიდის უჯრაში ინახონ? ამისთანა დაუდევრობა დაუშვებელია. სასწრაფოდ უნდა იქნენ დაკმაყოფილებულნი ყველა ის მუშა-ხელოსნები, რომლებიც იყვნენ მივლინებაში გაგზავნილი.

მუშკორი ლიაპინი.

— საჭიროა ყურადღება მიექცეს „გრუზშვეიპრომის“ ქარხნის ეზოში ვილაც მიკიტნებმა გახსნეს სამიკიტნო, მართალია აქ ღვინო არ არის, მაგრამ შიგ ისეთი უსუფთაობა არის, რომ ვერც კი წარმოიდგენს კაცი.

ქარხნის ექიმმა ამხ. ანდრონიკაშვილმა სამჯერ მისცა წინადადება გაესუფთავებიათ ეზო, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშ[illegible] [illegible]ლები აქ უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ბაზარში და ეს სამიკიტნო მუშებს ყვლეფავს.

ქარხნის მუშა.

პროფკავშირებში

განათლების მუშაკთა კავშირში

პრეზიდიუმის შემადგენლობა

გუშინ, დღის 2 საათზე შესდგა განათლების მუშაკთა კავშირის ახალი ცენტრალური გამგეობის პირველი პლენარული სხდომა. არჩეული იქნა კავშირის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

ამხ. კვიცარიძე, გეგენავა, პოლოსოვი, ფანცულაია, ქეიშვილი, ხუნდაძე და ლოონტი.

პრეზიდიუმიდან გამოყოფილია სამუშაო აპარატი: გამგეობას თავმჯდომარე და საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. გ. კვიცარიძე, პასუხ. მგებ. მდივანი და კულტგანყოფილების გამგე ამხ. გეგენავა, სატარიფო ეკონომიურ განყოფილების გამგედ ამხ. პოლოსოვი, საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილედ ამხ. ფანცულაია.

გამგეობის პლენუმი მოწვეული იქნება ორ თვეში ერთხელ.

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა მე-4 ყრილობა

მესამე სხდომა

საბჭოთა კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარის რწმუნებულის ამხ. ყამარაულის მოხსენება

მომხსენებელი ეხება საერთოდ იმ პირობებს, რომლებშიაც გადმოვიდა საბჭოთა ხელისუფლების ხელში ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულება-წამოწყებები და აღნიშნავს, რომ ყველა მანქანები და მათი ნაწილები, რომლებიც გატანილი იყო ბათომში ყოფილი მთავრობის მიერ, ჩვენ ხელში გადმოვიდა დაზიანებული, რისთვისაც თბილისში დაარსებული იქნა ქარხანა „თემქა“ ამ მანქანების შესაკეთებლად.

შეეხო რა საფოსტო განყოფილების მუშაობას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცენტრებში ამ ჟამად ფოსტის ზიდვა ცხენების მაგიერათ მოწყობილია ავტომობილებით; ბოლო დროს შემოღებულ ახალი ტიპის ფოსტის (რგოლის ფოსტების) დახმარებით ჩვენ საშუალება მოგვეცა დაგვეახლოვებია ფოსტა მასასთან.

საბინაო-საამშენებლო განყოფილების მუშაობის შესახებ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ გასული წლის განმავლობაში დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ჩვენი წარმოებების ბინების შეკეთებას, მაგრამ ცხადია, რომ ბინების მთელი 100 პროც. შეკეთება ჩვენ არ შეგვეძლო.

ტექნიკური ნაწილის მუშაობის შესახებ მომხსენებელი ამბობს, რომ გასული წლის განმავლობაში საჰაერო ხაზების საფუძვლიანად შეკეთების გამო ხაზის დაზიანების შემთხვევები ძალიან შემცირდა. რაც შეეხება ამ განყოფილებების ნაციონალიზაციას, უნდა ითქვას, რომ სათანადო მომზადებულ სპეციალისტების უყოლობის გამო ჩვენ არ შეგვეძლო ეს გაგვეტარებია ცხოვრებაში, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მიღებულია ზომები ყველა დაბრკოლებების გადასალახავად.

ტელეფონის კავშირის განვითარების მიზნით ყველა ტელეფონის ქსელების საჰაერო ხაზები საფუძვლიანად შეკეთებულია, ხოლო სადგურების შესაკეთებლად კი გადადგმულია ნაბიჯები სათანადო თანხების მისაღებათ.

რაც შეეხება რადიო სადგურების მუშაობას, უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წელში რადიოს მუშაობას ეტყობა გაცხოველება და ხშირათ საჰაერო ხაზების დაზიანების დროს მივმართავთ დეპეშების რადიოთი გადაცემას.

ამხ. ყამარაულის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ბარძიმაშვილმა, კუჩუაშვილმა, ნაცვალიშვილმა, ბერძენიშვილმა, გრ. დამენიამ, ციბაძემ და სხვებმა.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც რწმუნებულის სამმართველოს მუშაობას დამაკმაყოფილებლად სთვლის.

მეოთხე სხდომა

სამანდატო კომისიის მოხსენების და თეზისების მიღების შემდეგ არჩეულ იქნა კავშირის ცენტრალური გამგეობა 21 წევრისა და შვიდი კანდიდატის შემადგენლობით.

ცენტრალური გამგეობა

ცენტრალურ გამგეობაში არჩეული იქნენ: ამხ. კოსტენკო, პელიძე, ჯანიბახჩიევი, კუჩუაშვილი, ციბაძე, ნაცვლიშვილი, ერ. დამენია, კაჭარავა, ქერქაძე, თვაური, კობიაშვილი, მარკველაშვილი, ხოშტარია, ჭყონია, აავინოვა, ბარძიმაშვილი, თუდიევი, კურცხალია, იმედაშვილი, მამულოვი, და მათიაშვილი.

სარევიზიო კომისია

ზაზანოვი, აკელიძე და კაშია.

შემდეგ არჩეული იქნენ დელეგატები ა/კ. ფოსტელთა კავშირის მეოთხე ყრილობაზე.

დასასრულ ყრილობას საბოლოო სიტყვით მიმართა ამხ. ჯანიბახჩიევმა, რომელმაც დელეგატებს უსურვა მტკიცეთ გაატარონ ცხოვრებაში ყრილობაზე მიღებული დადგენილებები.

თბ. დამზღვევი კასის კონფერენცია

თბილისის დამზღვევი კასის მოქმედება

(მომხსენებელი ამხ. ცომაია)

თბილისის დამზღვევი კასის დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 1925 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის უდრიდა 38.859 კაცს. 1924 წლის შედარებით დაზღვეულთა რიცხვი 14,8 პროცენტით გადიდებულა.

დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი სამეურნეო ტიპების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებში ჩაბმულია დაზღვეულთა 73 პროც. კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში—11,1 პროც. კერძო და იჯარით გაცემულ მეურნეობაში—15,9 პროც.

თვით დამზღვევ კასაში შემოსატანი სოცდაზღვევის საშუალო შენაწონი პროცენტი უდრის სამუშაო ხელფასის 18,3 პროცენტს, წინა წელთან შედარებით იგი 0,3 პროც. გადიდებულა.

დამზღვევი კასის მთელი შემოსავლის 67,5 პროც. იძლევა სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებანი 11,5 პროც. კოოპერატ. და საზოგადოებრივი მეურნეობანი 21 პროც. კერძო მეურნეობები. საანგარიშო წლის ნავარაუდევი ხარჯთაღრიცხვით დამზღვევ კასის სალაროში უნდა შემოსულიყო სოცდაზღვევის საპროცენტო ანარიცხება 2.284.726 მანეთის რაოდენობით, ნამდვილად შემოვიდა 2.749.847 მანეთი, ე. ი. 19,83 პროც. გადააჭარბა ნავარაუდევ ხარჯთაღრიცხვას, რაც აიხსნება იმით, რომ მოკრეფილი იქნა ძველი დავალიანება, აღმოჩენილ იქნა აუნაზღაურებელი თანხები და აგრეთვე ანარიცხებმაც იმატეს ხელფასის და წარმოებებში მუშა-მოსამსახურეების გადიდების გამო.

აღრიცხვაზე აყვანილ წარმოება-დაწესებულებათა მიხედვით დამზღვევ კასას საანგარიშო წელს უნდა აეკრიფა 3.049,847 მ. ე. ი. აუკრეფელი დარჩა 300.000 მანეთი, ანუ 9.84 პროც. უმეტეს წილად დავალიანებული არიან სამეურნეო ორგანიზაციები, ადგილობრივი აღმასკომები და კულტურული დაწესებულებანი.

სხვადასხვა დახმარების მისაღებად საანგარიშო წლის განმავლობაში მომართვათა რიცხვი უდრის 68632. ამათგან ცენტრალურ კასაზე—32.932 (53,7 პროც.) სადგურის პუნქტზე—11.638 (16,9) პროც. ორთაჭალის პუნქტზე—7.931 (11,6 პროც.).

საანგარიშო წელში საგრძნობლად აიზარდა დამატებითი დახმარების ნორმები. თუ 1924 წელს დამზღვევი კასა აძლევდა: სამშობიაროს 13 მ., რძის ფულს—3 მ. 50 კ., დასაკრძალავს—13 მ., 1925 წლის პირველ ოქტომბრისათვის სამშობიარო უდრიდა—25 მ., რძის ფული—6 მ. 30 დაკრძალვა—50 მ.

პენსიონერთა სავრთო რიცხვი 1924 წელს უდრიდა—690 კაცს, 1925 წ. პირველ ოქტომბერს—1159, რომელთაც პენსიის ნორმა 15 მანეთიდან გაუდიდდათ 24 მანეთამდე.

1925 წელს სოცდაზღვევაზე ირიცხებოდა 1724 უმუშევარი, 1925 წ. 1 ოქტომბრისათვის კი 3.304. ამ ჟამად პირველი ჯგუფის უმუშევრებს ეძლევათ 15 მან. დახმარება, მეორე ჯგუფის—10 მ.

საანგარიშო წლის განმავლობაში დამზღვევ კასამ თავის ხარჯზე აგარაკებზე გაგზავნა 691 კაცი.

საექიმო საკონტროლო კომისიაში გატარებულ იქნა 14.711 კაცი. აქედან ერთ თვეზე მეტი შვებულება მიეცა 114 კაცს, ერთი თვის—2.455 კაცს, ორი კვირის—2.586; დანარჩენები გაგზავნილ იქნენ მკურნავ ექიმების განკარგულებაში.

მეორე სხდომაზე გაიმართა კამათი დამზღვევი კასის მოქმედების გარშემო.

რეზოლიუცია

კამათის შემდეგ კონფერენციამ დამზღვევი სალაროს მუშაობის შესახებ მიიღო რეზოლიუცია, სადაც იგი საერთოდ და მთლიანად იწონებს დამზღვევი სალაროს და დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილების მუშაობას და ამავე დროს აძლევს ახალ გამგეობას მთელ რიგ დირექტივებს შემჩნეული დეფექტების გამოსასწორებლად, მოწონებულია აგრეთვე სარევიზიო კომისიის მუშაობაც.

დამზღვევ სალაროს ახალი გამგეობა.

დასასრულ არჩეულ იქნა თბილისის დამზღვევ კასის ახალი გამგეობა, რომელშიაც შედიან, ა. ცომაია, გოგიბერიძე, ხუტულაშვილი, არჩაძე, მაჭკვიჩა, ზერბერიშვილი, ელიაქიანი, გობეჯიშვილი, ნალბანდოვი, კიდაიში, კუპრავი ოლღა, არაქელოვი, ალხაზიშვილი, ორმოცაძე, ჯიაძე, ანთაძე, ბრენჯულაშვილი, ონია, [illegible], კილანდარაშვილი, ჯაში უშ., აირამოვი, ფირალოვი, ყუფარაძე, ძაგნიძე, ტარკოვსკი, ხუნდაძე ტრ., ხოშტარია, კორა, უნგიაძე, შმილევი.

კონფერენცია დამთავრდა 18 თებერვალს, საღამოს 11 საათზე.

საბინაო მშენებლობა

საბინაო აღმშენებლობის გეგმა

საქართველოს საბინაო ამხანაგობათა კავშირმა გამოიმუშავა საბინაო აღმშენებლობის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით 1926 წლის განმავლობაში აგებულ უნდა იქნეს 110 ბინა, რომლის აგებაც დაჯდება სულ 550 ათასი მანეთი. აქიდან 40 ბინა აგებულ იქნება იმ თანხით, რომელსაც ამხანაგობას სესხად აძლევს საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომუნალური ბანკი. დანარჩენი 70 ბინა შენდება ადგილობრივი ფონდის თანხებით.

ბინები აგებულ იქნება შემდეგი საბინაო ამხანაგობისათვის: ტროცკის სახელობის ამხანაგობისათვის 50 ბინა, ცხაკაიას სახელობის ამხანაგობისათვის 28, მარქსის სახელ. ამხანაგობისათვის—12, ლენინის სახელობის ამხანაგობისათვის—12 ბინა, „მეტალისტი“-სათვის 12 ბინა.

ამ გეგმის შესასრულებლად საბინაო ამხანაგობას დასჭირდება საკუთარი თანხა 60 ათასი მანეთის რაოდენობით.

საქართველოს პროვინციალური ქალაქების საბინაო მშენებლობისათვის წელს საჭიროა 120 ათასი მანეთი.

საიჯარო საბინაო კოოპერაციის მუშაობის გასაცხოველებლად მიმდინარე წლისათვის კავშირი შუამდგომლობს თბილისის კომუნალურ ბანკის წინაშე 200 ათასი მანეთის სესხის შესახებ, რომელიც მოხმარდება საიჯარო საბინაო ამხანაგობების მიერ იჯარით აღებულ სახლების რემონტს.

ამავე დროს, საბინაო ამხანაგობათა კავშირის მიერ აღძრულია შუამდგომლობა საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომუნალური ბანკის წინაშე, რათა მიმდინარე წლის საამშენებლო სეზონისათვის საქართველოს საბინაო ამხანაგობათა კავშირს მიეცეს სესხი 150 ათასი მანეთის რაოდენობით წლინახევრის ვადით.

საამშენებლო მასალის თავის დროზე დამზადების მიზნით კავშირი შუამდგომლობს, რომ კომუნალურმა ბანკმა დაუყონებლივ გაიღოს გამოთხოვილი სესხის 30 %.

საფოსტო კავშირი

საფოსტო მარკები.

საოლქო კავშირმა საფოსტო დაწესებულებებს გარდა, ამ.-კავ. ფარგლებში საფოსტო მარკების გაყიდვა მოაწყო შემდეგ დაწესებულებებთან: კოოპერატივებში, ბუფეტებში, კიოსკებში, ბანკებში, საავადმყოფოებში, აფთიაქებში, საფინანსო ორგანოებში და სხვ. სულ მოწყობილია საფოსტო მარკის გასაყიდი 232 პუნქტი.

ფოსტის ხშირი მიმოსვლისათვის.

საოლქო კავშირს განზრახვა აქვს ბარათების და წერილობითი კორესპოდენციების საგზაო ტომსიკების გადასაგზავნად გამოიყენოს ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მრავალი ყველა სამგზავრო მატარებლები დამოუკიდებლად. ამჟამად უკვე გახსნილია საფოსტო განყოფილება ვაგონები თბილისს-მოსკოვს შუა მავალ სასწრაფო და სამგზავრო მატარებლებზე.

გაზეთების გავრცელებისათვის.

დღემდის საფოსტო წარმოებებში საგაზეთო ოპერაციების განვითარებას აბრკოლებს უმთავრესად ის გარემოება, რომ საფოსტო კვანძის პუნქტებზე არ არის შექმნილი ისეთ თანამშრომელთა შტატი, რომელიც იკისრებს გაზეთებზე ხელისმოწერის მიღებას, გაზეთების გაწესრიგებას და გადაგზავნას პუნქტების და ტრაქტების მიმართულებით, და ამჟამად საოლქო კავშირს გადაწყვეტილი აქვს ასეთი მუშაობის შესასრულებლად მოიწვიოს 100 ახალი თანამშრომელი. შტატის შედგენის შემდეგ საოლქო კავშირს განზრახული აქვს გააფართოვოს აგრეთვე გაზეთების ცალობით გაყიდვის საქმე, გააძლიეროს ხელისმოწერის მიღება და ინდივიდუალური ხელისმოწერის მიხედვით გაზეთების გზავნა რედაქციებიდან საფოსტო წარმოებებში გადაიტანოს. და შემოიღოს აგრეთვე საგამომცემლო პუნქტებში გაზეთების დატარება ადგილობრივ ხელისმომწერლებისათვის, განზრახულია გაზეთების ცალობით გაყიდვის გაფართოება სოფლებში.

ტელეფონის საქმის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგა ამიერ-კავკასიის ტელეფონის საქმის გამოკვლევას.

ეს გამოკვლევა შემუშავებული პროგრამის მიხედვით უნდა შეეხოს საქმის 6 ძირითად მხარეს: 1) ქსელების მმართველობის საორგანიზაციო სტრუქტურას, 2) მათ ტეხნიკურ და საექსპლოატაციო მდგომარეობას, 3) ამიერ კავკასიაში სატელეფონო კავშირის განვითარებას, 4) ქსელების ფინანსიურ მდგომარეობას 5) ტელეფონის არსებული ტარიფების და ნიხრების მიზანშეწონილობას და სიმტკიცეს და 6) სატელეფონო მეურნეობის განვითარებისათვის გეგმიანი ხასიათის მიცემას.

საორგანიზაციო ხასიათის საკითხები ჰგულისხმობენ არა მარტო საორგანიზაციო სტრუქტურის მიზანშეწონილ ფორმების გამორკვევას, არამედ აგრეთვე მოწესრიგებას ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის ორგანოების ურთიერთობისას ადგილობრივ ორგანოებთან (აღმასკომებთან), რომელნიც ეწევიან ადგილობრივი მნიშვნელობის ქსელის ექსპლოატაციას.

ამასთანავე ერთად გამოკვლევის მიზანია სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ქსელების რაციონალური ექსპლოატაციის ფორმების შემუშავება.

საქმის წმინდა საორგანიზაციო მხარესთან ერთად გამოკვლევის დღის წესრიგში სდგას ქსელების და სადგურების ტეხნიკური მდგომარეობის საკითხები, დეფექტები მათ მოწყობილობაში, მუშაობის დაბრკოლებათა მიზეზები და ზომები მათი თავიდან ასაცილებლად.

გამოკვლევის პროგრამის არა ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხებს შეადგენს: სატელეფონო კავშირის განვითარება ადგილებზე განსაკუთრებით იმ პუნქტებში, რომელნიც დაშორებული არიან მსხვილ ქალაქებისაგან, მუშაობის რადიუსის და რაიონების გაფართოების შესაძლებლობა და ამ გზით ამიერ-კავკასიის პერიფერიების და მივარდნილ ადგილების დაახლოება ცენტრებთან.

ამისგან უშუალოდ დამოკიდებულია სატელეფონო კავშირის გაძლიერებით დაინტერესებულ ამიერ-კავკასიის საოლქო კავშირის და ადგილობრივ ორგანიზაციების ფინანსიურ შესაძლებლობის საკითხები.

ამ უკანასკნელ საკითხების შესწავლა, თავის თავად ცხადია, მოგვცემს მასალას იმისთვის, რომ გამოვარკვიოთ, თუ რამდენად მიზანშეწონილია სატელეფონო მოწყობილობით სარგებლობისათვის დაწესებული ტარიფები და ნიხრები, შეფარდებულია თუ არა ისინი ქსელის საექსპლოატაციო ხარჯებთან და მოსახლეობის მატერიალურ რესურსებთან.

ამ საკითხის გამორკვევა საშუალებას მოგვცემს გამოვიყვანოთ სათანადო დასკვნები ამიერ-კავკასიის მთელი სატელეფონო მეურნეობის გეგმიანად მოწყობის საკითხში და გამოვნახოთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის სატელეფონო საქმის შემდგომი განვითარების გზები.

ფოსტა-აეროპლანებით

ნიხრი საფოსტო ამანათების აეროპლანით გადაგზავნისათვის

შინაური საფოსტო კორესპონდენციების გასაგზავნად ჰაეროპლანებით, საკავშირო ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა დააწესა ასეთი ნიხრი: ღია ბარათი 10 კაპ. წერილი 20 გრამამდე 15 კაპეიკი, პერიოდიული გაზეთის ყოველი ეგზემპლიარი წონით 100 გრამი 5 კაპ. ფულის გადაგზავნა ყოველ 1000 მანეთზე (და ამ თანხის ნაწილზე) 25 კაპ. აღნიშნული ნიხრი გადახდევინებული იქნება ჩვეულებრივ საფოსტო ნიხრს ზევით. ნიხრი საერთაშორისო საფოსტო კორესპოდენციებისთვის. მოსკოვი—ბერლინი—ამსტერდამი—ლონდონი—პარიზის ხაზით ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული.

საგზაო საქმე

საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ტრანსპორტისა და სახალხო კავშირის ცენტრალურმა ინსპექციამ წინადადება მისცა ზოგიერთ სარკინისგზო მუშა და გლეხთა ინსპექციებს მოახდინონ რკინის გზის საქმის გამოკვლევა. ასეთი დავალება სხვებთან ერთად მიეცა ამიერ-კავკასიის რკინისგზათა მუშათა და გლეხთა ინსპექციასაც. დაწვრილებითი პროგრამა შემუშავებულია ცენტრის მიერ; პროგრამაში გათვალისწინებულია სარკინისგზო საქმის ყველა მხარეები: ტეხნიკური, ფინანსიური, სამეურნეო და ადმინისტრატიული.

პროგრამის შესრულება განაწილებული იქნება ამიერ-კავკასიის სარკინისგზო მუშათა და გლეხთა ინსპექციასა და ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციებს შორის.

გამოკვლეული იქნება ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე არსებული გზატკეცილები და ყამირი გზები. რადგან ამიერ-კავკასიაში გზატკეცილებს და ყამირ გზებს დიდი მანძილი უჭირავთ და აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის ცხოვრებაში, რკინის გზების ქსელის განუვითარებლობის გამო, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ ცენტრის მიერ დავალებულ სამუშაოს; აღნიშნულ გარემოებათა გამო ამიერ-კავკასიის გზატკეცილები და ყამირი გზები უმეტეს შემთხვევაში მიმოსვლის ერთად-ერთ საშუალებას წარმოადგენენ ქვეყნის ცალკე რაიონებს შორის.

პროგრამის განსაკუთრებულ მუხლს წარმოადგენს იმის გამოკვლევა, თუ რამდენად მიზანშეწონილია გზატკეცილების და ყამირ გზების განვითარება, ნამდვილ საჭიროებასთან შეფარდებით.

მთელს მუშაობას გზების გამოსაკვლევად აერთიანებს და ხელმძღვანელობს ა/კ. რკინის გზების მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

გამოკვლევა უკვე დაიწყო.

საბინაო კოოპერაციის ყრილობა

საქ. პროფკავშირთა საბჭომ საჭიროდ დაინახა ა. წ. 1-ლ მარტისათვის საბინაო-საამშენებლო და საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობების რწმუნებულთა სარესპუბლიკო ყრილობის მოწვევა ქალ. თბილისში.

ამ ყრილობაზე განხილული იქნება საკითხი ორივე სახის საბინაო კოოპერაციის ერთ მთლიან საბინაო კავშირში გაერთიანების შესახებ.

ყრილობა საბინაო კავშირის მუდმივ მმართველ ორგანოთა არჩევის გარდა გადასწყვეტს სხვა პრაქტიკულ საკითხებსაც საბინაო კოოპერატიულ მშენებლობის თაობაზე.

რწმუნებულთა არჩევნების კამპანიის გატარებისათვის დასავლეთ საქართველოში და აჭარისტანში გაიგზავნა სპეციალური პირი.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

ლითონის ტრესტის № 1 მაღაზიის გამოკვლევა

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია ლითონის ტრესტის № 1 მაღაზიის მუშაობა; გამოკვლევა გამოწვეული იყო იმით, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მიღებული იყო განცხადება იმის შესახებ, რომ მაღაზიის გამგემ მოქ. ზეიცმა საკასო წიგნებში არ გაატარა მის მიერ გაყიდულ მავთულის ღირებულება 516 მანეთის რაოდენობით.

აღნიშნულ ოპერაციას ადგილი ჰქონდა გასული წლის 26 ნოემბერს. ამის გამო მოხდენილმა რევიზიამ გამოარკვია, რომ მოქ. ზეიცი ერთდაიმავე დროს იყო მაღაზიის გამგეც და მოლარეც, მან მართლა მიიღო გაყიდულ მავთულში 516 მანეთი, რომელიც არ გაატარა საკასო წიგნებში. ამ თანხის ანგარიშის ასლი მაღაზიაში არ აღმოჩნდა, ამასთანავე გამოწერილი არაა ორდერი აღნიშნულ თანხაზე. მაღაზიის საქონლის წიგნი წესრიგში არაა მოყვანილი ოქტომბრიდან, რის გამო მავთულის გაყიდვა მასში აღნიშნული არ არის.

გაეცნო რა სარევიზიო გამოკვლევის მასალებს, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ დაადგინა წინადადება მისცეს საქართველოს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმს თავისი საკონტროლო აპარატის საშუალებით დააწესოს საქონლის სწორი აღრიცხვა ლითონის ტრესტის № 1 მაღაზიაში, რაც შეეხება მაღაზიის გამგეს მოქ. ზეიცს, მისი საქმე შემდგომი გამოძიებისათვის გადაეგზავნოს აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორს.

ცხინვალის გლეხთა სახლის ასაგებათ წარმოებულ მუშაობის გამოკვლევა

აღნიშნული გამოკვლევა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით. რევიზიას უნდა გამოერკვია, რა მდგომარეობაშია გლეხთა სახლის აგების საქმე სამხრეთ-ოსეთში.

გამოკვლევის მასალების მიხედვით სამხრეთ-ოსეთის ცაკისათვის მიცემული თანხა გლეხთა სახლის ასაგებათ 56 000 მანეთის რაოდენობით დახარჯულია რაციონალურად და მიზანშეწონილად. საამშენებლო კომისია ხელშეკრულებებს საამშენებლო მასალების მიწოდების შესახებ სდებდა არა კერძო პირებთან, არამედ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან.

უკვე შესრულებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. სახლი შეიცავს 10 ოთახს ჩამოსულ გლეხებისათვის, წითელ სასადილოს, სასოფლო-სამეურნეო მუზეუმს, თეატრს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, საკონსულტაციო კაბინეტს, თავლას და სხვა.

ასეთი სახლის აგება საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ აუცილებლად სცნო და დაადგინა მხარი დაუჭიროს სამხრეთ ოსეთის ცაკის შუამდგომლობას დამატებით 19.000 მანეთის გადადების შესახებ სახლის აგების დასამთავრებლად.

16 კომლ მუსლიმანთა გადასახლების საკითხი.

ამ საკითხის გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ სოფ. ქალისთავში (დუშეთის მაზრა) უხსოვარი დროიდან სცხოვრობდა თათრების 40 კომლი, რომლებსაც იჯარით აღებული ჰქონდათ 120 დეს. მიწა.

1918 წელში მენშევიკური მთავრობის განკარგულებით აღნიშნულ თათრებს ჩამოართვეს მიწები და ისინი გადაასახლეს სხვადასხვა ადგილებში. მთელი მოსახლეობიდან საქართველოში დარჩა მხოლოდ 16 კომლი, რომლებმაც 1923 წელში შუამდგომლობა აღძრეს, რომ მათ უფლება მისცემოდათ დასახლებულ ყვენ მათ მამაპაპეულ ადგილებზე.

1924 წლის დასაწყისში დუშეთის აღმასკომის ნებართვით აღნიშნული თათრები დასახლდენ მათთვის მიჩენილ 30 დესეტინა მიწაზე, მიწების ნაკლებობის გამო მათ ხშირათ აღუძრავთ შუამდგომლობა მიწის მიცემის შესახებ, მაგრამ დადებით შედეგს ვერ მიაღწიეს.

გამოკვლევის მასალების მიხედვით მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ დაუშვებლად სცნო ამ თათრების გადასახლება აღნიშნული ნაკვეთიდან და წინადადება მისცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და დუშეთის აღმასკომს პირველ რიგში მისცენ მათ მიწები დაწესებული ნორმების მიხედვით.

რადიო-მშენებლობა

საბჭოთა კავშირის ელექტრობანკმა დააკმაყოფილა ა.-კ. საოლქო კავშირის შუამდგომლობა, რომლის მიხედვით საოლქო კავშირს ბანკიდან გამოთხოვილი ჰქონდა გრძელვადიანი სესხი თბილისში ფართო რადიო მომამბე-სადგურის მოსაწყობად.

ელექტრობანკმა საოლქო კავშირს აცნობა, რომ იგი მიიღებს სესხად 280 ათას მანეთს იმ მიზნით, რომ შეძენილ იქნეს თბილისისათვის ფართო მომამბე სადგურის მოწყობილობანი. ფული მოსკოვიდან თბილისში გამოგზავნილი იქნება ამ დღეებში. ამ თანხით სადგურის მოწყობილობა გამოწერილი იქნება ამერიკიდან.

ეს სესხი საოლქო კავშირს საშუალებას აძლევს მოაწყოს ფართო რადიო-მომამბე-სადგური და შეაიარაღოს იგი ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ამ თანხის ნაწილი მოხმარდება კიდევ ქალაქში რადიო-სტუდიის მოწყობას და კონცერტების, ლექცია-მოხსენებების, რადიო გაზეთების და ინფორმაციის ფართოთ გადაცემას მოწესრიგებას.

ამ რიგული სისტემის ფართო რადიო-მომამბე-სადგურის დადგმის შემდეგ, ა.-კ. რადიო წრეების წევრებს შეეძლებათ თბილისის მთავარ რადიო-სადგურის საშუალებით მოისმინონ მოსკოვის და უცხოეთის რადიო-ტელეფონებით მთელი ცნობები, მიიღონ თავიანთ ბინებზე მოსკოვიდან და უცხოეთიდან გადმოცემული მოხსენებები და კონცერტები. სადგურის მოწყობილობა ამერიკიდან გამოწერილი იქნება ელექტრო ბანკიდან სესხის მიღების თანავე. ამერიკიდან თბილისში სადგურის ჩამოტანას დაავგიანდება არა უმეტეს სამი თვისა. როგორც ვიცით, ამჟამად სწარმოებს მუშაობა სადგურის შენობის დასამთავრებლად.

კომუნალური მეურნეობა

წყალსადენი

წყლის ხარჯვის აღრიცხვა

ამ მოკლე ხანში თბილისის წყალსადენის სამმართველო გადადის წყლის ხარჯის აღრიცხვის და აბონენტებთან ანგარიშების გასწორების ახალ სისტემაზე. ეს სისტემა პირველად შემოღებული იქნა მოსკოვში და კარგი ნაყოფიც გამოიღო. ახალი სისტემით მყარდება შემდეგი წესრიგი: სამმართველოს მიერ ამ საქმისათვის საგანგებოდ დანიშნული კონტროლიორი მიდის ადგილობრივ აბონენტებთან და სახლის პატრონის ან რწმუნებულის თანდასწრებით არკვევს დახარჯულ წყლის რაოდენობას და ამავე დროს დახარჯულ წყლის რაოდენობის მიხედვით ადგენს ანგარიშს. დაახლოებით ასეთივე სისტემა შემოღებული აქვს ელექტრო მომწესრიგებელ სამმართველოს.

ამ სისტემას ძველ წესთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ შეუძლებელს ხდის გაუგებრობას, რაც ხშირი მოვლენა არის ამ ჟამად წყლის აღრიცხვის დროს.

ელექტრო-სადგურები

ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ქალაქის პირველი ელექტრო-სადგურის კაპიტალური რემონტი, რომელიც უკვე დამთავრდა. შეკეთების შემდეგ სადგურმა გაადიდა და გააძლიერა აბონენტებისათვის ელექტროენერგიის მიწოდება. მიწოდებული სინათლეც შედარებით უკეთესია, ვიდრე იყო. მოკლე ხანში პირველი სადგური, რომელიც დღემდე მხოლოდ ღამით მუშაობდა, ელექტრო ენერგიას გაუშვებს დღითაც.

ამ დღეებში დაიწყება ქალაქის მეორე ელექტრო სადგურის საფუძვლიანი რემონტი, რომელიც რამოდენიმე კვირას გაგრძელდება. ამ სადგურის აბონენტები შეერთებული იქნებიან პირველ სადგურთან.

მეორე სადგურისათვის ელექტრომომწესრიგებელ სამმართველოს გადაეცა 150 ცხენისძალიანი დიზელი. ეს გარემოება საშუალებას აძლევს მეორე სადგურს ელექტროენერგიის მიწოდების 40 პროცენტით გადიდების.

წყალის დაღვრის შესამცირებლად

ავჭალის წყალსადენის მდგომარეობა შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს წყალის დაქცევის საგრძნობლად შემცირება.

მაგალითად 1921 წლის იანვარში დაღვრილ წყლის რაოდენობა უდრიდა 10,848,718 ვედროს, ხოლო ამ წლის იანვარში დაღვრილ წყლის რაოდენობა აღწევს 1,837,559 ვედროს.

ასეთი შემცირება დაღვრილ წყლის რაოდენობისა, მიეწერება არა მარტო წყალსაზომების რიცხვის აზრდას, არამედ წყალსადენის ქსელის (მილების) გაუმჯობესებასაც, ასე რომ შემდეგში იმედი უნდა ვიქონიოთ წყალსადენის ქსელის კიდევ უფრო გაუმჯობესების და წყალსაზომების არსებულ რიცხვის გაზრდით უმნიშვნელო რაოდენობამდე იქნება დაყვანილი დაღვრილ წყლის რაოდენობა.

რაც შეეხება წყალსაზომებს, ერთი წლის განმავლობაში (გასული წლის 1 იან. ამა წლის 1 იანვრამდე) თბილისში დაიდგა 1300 ახალი წყალსაზომი, ე. ი. აღნიშნულ ხანში არსებულ წყალსაზომების 83 პროც.

სამეცნიერო დაწესებულებებში

თბ. ქალაქის მუზეუმი

თბილისის ქალაქის მუზეუმი, რომელიც მოეწყო 1910 წელს და 1922 წლამდე უყურადღებოდ იყო მიტოვებული, განახლებულ იქნა თბილისის აღმასკომის მიერ. ამჟამად მუზეუმი მოთავსებულია თამამშევისეულ შენობაში თავისუფლების მოედანზე. მუზეუმს აქვს შემდეგი განყოფილებები: საისტორიო, ქალაქის მეურნეობის, სახალხო განათლების და საარქივო განყოფილებები, ყველა ეს განყოფილებები მოთავსებულია ორ დარბაზში, რის გამოც მოუხერხებელი ხდება ყველა ექსპონატების გამოფენა.

საისტორიო განყოფილებაში მოთავსებული არის ძველი ფოტოგრაფიული სურათები, რომელნიც გამოხატავენ ძველი თბილისის გარეგნულ შეხედულებას ახლო ისტორიულ წარსულში. ამ განყოფილებაში უხვად არის სურათები, რომელნიც იძლევიან თბილისის ძველი ქუჩების, ტიპიური შენობების, ქუჩის ცხოვრების და თბილისის ტიპების დახასიათებას. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შეუსწავლელი მხატვრის ვინო ხოჯაბეგოვის სურათები, სადაც მხატვრულად გადმოცემულია ძველი თბილისის კოლორიტი, ხელოსნების მათი საამქროების ყოფაცხოვრება.

ქალაქის მეურნეობის განყოფილებაში ინტერესს იწვევენ ძველი კონკის მავთულები, მისი დამახასიათებელი დიაგრამები, ამავე განყოფილებაში მოთავსებულია სასაკლაოს, წყალსადენის და სახალხო რაზმის ექსპონატები და დიაგრამები. ამ განყოფილებაში მსურველი გაეცნობა თბილისის წყალსადენის ისტორიას სამოციან წლებიდან დაწყებული დღემდე—და აგრეთვე ხანძართან ბრძოლის საშუალებებს, რომელსაც წინად და ამ ახლო წარსულში მიმართავდენ.

საყურადღებოა სახალხო განათლების განყოფილებაც, რომელსაც აქვს თავისი ბიბლიოთეკა, სადაც ინახება მნიშვნელოვანი ძველი წიგნები თბილისის ისტორიის შესახებ.

ფრიად საინტერესო ცნობებს და მასალებს შეიცავს ქალაქის თვითმართველობის არქივი, სადაც მასალები ჯერ კიდევ სისტემაში არ არის მოყვანილი.

მუზეუმმა დაამუშავა გამოსცა და ამ რამდენიმე დღის შემდეგ გასაყიდად გამოვა წიგნი ქართულ და რუსულ ენაზე—„1905 წელი თბილისში“.

ამჟამად თავისი მასალების მიხედვით მუზეუმი ამუშავებს თბილისის ისტორიას.

საქ. ცაკში

გაჭირვებულთა დახმარების შესახებ

საქართველოს ცენტრალურ აღმასკომმა მიიღო სამაზრო აღმასკომებისათვის გასაგზავნი ცირკულიარის გეგმა, სადაც აღნიშნულია შემდეგი:

ამ ბოლო დროს შენიშნულია, რომ ქალ. თბილისში საქართველოს სხვადასხვა მაზრებიდან ჩამოდიან დასახიჩრებულები, ქვრივ-ობლები და მოულოდნელ შემთხვევების გამო სილარიბეში ჩავარდნილი ხალხი, რომლებიც ცენტრალურ აღმასკომს და მთავრობის სხვა ორგანოებს სთხოვენ დახმარებას. ცენტრალურ აღმასკომის და მთავრობის სხვა ცენტრალურ დაწესებულებების ხარჯთაღრიცხვაში არ არის გათვალისწინებული ასეთი დახმარების გაცემა, ხოლო ასეთ პირებისათვის დახმარების გაცემა არსებულ კანონების ძალით, ეკისრება ადგილობრივ აღმასკომებს და გლეხთა კომიტეტებს.

ამიტომ საქართველოს ცენტ. აღმასკომმა წინადადება მისცა ყველა სამაზრო აღმასკომებს მიიღონ ზომები, რომ ზემოხსენებული პირები დაკმაყოფილებული იქნან ადგილობრივად და ტყუილ-უბრალოდ ნუ გასწევენ ხარჯებს ცენტრალურ დაწესებულებებში წამოსასვლელად.

თემების გაუქმება

საქართველოს ცენტ. აღმასკომმა მოისმინა სპეციალურ კომისიის მოხსენება გორის მაზრაში შემდეგი თემების გაუქმების შესახებ: მეტეხის თემი უნდა გაუქმდეს და შეუერთდეს წითელი ქალაქის თემს, ხელთუბანის თემი უნდა შეუერთდეს გორის თემს, საციხურის თემი შეუერთდება ალის და ავლევის თემებს, ტეზერის თემი სურამის და ქვიშხეთის თემებს, გუდის და შრომის თემები—ხცისის, გომის, ხაშურის, ქვიშხეთის და ზღუდის თემებს, სკრის თემი—გორის და ქარელის თემებს. დოესის, დიცის, ატენის და გოსტების თემები დატოვებული არიან ისე, როგორც იყვნენ, მხოლოდ გოსტების თემის ცენტრი გადავა სოფელ გარგალში.

ბაქანის გადატანა.

საქ. ცენტრ. აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასკომის წინაშე, რომ მცხოვრებლების თხოვნის თანახმად ჭალაუბანის (კახეთშია) რკინისგზის ბაქანი გადატანილ იქნას სოფ. ბაკურციხეში.

ს. ცენ. აღმასკომის მე-3 სესია.

საქ. ცენტრ. აღმასკომის პრეზიდიუმს განზრახული აქვს გაზაფხულისთვის მოიწვიოს საქ. ცენტრ. აღმასკომის მე-3 სესია. სესიის მუშაობის გეგმის შესადგენათ დანიშნულია განსაკუთრებული კომისია ამხ. თოდრიას, მათიკაშვილის და ვარძიელის შემადგენლობით.

მუშათა ცხოვრება

აქ რაღაც გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი

ამხ. ათარბეგოვის სახელობის ელექტრო-ტეხნიკუმიდან უკვე იყო ორი გამოშვება წითელი სპეცების ახალი კადრის. ამ ორივე გამოშვებაზე ინიშნებოდა სახელმწიფო გამოცდები; გამოცდებს დაესწრნენ სახ განათლების წარმომადგენლები, ამ გამოცდებს დაესწრო აგრეთვე სახკომფოსტელის წარმომადგენელი ინჟ. კურაბცევიც.

პედაგოგიურმა საბჭომ ხსენებულ წარმომადგენლებთან ერთად, მსმენელებს მიანიჭა სათანადო უფლებები. კურსდამთავრებული ტეხნიკოსები გაგზავნილ იქნენ საჭიროების მიხედვით და ა.-კ. ფარგლებში; ნაწილი კი დატოვებულ იქნა თბილისის მთავარ ტელეგრაფში პრაქტიკის მისაღებათ. ახალგაზრდა ტეხნიკოსები მთელი თავისი ცოდნით და შეგნებით ენერგიულად შეუდგენ პრაქტიკულ მუშაობას.

სამწუხაროდ ზოგიერთი ძველი, დახავსებული ჩინოვნიკ-მექანიკოსები, ვერ შეეგუენ ახალ ტეხნიკების გულწრფელ და ენერგიულ მუშაობას და იმის მაგივრად, რომ მათთან ერთად გაეწიათ სოლიდარული მუშაობა, ისინი მიმართავენ ათასნაირ ხრიკებს და დაძრწიან ყოველ გზაჯვარედინზე მათი ცოდნის და მუშაობის დამცირების მიზნით.

მე იძულებული ხდები აქვე აღვნიშნო შემდეგი არანორმალური მდგომარეობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისის მთავარ ტელეგრაფში; მაგალითისათვის მოვიყვან ერთ ფაქტს.

ს. ს. რ. კავშირის ფ. ტ. მიერ შედგენილ პროგრამის მიხედვით დაინიშნა გამოცდები მექანიკოსობის წოდების (უფლების) მიიღებისათვის. გამოცდაზე დაშვებული იქნა სამი, სრულიად თეორიულად მოუმზადებელი ზედამხედველი და ორი კურსდამთავრებული ტეხნიკოსი (ტეხნიკუმელები).

პირველი სამი გამოცდის დროს გამომცდელ კომისიას არსებული პროგრამით არ უხელმძღვანელებია, განსაკუთრებით პროგრამის შემდეგი პუნქტებით: ტელეფონი ტელეგრაფ-ტელეფონის აღმშენებლობა სადიპლომო მუშაობის დაცვა, მექანიკა ელექტრო-ტეხნიკა, შიდაწვის ძრავები, ფიზიკა და ქიმია, ამ საგნების ცოდნა კი პროგრამის მიხედვით მინიმუმს და აუცილებლობას წარმოადგენს მექანიკოსთათვის. (გამომცდელ კომისიას ხელმძღვანელობდა ინჟინერი კურაბცევი.)

გამოცდაზე კომისიას არ მოუთხოვია სამ ზედამხედველისაგან პროგრამის მიხედვით (და ვერც ჩააბარებდნენ), რადგანაც წარმოდგენაც არ აქვთ ზემოაღნიშნულ საგნებზე. მიუხედავათ ამისა, კომისიამ მიანიჭა მათ მექანიკოსის უფლება და იმ ორ ტეხნიკებს, რომლებმაც ფრიად დამაკმაყოფილებლად ჩააბარეს ს. ს. რ. კავშირის ფ. ტ. მიერ შედგენილ მაქსიმალურ პროგრამის მიხედვით სახელმწიფო გამოცდები, იგივე ინჟ. კურაბცევის თანდასწრებით—უარი ეთქვათ მექანიკოსობის უფლების მინიჭებაზე.

მასთან ერთად აღსანიშნავია ის დაუშვებელი ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ გამოცდებზე: გამომცდელ კომისიაში შედიოდა ერთ-ერთი გამომცდელ კომისიის აქტიური წევრი მექანიკოსი პლატონოვი, რომელიც მატერიალურად იყო დაინტერესებული გამოცდაზე გაეყვანა ხსენებული ზედამხედველები, რადგანაც ორ მათგანს თვითონ ამზადებდა.

ამისათვის სასურველი იქნებოდა:

1) ეს მიზანშეუწონელი და უგეგმო გამოცდები იქნეს გაუქმებული,

2) იმ პირებზე, რომლებსაც არა აქვთ სათანადო კლასიური და სპეციალურ-თეორიული მომზადება, გამოცდები იქნეს ს. ს. რ. კავშირის ფ.-ტ. მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით;

3) ათარბეგოვის სახელობის ელექტრო-ტეხნიკუმის კურსდამთავრებულ ახალგ. ელექტრ-ტეხნიკებზე სწარმოებდეს მხოლოდ პრაქტიკული გამოცდები.

მოამბე.

სიმართლე მზეზე უბრწყინვალესია

(პასუხად მოქ. ს. ბრეგაძეს)

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში არსებობს დრამწრე, რომლის წევრები არიან სცენის მოყვარენი. ეს უკანასკნელნი თავიანთი პირადი მოვალეობის შესრულების შემდეგ მუშაობენ ხელოვნების დარგში, მით სამსახურს უწევენ მაღაროების მუშა-მოსამსახურეებს და არავითარ გასამრჯელოს არ ღებულობენ.

ვინაიდან ასეთი მუშაობა აღნიშნული წრის წევრების მიერ მიმდინარეობს რამდენიმე წლების განმავლობაში, ადგილობრივმა მუშათა ორგანიზაციამ (პროფკავშირის გამგეობამ) ნება დართო მათ, რომ 2 იანვარს, როგორც ხელოვნების დღე, წარმოდგენა „გეგეჭკორი“ გაშვებული ყოფილიყო ფასიანი ბილეთების შეძენით წრის წევრთა სასარგებლოთ, რომელიც არ შედიოდა 1926 წ. განმავლობაში გასაშვებ წარმოდგენათა რიცხვში.

ს. ბრეგაძე კი აღნიშნავს ვითომც ტყიბულის მაღაროების მუშათა კლუბი მუშების გასატყავებელი იარაღი იყოს, მუშებში უკმაყოფილებას იწვევდეს იგი. აფიშები თავის დროზე არ ყოფილიყოს გაკრული და ერთი სიტყვით ზემოაღნიშნულ დღეს არავითარი წესრიგი არ ყოფილიყოს დაცული.

პირიქით, 1926 წ. 2 იანვარს წარმოდგენის გაშვებამდე რამოდენიმე დღით ადრე, თვალსაჩინო ადგილზე გაკრული იყო აფიშები, სადაც აღნიშნული იყო ბილეთების ფასი.

რაც შეეხება იმას, ვითომც მუშებში უკმაყოფილება ყოფილიყოს ფასიანი წარმოდგენის გაშვების გამო, ესეც სინამდვილეს არ შეეფერება.

წარმოდგენის დაგვიანებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამის საპატიო მიზეზიც გვაქვს.

ს. ბრეგაძემ უნდა გაიგოს, რომ მაღაროს მუშა-მოსამსახურეებს შესწევთ იმის უნარი, რომ გლახა და კარგი ერთი მეორისაგან გაარჩიონ და სჯობს თავი მიანებოს რაღაც გაუგებარ ვოინებს.

მის მოქმედებაზე პროფკავშირის გამგეობამ თავის სხდომაზე დაადგინა: „მიეცეს გაფრთხილება და დარიგებულ იქნეს, რომ შემდეგში არ განმეორდეს ასეთი“-ო. ეს უნდა ახსოვდეს მოქ. ბრეგაძეს.

კალამი.

ასეც არის ჩვენი საქმეც

გაზეთების ფურცლებზე ბევრჯერ დაიწერა ჩვენი ბაზრის კომიტეტზე, მაგრამ ის მაინც ძველებურათ „ბრძანებლობს“..

ჩვენ მუშები ვართ და საჭიროა მეტი ყურადღება მოგვექცეს. ძველი კომიტეტი უნდა აილაგმოს და მხოლოდ მაშინ შესაძლებელი იქნება როგორც ჩვენი ინტერესების დაცვა, ისე წესიერების დამყარება მთელ ბაზარზე.

დროა ბოლო მოეღოს სპეკულიანტების ასეთ თავგასულობას. ჩვენ მოვითხოვთ მოგვეცეს დანაკლისი.

ახალი ბაზრის დარაჯები: ხელს აწერს ათი კაცი.

ჩაქვის სახალხო მამულში მოდიან უამრავი მუშები, რომლებიც ვერ ცნობენ აქაურ ექსპლოატატორებს და უვარდებათ მათ ხელში, რის შემდეგ გაყვლეფილი მუშა რჩება ხელცარიელი.

(წერილი ჩაქვიდან)

საჭიროა ჩაქვის მამულის მმართველობამ არ მისცეს საშუალება ასეთ ვაჟბატონებს და აცილოს მუშები უსამართლო გაყვლეფას. მუშების კუთვნილ ხელფასს იტაცებენ ექსპლოატატორები. აქაურ მუშების გაყვლეფას არა ერთხელ ქონებია ადგილი.

საჭიროთ მიმაჩნია მოვიყვანოთ ზოგიერთი გამყვლეფელების გვარები: 1) ამბერკი შარადენიძე, 2) რაჟდენ დოლიძე, 3) კორეიძე დათიკო, 4) ესტატე გაგუა და სერგო წეროძე.

აი, ეს ის ვაჟბატონები გახლავთ, რომლებმაც გაიტაცეს გაჭირვებული მუშების ფული. ადგილობრივი ხელისუფლება კი არავითარ ზომებს არ ღებულობს მათ წინააღმდეგ. ბ. წეროძე იყო „პოდრიადჩიკი“, რომელმაც გაიტაცა კარგი თანხა და მშივრები დასტოვა მისი მუშები.

მუშის ყვლეფას ბოლო უნდა მოეღოს და ლაგამი აედოს ასეთ ვაჟბატონებს.

დაშნა.

გვიყოფა ტანჯვა—მოგვაშორეთ ეს სპეკულიანტები

დაახლოებით 8 წელი იქნება მას შემდეგ, რაც დაარსებულია ახალი ბაზარი. თავიდან ამ ბაზარს მოევლინა ყოფილი პოლიციელი ფილიშვილი თავისი აგენტებით და ბაზრის ადგილკომის სახელით „მეფობს“ მთელ ბაზარზედ.

ჩვენ, ამავე ბაზრის დარაჯები მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობებს მათ მოღვაწეობაზე ახლო წარსულიდან.

წინეთ ფულის აკრეფა ვაჭრებისაგან და ხელოსნებისაგან ყოველთვის ხდებოდა დარაჯების სახელით მათი ჯამაგირებისა და სპეც-ტანისამოსისთვის. მაგრამ დარაჯების თანხლებით უკვე შეკრებილი ფული როცა ხაზინადარის ხელში გადავიდოდა, მერმე ჩვენთვის არავინ არ ზრუნავდა და როგორც კი რამეს მოვითხოვდით, მაშინვე დათხოვნით გვემუქრებოდენ. ხაზინადრათ იყო ვაჭარი საჯაია და ჩვენი ჯამაგირებით ან ჩერვონცებს იყიდდა ანდა ფურგონებით „ვორონცოვკის“ ყველს მოიტანდა. ჯამაგირი ორჯერ უნდა მივეღო თვეში, მაგრამ ერთხელაც ძლივს გვაძლევდენ, იგიც მაშინ, რაცა ბონებს ღირებულება თითქმის დაკარგული ჰქონდა და ჩვენი ჯამაგირით კი არაფრის შეძენა არ შეიძლებოდა.

და ისიც გვეძლეოდა ყოველთვის 16 დღის დაგვიანებით. ამ ფულებით სარგებლობდა მხოლოდ და მხოლოდ ვაჭარი-ხაზინადარი, კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ფილიშვილი და მათი დამქაშები, რომლებიც ჯერ ვაჭრობდენ ჩვენი ჯამაგირებით და როცა კურსი დაეცემოდა, მაშინ წამოგვიგდებდენ სამოწყალოდ. 1923 წელში ხელშეკრულების ძალით გვერგებოდა სპეცტანისამოსი: ერთი ქურქი და ერთი „პლაში“ ორ წლით და ორი წყვილი ქალამნები, ერთი ქუდი და ერთი წყვილი ხელთათმანები ერთი წლით.

ყველა ამის მაგივრად ჩვენ მივიღეთ მხოლოდ თითო წყვილი წაღები და მთელი ზამთარი ტიტვლად გავატარეთ მაშინ, როცა ჩვენი სპეცტანისამოსის ფულით მათ დუქნები გავსებული ჰქონდათ.

1924 წელში, მიუხედავათ კავშირის ბევრჯერ გაფრთხილებისა, არაფერი არ მოგვცეს და ზამთარი ძველებურათ გავატარეთ. სულ ბოლოს მხოლოდ თვითეულს 7 მანეთი წამოგვიგდეს სამოწყალოდ.

ნათქვამია „ძალა აღმართსა ხნავს“-ო,

ქრონიკა

თბილისის აღმასკომში.

— **მუშათა სახლი.** თბ. აღმასკომმა დაადგინა ააგოს ნაძალადევში ტრამვაის მუშებისათვის სახლი, რომელშიაც იცხოვრებს 1000 კაცი. სახლის ასაგებათ ნავარაუდევია 2,000,000 მანეთი.

შრომის სახ. კომისარიატში

— **შრომის კოლექტივი.** შრომის კომისარიატის ცნობით ამ ჟამად თბილისში მუშაობს 12 შრომის კოლექტივი, სადაც ჩაბმულია ათასზე მეტი უმუშევარი.

— **საზოგადო სამუშაო.** უკვე დამთავრდა თბ. შრომის ბირჟის მიერ ვერის ხიდიდან სამხედრო გზამდე გზატკეცილის გასაყვანათ მოწყობილი საზოგადო სამუშაო.

— **შრომის ბირჟაში** არსებულ შრ. კოლექტივების გამგეობაში თბილისის დამზღვევმა სალარომ დანიშნა ამხ. არჩვაძე.

— გასულ წელს საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად შრ. სახ. კომისარიატმა დახარჯა 105 ათასი მან.

სხვადასხვა

— **უპატრონო ბავშთა** დამხმარე მთავარ კომიტეტის სალაროში სხვადასხვა პირთაგან და დაწესებულებათაგან იანვარში შემოვიდა 237,000 მან.

— **კოოპერატიული დუქნები.** ქალაქის გარეუბნებში საბურთალოში, ნავთლუღში და მთაწმინდაში მუშკოოპმა გახსნა პირველ მოთხოვნილების საგნების დუქნები.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადის** სახით ამიერ-კავკასიაში ა/წ. 1 თებერვლამდე აიკრიფა 3,143,609 მან.

კრებები და მოხსენებები

— **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 21 თებერვალს, თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში (კამოს ქ. № 70) დღის 11½ საათზე შესდგება საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხულ იქნება მოხსენება პროფ. ა. თვალჭრელიძის: 1. მოკლე მიმოხილვა საქართველოს რკინის საბადოების. 2. ინჟ. გ. გედევანიშვილის „ჩათახის თუჯი“ და 3. პროფ. ა. თვალჭრელიძის „ფლორიდინის შესახებ დასავლეთ საქართველოში“.

დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

შემთხვევები

— **ცეცხლი.** 17 თებ. კათოლიკების ქუჩა № 8 მიკირტიჩიანცის სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილ იქნა ადგილობრივი ძალებით.

— **ხულიგნობისათვის** 17 თებერვალს შეიპყრეს კარაპეტ აიკატიანი.

— **ქურდობა.** 17 თებერ. კადეტის შეს. № 1 გაქურდეს კონსტანტინე მუხრანსკის ბინა.

ამავე დღის ანდრეევის ქუჩა № 83 სასტუმრო „ადესი“-დან მოიპარეს პალტოები.

ამავე დღეს გრუზგოსტორგის მაღაროდან მოიპარეს 26 მან. მატერია.

— **ჯიბგირობა.** 17 თებ. სურენა განიეცის ჯიბიდან ამოაცალეს 183 მან.

15 თებერ. ბაზარში პროსკოვია კოლიცკაიას ჯიბიდან ამოაცალეს 107 მან.

ხელოვნება

ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის კამერული კონცერტი

ძალიან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ქუთაისის მუსიკალურ სასწავლებლის კამერულმა კონცერტმა, რომელიც შესდგა 17 თებერვალს კონსერვატორიის დარბაზში. ნორჩი კულტურული დაწესებულება სდგამს პირველ ნაბიჯებს მუსიკალური განათლების გასავრცელებლად, მასების კულტურულ-მუსიკალურ დონის ასამაღლებლად. სანიმუშო საღამოს, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სასწავლებლის მასწავლებლები, უსათუოდ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მოწაფეებისათვის.

საანგარიშო კონცერტის პროგრამას შეადგენდა ბეთხოვენის შემოქმედება. შესრულებული იყო მე-6-ე კვარტეტი, სონატა ფორტეპიანოსათვის, სონატა ვიოლონჩელისათვის და ვარიაციები ორი როიალისათვის. სონატის შემსრულებელმა ელენე პსაროვამ ორი წლის წინად წარმატებით დაამთავრა ადგილობრივი კონსერვატორია, ერთი წელი მასწავლებლად იყო ქუთაისის ტეხნიკუმში, ეხლა კი ასწავლის ფორტეპიანოზე დაკვრას თბილისში. შემსრულებელმა გამოიჩინა კარგი ტეხნიკა და მუსიკალობა. შეიძლება არ დავეთანხმოთ მას სონატის გაგებაში ფრაზიროვკის მხრივ (მე-2-ე ნაწილი), მაგრამ პიანისტი ქალი უსათუოდ სავსებით იცავს ბეთხოვენის სტილს.

სავსებით სწორად იყო შესრულებული როგორც მუსიკალობის, ისე სტილის მხრივ სონატები ფორტეპიანოსა და ვიოლონჩელისათვის (შოტნიაშვილი და მალუნცევი). შოტნიაშვილი მეტად მუსიკალური და დაკვირვებული პიანისტია. მალუნცევს კარგი ტონი აქვს, მაგრამ მას აკლია სიღრმე და მუსიკალობა. პიანისტ ქალის ევტიევის და პსაროვის მიერ კარგად იყო შესრულებული ბეთხოვენის ვარიაციები. ორივე პიანისტი ქალი თითქოს ავსებდენ ერთი-მეორეს შესრულებას, რამაც მეტად კარგი და მთლიანი შთაბეჭდილება დასტოვა.

პ. გ.

— გიორგი ლეონიძემ დაამზადა დასაბეჭდათ მონოგრაფიული შრომა „ქართული ისტორიული ეპოსი“.

— ვალერიან გაფრინდაშვილმა სთარგმნა ამერიკელი პოეტის ედგარ პოეს ლირიკული ლექსები: „ულალიუმი“, „ანაბელ-ლი“, „მატლი-მეფე“, „ყორანი“ და სხ.

— **კინო-ლექციები.** კინო-ბიოლოგიურ სადგურ „განათლებაში“ უჩვენებენ კინო სურათებს ლექციებით.

— „**შაიარტუნში**“ ახლო ხანში დაიწყება კონცერტების მართვა.

— **წითელ თეატრში** შაბათს წარმოდგენილი იქნება „ვინ არის დამნაშავე“.

— **აკაკის ნაწერების** მე-2 და მე-3 ტომი გამოვა ამ დღეებში.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს გაიმართება თურქული წარმოდგენა.

— **საქართველოს გასაბჭოების** ხუთი წლის თავზე წითელ-არმიელთა ცენტრ. კლუბში გაიმართება დიდი საზეიმო საღამო.

— **ბეჭდვითი სიტყვის** მუშაკთა კლუბთან არსდება დრამატიული და თვით განვითარების წრეები.

შემთხვევები.

— „**სინათლისაკენ**“. გამოვიდა „წერკუმსი“-ს ცენტრალური გამგეობის ყოველთვიური ორგანო „სინათლისაკენ“ № 1 შემდეგი შინაარსით: რედაქციისაგან, ფ. მახარაძე—„სინათლისაკენ“, ლ. რუხაძე—„წერკუმსი“-ს ამოცანები, გ. სულუხია—რას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, მოლი—როგორ უნდა მუშაობდეს წერკუმსის უჯრედი სოფლად, ლი—წერკუმის სრულიად საქართველოს პირველი ყრილობის შედეგები, ლ. რუხაძე—მოზრდილთათვის წერა-კითხვის სწავლების მეთოდები, პ. სვანიძე—წერკუმსი და კოოპერაცია, შინაური—თვიდან-თვემდე, სალიკვიდაციო სკოლის ფურცელი, ქოხ-სამკითხველოს კალენდარი, ახალი ამბები, მუშაობა სოფლად, ოფიციალური განყოფილება.

დღეს კინოებში

— იპოლლო „ინდოეთის აკლდამა“.
— არფასტო (
— სოლეი („ნიბელუნგები“.
— ოდეონ „დავიწყებულ სადგური მირი“.
— პალას „დოროტი ვერნონ“.

კინო

კინო-სცენარიების კონკურსი

საქართველოს კინო-მრეწველობის სააქციო საზოგადოებამ (სახკინმრეწვი) გამოაცხადა კონკურსი კინოს სცენარიებზე.

პრემიები:

1. 1.500 მან., 2. 1.000 მან., 3. 750 მან. (ორი პრემია), 4. 500 მან. (ორი პრემია), 5. 300 მან. (ორი პრემია).

კონკურსის პირობები ასეთია:

1. სცენარის თემა უნდა იყოს საქართველოს და აგრეთვე საბჭოთა სხვა რესპუბლიკებისა და აღმოსავლეთ ხალხთა ცხოვრებიდან.

2. სცენარი უნდა იძლეოდეს აღებული ხალხის ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულების და სოციალური ცხოვრების სახეებს.

3. სასურველია მოცემული იქნეს ქართველ მუშათა და გლეხთა ცხოვრების სურათები თანამედროვე პირობებში.

4. სასურველია მოცემულ იქნეს ქართველ ინტელიგენციის ცხოვრება თანამედროვე პირობებში.

5. ახალგაზრდათა ცხოვრება. სასურველია გამოყენებულ იქნეს სპორტი.

6. ფართოთ უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს ბუნება.

7. სცენარი შეიძლება კინო-კომედიის სიუჟეტისაც. შეიძლება აღებულ იქნეს თანამედროვე სოციალური ტიპების ფსიქოლოგია.

8. სცენარი პოლიტიკური სატირის შინაარსით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს გაფლანგვის, პროტექციის, ბიუროკრატიზმის, ყოყოჩობისა და უფლების გადაჭარბების მომენტები.

9. სცენარი შეიძლება იყოს აღებული არსებულ ლიტერატურულ ნაწარმოების, ხალხური ლეგენდებისა და თქმულებათა ნიადაგზე.

10. სცენები საბავშვო ფილმებისათვის აღმზრდელობითი მიზნით, შეიძლება ზღაპრული შინაარსით, აზრიანი ტრიუკებით და სხვა.

შესაძლოა გამოგზავნა არა მარტო ტეხნიკურად დამუშავებული სცენარისა, არამედ ფაბულისაც სცენარისათვის, მოთხრობების სახით. მხოლოდ, ამ შემთხვევაში, პრემიის რაოდენობა განახევრებული იქნება. დაჯილდოვებული სცენარი გადაეცემა სახკინმრეწვს, როგორც სრული საკუთრება.

უკანასკნელი ვადა სცენარის წარმოდგენისა არის 20 აპრილი.

ჟიურის შემადგენლობა: ამხ. ამხ. ს. გედევანიშვილი, არ.მიქაძე, ვ. ბახტაძე, შ. დუდუჩავა, ს. ამაღლობელი, გრ. რობაქიძე, კ. ანდრონიკაშვილი, შ. შარაშიძე.

კონკურსზე წარმოდგენილ უნდა იქნეს სცენარის პირი (დედანს იტოვებს ავტორი) გადაწერილი მანქანაზე. სცენაზე უნდა იყოს წარწერა რაიმე დევიზი. დახურულ კონვერტში. ავტორი აღნიშნავს თავის გვარს, სახელს, მამის სახელს და მისამართს. კონვერტზე წარწერილი უნდა იქნეს იგივე დევიზი, რომელიც სცენაზე იქნება და წარწერა: კონკურსისათვის. სცენარიები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპექტი № 158, სახკინმრეწვი. სამხატვრო საბჭოს პასუხისმგებელ მდივანს ს. ამაღლობელს.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მოეცემა თუ არა რძის ფული

კითხვა

ვინაიდან ჩემ ყოფ. ქმარს ჰქონდა აუტანელი, მძიმე ხასიათი, ნაკლებ ყურადღებას გვაქცევდა ცოლსა და შვილს (ექვსი თვის ბავშვს), ოჯახში იშვიათად იმყოფებოდა, ფულებს სარდაფებში ხარჯავდა და მე პირადათ ძალზე უდიერად მეპყრობოდა, მე ველარ ავიტანე ასეთი ცხოვრება და სასამართლოს წესით მოვითხოვე განქორწინება. სასამართლომ ჩემი შუამდგომლობა სამართლიანად სცნო და განგვაქორწინა კანონიერად. ბავშვი ჩემთან დასტოვა. ჩემი ყოფილი ქმარი მსახურობდა, იყო კავშირის წევრი და დაზღვეული და ბავშვის საკვებად გვეძლეოდა რძის ფული დამზღვევ სალაროდან.

გთხოვთ განმარტებას, მაქვს თუ არა უფლება მივიღო აღნიშნული დახმარება დამზღვევ სალაროდან განქორწინების შემდეგ.

მუშა ქალი **მართა ი—ნიძე.**

პასუხი

რძის ფული დამზღვევ სალაროდან უნდა მოგეცეთ დღიდან ბავშვის დაბადებისა ცხრა თვის განმავლობაში. განქორწინებას რძის ფულის მიღებაზე არავითარი გავლენა არა აქვს.

რა და რა სახის დახმარება მოეცემა

კითხვა

მე ვმსახურობ რკინისგზაზე, ვარ კავშირის წევრი და დაზღვეული. მყავდა ცოლი ფეხმძიმედ. არარ ვიცი რა მიზეზით, მაგრამ ჩემ ცოლს ფეხმძიმობის მეექვსე თვეზე ეყოლა მკვდარი ბავშვი.

გთხოვთ განმარტებას, მიეცემა თუ არა ბავშვის მოსავლელი ერთდროული დახმარება და მისი დასამარხი ფული დამზღვევ სალაროდან.

რკინისგზ.ლი **სამსონ ტეზერელი.**

პასუხი

ბავშვის მოსავლელი დახმარება მკვდრად შობილ ბავშვის დედას მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკვდრად დაბადებული ბავშვი ჰასაკით არის არა ნაკლებ მერვე თვისა. ბავშვის დასამარხი ფული კი უნდა მოგეცეთ საერთო წესით სათანადო მოწმობის წარდგენის შემდეგ.

მოეცემა თუ არა დახმარება დამზღვევ სალაროდან

კითხვა

მე შემეძინა ბავშვი. ჩემი ქმარი იმ დროს მსახურობდა, იყო კავშირის წევრი და დაზღვეული. ბავშვის დაბადების შემდეგ არ გაუვლია ერთ თვეს, რომ ჩემი ქმარი მოჰყვა შტატის შემცირებაში და მოხსნილი იქნა სამსახურიდან. ამჟამად იგი ითვლება უმუშევრად. განვიცდი კრიტიკულ მდგომარეობას.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, მაქვს თუ არა უფლება მივიღო ბავშვის საკვები დახმარება 9 თვის განმავლობაში დამზღვევ სალაროდან.

უმუშევარის ცოლი **მარინე გ-ნი.**

პასუხი

დამზღვევ სალაროდან თქვენ უნდა მოგეცეთ ბავშვის საკვებად 9 თვის განმავლობაში ე. წ. რძის ფული, რაც ამჟამად უდრის ყოველთვიურად 6 მან. 30 კაპ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

პარასკევს, 19 თებერვალს, ნაშუადღევის 6 საათზე

მოწვეულია რემედასის საქართველოს ცეკას პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

საქ. კომპარტიის ცეკას ბეჭდვითი განყოფილებაში ოთახი № 17 ამხ. მუშიშვილთან. დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: ჩოდრიშვილი მიხა, ჯიჯაძე, გ. მუშიშვილი, რუხაძე არჩილ, ზაქს, ჯაიანი, ჰელიძე, ბელიაევი, ხანოევი, კიზირია, ატაბეკოვი-ტუმასს, ქუთათელაძე, ნუცუბიძე შ. და წულეისკირი.

— პარასკევს, 19 თებერვალს, საღამოს 6 საათზე მუშათა ახალ კლუბის შენობაში შესდგება ქალაქის რაიონის მბეჭდავთა უჯრედების ბიუროების კონფერენცია.

დღის წესრიგშია, პოლიგრაფტრესტის მოხსენება და მბეჭდავთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის განცხადება.

აუცილებლად უნდა გამოცხადდენ უჯრედთა ბიუროების, კავშირის ცენტრალურ გამგეობის ფრაქციის წევრები და სტამბების გამგეები (კომუნისტები).

ქალაქის რაიკომი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ აღრიცხვა-განმანაწილებელ ქვე-განყოფილებაში ამხ. ბზიაშვილთან:

სტეპანოვი ივანე, მჭედლიშვილი ნინო, კაციტაძე არხიპო, შოგირაძე ვარლამ, ხოჯავა ელისაბედ, ისტანდერიანი ისაკი, გურგენიძე არხიპო, კაშაიანი ივანე, ზადრიძე ელისაბედ.

ქალაქის რაიკომი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება რომ დღეს 19 თებერვალს დღის სამ საათზე, საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე შესდგება აგიტკოლეგიის სხდომა.

აგიტკოლეგიის ყველა წევრთა გამოცხადება სავალდებულოა.

ქალაქის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება ა. წ. 19 თებერვლისათვის, დილის 10 საათზე, იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედიდან:—ცინცაძე ნიკოლოზ, ვალია ბახტაძე, ქსენია ცინცაძე, გალაქტიონ ნუცუბიძე, პეტრე ბუაჩიძე, გრიგოლ ხუნდაძე, დომენტი ცხაკაია, სამსონ კიკაბიძე, შალვა ოდილავაძე და ამხ. ამხ. კანდელაკი (განათლების სახ. კომისარი), მდივანი (პროლეტსტუდიის თბილისის ბიუროდან) და ა. ჯაფარიძე (ცეკა).

თბილისის კომიტეტის მდივანი სვანიძე.

დღეს, 19 თებერვალს, დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტის სამდივნოში შესდგება საქართველოს კომპარტიის **თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

თბილისის კომიტეტის მდივანი **მიხ. კახიანი**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან: 1) ნიკოლოზ სევოიანი, 2) გერასიმე კილაძე, 3) სევერიან კეკელიძე, 4) ანატოლი ოსტროუმოვი, 5) ივანე ქიქინაძე და 6) ფეოდორ მიხეილის ძე პიმენოვი.

დღეს, 19 თებერვალს, საღამოს 6 საათზე თბილ. აღმასკომის დარბაზში მოწვეულია **ს.კ. თბილისის კომიტეტის პლენუმი.**

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

პარასკევს, 19 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ახალი კლუბის შენობაში შესდგება ქალაქის რაიონის **მბეჭდავთა უჯრედების ბიუროების კონფერენცია.**

დღის წესრიგშია პოლიგრაფტრესტის მოხსენება და მბეჭდავთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის ფრაქციის განცხადება.

აუცილებლად უნდა გამოცხადდენ კავშირის ცენტრალურ გამგეობის ფრაქციის უჯრედთა ბიუროების წევრები და სტამბების გამგეები (კომუნისტები).

ქალაქის რაიკომი.

განცხადებები

კვირას, 21 თებერვალს, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე დღის 12 საათზე დანიშნულია წირვა და შემდეგ პანაშვიდი დაუვიწყარი

მაყვალა (ქეთევანი) ილარიონის ასული

წერეთელის

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდამწვარი მშობლები და და-ძმანი. 1571 1—1

ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მოქალაქე

სამსონ ანდრიას ძე არჩევაძე

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ შვილები ექიმი მ ხეილ სამსონისძე მეუღლით ელისაბედ ივანეს ასულით, ექიმი ანდრია სამსონისძე მეუღლით ანნა სტეფანეს ასულით, და ალექსანდრე სამსონისძე, დაკრძალვა ქ. ქუთაისში კვირას, 21 თებერვალს ა | წ დღის 12 საათზე პირველი რუსთაველის შესახვევი № 6.

ქ. 1564 2—1

მეუღლე—სონა, შვილები: შალვა, დათიკო, თამარ, თინა და ქეთო, დები: ანა, მართა და ლიდა, სიძე—სავლე დევდარიანი, რძლები: ნინა და ანტონინა და პატარა შვილიშვილები აუწყებენ მათი დაუვიწყარი

ტრიფონ თაბუკაშვილის

მეგობრებს და პატივმცემლებს, რომ მისი გარდაცვალების მე-40-ე დღეს, კვირას, 21 თებერვალს, დღის 12 საათზე ნიკოლოზის სასაფლაოზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ქ. 1556 2—1

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—13

აპოლო / არტისტიკ / სოლეი

სეზონის საუკეთესო სურათი

„ინდოეთის აკლდამა“

მთავარ როლებში: ლიადეპუტი, მია მაი, კონრად ვეიდტი

4 სერიათ; 1 და 2 სერია ერთად

საზღვარგარეთელ კინემატოგრაფიის უდიდესი მიღწევა

4 სერიად **„ნიბელუნგები“** 4 სერიად

1 და 2 სერია ერთად

„პრავდა“ 31 დეკემბრის ნომერში სწერს: „ნიბელუნგები“—ყველაზე უკეთესი და ყველაზე გასაოცარი სურათია, რომლის მაგვარი ჯერ ჩვენ არ გვინახავს“.

კასა ღიაა 4 საათ 30 წ.

0—1 ნ. 785

რუსთაველის თეატრი: შაბათს, 20 თებერვალს

ჰამლეტ

მონაწ. მეორე შემადგენლობა.

კვირას, 21 თებერვალს,

მზის დაბნელება საქართველოში

ნ. 781 3—3

მალაკნების კოოპერატივის „პოტრებიტელ“-ის კრედიტორების საყურადღებოთ

მალაკნების კოოპერატივის „პოტრებიტელის“ საქმეების სალიკვიდაციო კომისია აცხადებს „მალკოოპის“ ყველა კრედიტორების საყურადღებოთ, რომ კოოპერატივის წევრთა საზოგადო კრების დადგენილების თანახმად ა | წ. 16 თებერვალს, ხდება მალაკნების კოოპერატივის „პოტრებიტელ“-ის ლიკვიდაცია.

კრედიტორებმა ყოველგვარი პრეტენზიები კოოპერატივისადმი უნდა წარუდგინონ სალიკვიდაციო კომისიას **ორი კვირის განმავლობაში** ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები აღარ მიიღება

სალიკვიდაციო კომისიის მისამართი: თბილისი, რიყე, პეტრიწის მოედანი, 4. ტელ. 15—91.

მალაკნების კოოპერატივის „პოტრებიტელ“-ის საქმეების სალიკვიდაციო კომისია:

1—1 ნ. 787 ბოგდანოვი, კაპრანოვი, ავაქოვი

გამოვიდა გასასყიდად სკოლებისა და ოჯახებისათვის დიდი ფორმატის

საქართველოს რუკა

ფასი 1 მან.

საწყობი წიგნის მაღაზია „განათლებაში“, იქვე შეიძლება ქოლა ლომთათიძის ნაწერების და სხვა წიგნების დაკვეთა. ლენინის ქ. № 6

სილ. თავართქილაძე

2—2 ქვ. 1515

საქ. ს. ს. რ. სოც. უზრ. სახალხო კომისარიატი

დამატებით კომისარიატის ბრძანებ სა

დასახიჩრებულთა სავაჭრო-საწარმოო ნადის

„იმედი“-ს

საქმეებზე სალიკვიდაციო კომისიის დაარსების შესახებ, ამით აცხადებს, რომ ყველა დაწესებულებები და კერძო პირები, რომელთა ხელშიც იმყოფება ნადი „იმედი“-ს რაიმე ქონება, ან თანხები, ვალდებულნი არიან ა | წ. 23 თებერვლამდე აცნობონ ამაზე სალიკვიდაციო კომისიას ქ. თბილისში, ძნელაძის ქ. № 30

სოც. უზრ. სახალხო კომისარიატი

3—3 ნ. 784

ბათომის საბაჟო

აცხადებს, რომ

ა | წ. 23 თებერვალს დილის 10 საათიდან მის შენობაში

გაგრძელებული იქნება

საჯარო ვაჭრობა

საქონლების, რომლებიც დარჩენ გაუყიდავი

9 ამა თებერვლის საჯარო-ვაჭრობით

ბათომის საბაჟო

1—1 ნ. 792

საჯარო ვაჭრობა

1926 წ. 20 თებერვლისათვის, დღის 12 საათზე ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგის და მოწყობილებათა სამმართველოსთან (ელისაბედის ქ. № 73) დანიშნულია

შერეული ვაჭრობა

სადგ. ხაშმაში თეატრ-კლუბის შენობის დასამთავრებელ სამუშაოების იჯარით გასაცემად. იმ პირებმა, რომელთაც სურთ აიღონ იჯარა, უნდა განაცხადონ თავიანთი ფასები სიტყვიერად ვაჭრობის დღეს, ან ტელეგრაფით ვაჭრობის დაწყებამდე, ან შემოიტანონ წერილობითი განცხადებანი დახურულ კონვერტში. განცხადება დაწერილი უნდა იქნას განსაკუთრებულ ბლანკებზე, რომლის მიღება შეიძლება ამიერ-კავკასიის რკ. გზ. ლიანდაგის და მოწყობილობათა სამართველოში.

ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა რკ. გზის კასაში შეტანილი იქნას საწინდარი განცხადებულ ფასის 5 პროცენტის რაოდენობით.

სამუშაოს აღების პირობების შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება რკ. გზ. ლიანდაგის და მოწყობილებათა სამმართველოში, ან ხაშმაში უბნის უფროსის კანტორაში.

ნ. 788 1—1

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის

გამგეობა

აცნობებს ბანკის აქციონერებს, რომ ბანკის წესდების § 52 თანახმად, 27 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ბანკის ბინაზე დანიშნულია

აქციონერების საერთო კრება

დღის წესრიგი:

1. საბჭოს მოხსენება.
2. გამგეობის მოხსენება
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება
4. ბანკის 1924—25 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება
5. მოგებათა განაწილება
6. გამგეობის წევრების არჩევა

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობა

1—1 ნ. 794

სახელმწიფო ოპერა დღეს, 19 თებერვალს,

ს. ი. მიგაის გასტროლი

დემონი

შაბათს, 20 თებერვალს,

ოპერა **„ბალ-მასკარადი“**

კვირას, 21 თებერვალს,

დილით დაკლებულ ფასებში **„რუსლანი და ლიუდმილა“**

საღამოს ს. გ. მიგაის და ე. ა. სტეპანოვას გასტროლი

რიგოლეტო

შესავალი ბილეთები ს. ი. მიგაის და ე. სტეპანოვას გასტროლებზე იყიდება წარმოდგენის დღეს. ნ. 791 2—1

გამოვიდა და იყიდება

ყოველთვიური ჟურნალი

„აქარისტანი“

№ 2

ფასი 20 კაპ.

1—1 ნ. 793

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოთორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ბერუჩევის ქუჩაზე სახლი № 3 დანიშნულია 23 თებერვალს 1926 წ. დილის 10 საათზე საჯარო ვაჭრობა რაფიელ გაგულაშვილის ქონების: საწნეხელის; შეფასებულის 20 მან., საწურის 10 მან., სარკის 10 მან., სპილენძის ტაშტის 10 მან. და თუნგების 6 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად.

ნ. 789 1—1

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოთორიშვილი

აცხადებს, რომ 22 თებერვალს 1926 წ. დილის 10 საათზე დანიშნულია ქ. ქუთაისში, გოგებაშვილის ქუჩაზე, სახლი № 16, საჯარო ვაჭრობა ელო-ხაიმ ხახიაშვილის შენობის, რომელიც შეიცავს უფლებას ნახევარ ნაწილზე ერთი ორსართულიანი ქვითკირის სახლისას და შესდგება შვიდი საცხოვრებელი ოთახისაგან, ორი სამზარეულოსაგან და ორი შუშაბანდისაგან,—აგებულის საერთო მიწაზე გოგებაშვილის ქუჩაზე შეფასებულის ნახევარი ნაწილი ათასი მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ყველა იმ პირმა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდექსისა და 10 პროც. შეფასებული თანხის საწინდარი. ნ. 789 1—1

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოთორიშვილი

აცხადებს, რომ 25 თებერვალს 1926 წ. დილით 10 საათზე დანიშნულია მეორე საჯარო ვაჭრობა იოსებ ელოს-ძე ბინიაურიშვილის ერთი-ერთ სართულიანი ქვეშ პალატით ხის სახლის, აგებულის ქ. ქუთაისში გელათის ქუჩის მესამე შესახვევში № 6 მიწაზე ზომით ოცი ოთხკუთხი საჟენი შეფასებული 300 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხ დან ან იმ თანხიდან, რომელიც დასახელებული იქნება მყიდველთაგან და ყველა იმ პირმა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი შენობის შეფასების 10 პროც. ნ. 789 1—1

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 24 თებერვ. 1926 წ. საათის 1 დღისა დიდუბის ქ. № 13 საჯარო ვაჭრობით გაყიდის კონსტანტინე დიხამინჯიას უძრავ ქონებას, მდებარეს დიდუბის ქ. № 13 ორსართულიან აგურის სახლს 20 ოთახიდან, 5 სამზარეულოდან და 5 სარდაფიდან 273 ოთხკუთხ საჟ. მიწაზე აგებულს, რაშიაც არ შედის სავაჭრო ხასიათის სადგომი და რომელიც დაგირავებულია კომუნალურ ბანკში 2000 მანეთში, შეფასებულს 2500 მან: დასაკმაყოფილებლად კომუნალურ ბანკისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.

1559 1—1

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 23 თებერვ. 1926 წ. საათის 2 დღისა კლარა ცეტკინის ქ. № 167 საჯარო ვაჭრობით გაყიდის სიმონ აბაშიძის უძრავ ქონებას სახლს სამსართულიანს 70 საცხოვრებელ ოთახისაგან, სამზარეულოებით, სარდაფებით, შეფასებულს ორი ათას მან. დასაკმაყოფილებლად მიხეილ ფირცხალავასი აზიზოვისა და სხვებისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.

1558 1—1

Судебный Исполн. Нарсуда 4 района г. Тифлиса Гавсович

об'являет, что 22 февраля 1926 г., в 11 ч. утра, по улице Бесика (быв. Давидовская) № 53, будет происходить публичный торг на продажу дома принадлежащего Калистрату Алексеевичу Чхеидзе на удвлетворение взыскания Юго-Восточного Государственного шерстяного об'единения „Юго-востшерсть“ по исполнительному листу Областного Суда Восточной Грузии от 18 июня 1925 г. за № 20032; продаваемый дом двухэтажный, каменный, под железной крышей и состоит из одиннадцати жилых комнат и двух кухонь; к этому дому примыкает одноэтажная, каменная постройка, под черепичной крышей, состоящая из одной жилой комнаты. Дом этот, с означеной прилегающей к нему постройкой, оценен в 1240 руб. с каковой цены и начнется торг. Желающие торговаться, должны в день торга представить Судебному Исполнителю справки Коммунхоза и Нотариального Отделения о том, что ни они сами, ни члены их семьи нигде не владеют какими либо строениями

№ 1555 1—1

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 23 თებერვ. 1926 წ. საათის 12 დღისა, ტურგენევის ქ. 4 საჯარო ვაჭრობით გაყიდის არსენა ხაჰაპურიძის მოძრავ ქონებას: 2 ქალის ოქროს ბეჭედს, შემკულს ალმასის და ბრილიანტის თვლებით და ოქროს სამაჯურს, შეფასებულს 60 მან. დასაკმაყოფილებლად ბარბალე შანშიაშვილისა. 1554 1—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

ლესელიძის ქუჩა, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს თი 5—8 საათ.

ქალებისთვის ცალკე შესავალი.

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

დ. აგაშა

კბილის ექიმ

ა. ნადარეიშვილმა

განახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატეხნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები

№ 1306

ექ. ე. მ. მძ ნარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. დღედ 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტ № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—1

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

ლენინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

დღეს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა ავადმყოფებ ი) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი **გ. ნ. მამაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ № 38.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი **მ. ა. ლუკოვსკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან —11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ კორპ. უკან.

ექიმი **თოდაძე**

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ბუშტები, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივ უძლურება,—და სხვ.).

ცისტოსკოპია, ურეტროსკოპია, პიელოგრაფია.

საღამოს 4—6 სათამდე

ბელგიის ქუჩა № 1.

დოქტორი **გ. [illegible]**

ფილტვების, გულის და ციებ წამლობა ხელოვნური მთის მზ ის სპნეიმოტორაქსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი **ა. ს. შუშ-ირველი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონში).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყ

ელექტრონის კაბინეთი.

ავადმყ. მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის (ოლღას ქუჩა 49) ტელ. 4—82.

1355 25—1

ექიმი **ნ. ტურიაშვილი**

სამშობიარო და ქალის სნეულებანი. მიღება საღ. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზოვის) ქუჩა № 22. 25—1

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. **მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი**

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

კანის და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8 საათ.

ქალების—საღამოთი 5—6 საათ.

მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).

ექიმი **ჯალალოვი**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი:

შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან 9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.

მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

დაჰკარგე ლომბარდის ქვითარი № 28803 ლელუაშვილის სახელზე. ჩ. გ.

1—1 1561.

დაჰკარგე 17 თებერვალს კინო „სოლეი“-ში ქალის საფულე ყავის ფერის სხვადასხვა ნივთებით. მპოვნელს გთხოვთ დააბრუნოს შემდეგი მისამართით: თინა მაჭავარიანი, ფასანაურის ქ. 54. რისთვისაც მიიღებს დაბრუნებული ნივთების სრულ ღირებულებას. 1—1 1560

დაჰკარგე მეტრიკული მოწმობა—გრიგოლი პორფილეს ძე ჩაჩანიძის სახელზე. ჩ. გ.

1—1 1557

დაჰკარგე პასპორტი № 5670—სოლომონ მენაბდიშვილ-ს სახელზე. ჩ. გ.

1—1 1562

დაჰკარგე პირადობის მოწმობა № 2093 ცხდოკია ნინოს სახელზე. ჩ. გ.

1—1 1567

დაჰკარგე პირადობის მოწმობა № 1 80 ლიპბა ნინოს სახელზე. ჩ. გ. 1—1 1568

დაჰკარგე პირად. მოწმობა № 1938 | 4278 სამხედრო პ რადი წიგნაკი № 328 და თვით მშრომელთა კავშირის წიგნაკი № 244 დავით რუსიტაშვილის სახელზე. ჩ. გ.

1 1 1563

დაჰკარგე ნამსახურობის მოწმობა მოცემული ქალ. აღმ-სკომის ადმინისტრატიული განყოფილებისაგან № 3747 ბესარიონ გერასიმეს ძე დოლიძის სახელზე. ჩ. გ,

1—1 1565

დაჰკარგე პირადობის მოწმობა № 2047 გაცემული ა.-კ. რკინის გზების მთავარ სახელოსნოდან ამხ. ივ-ნე ანტონის ძე ნინუას სახელზე. ჩ გ. 1—1 1566

დაჰკარგე პირადობის მოწმობა, გაცემული ქუთაისის მილიციის სამმართველოდან № 3727 და სამხედრო ნუსხა № 155 დავით ყიმანველის-ძე ბოთერაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 790

დაჰკარგე სალექციო წიგნაკი № 625 თბ, სახელ. უნივ. სტუდენტ თინათინ ქაჯაიას სახელზე. ჩ. გ. 1—1 1569

დაჰკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1751 არჩილ ესტატეს-ძე ფოფხაძის სახელზე. ჩ. გ.

1—1 1572

დაჰკარგე ბეჭედი სოქარის თემის გლეხკომის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1573

დაჰკარგე 1. პირადობის მოწმობა, 2. სამხედრო აღრიცხვის ბარათი, 3. განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 464, 4. ხუთი წლის სწავლა-განათლების დარგში მუშაობის მოწმობა, 5. რემედასის საწევრო წიგნაკი № 123, 6. მოწმობა სოჩა-ადლერ-გაგრის რაიონების ქართული დრამატიული წრეების ორგანიზატორობისა, 7. მოწმობა საპასწავლებლო კურსების გავლისა, 8. ფოთის საზღვაო სააგენტოს ხელწერილი ორი რკინის კრაოტის დაკარგვის შესახებ პ. ი. ქორქიას სახელზე. ჩ. გ.

1—1 1570

ტირაჟი—24.767

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს წულუკიძის ქუჩა № 4.